პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქტორთან საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—53.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

წლის მიწერის თვიური ფასი: ქალაქში— 1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხო[illegible]თვის—1 მან. 60 კ. ქალაქშ. ხელ. [illegible] 90 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრებ[illegible]ათვის 1 მან. განცხადება 20 კ. [illegible]ბით ნომპარელის სტრიქონი. [illegible] განცხადება 5 მან. ხვრე. განცხ[illegible] მხოლოდ ნომერში მიიღება მხოლოდ [illegible]

დღევანდელი გაზეთის №-რი შეიცავს 6 გვერდს

დღიური

— რუსეთში დაიწყო ფასების დაკლება მთელ რიგ სამრეწველო საგნებზე.

— ნორვეგიაში, ქალაქ ტრონტჰეიმში შეტაკება მოხდა გაფიცულ მუშებსა და პოლიციას შორის.

ოსმალეთის მეჯლისში ქრისტიან-[illegible] [illegible] მოითხოვა სარწმუნოებრივი სასამართლოების მოსპობა.

— სირიაში იფეთქა აჯანყებამ ფრანგების წინააღმდეგ.

— გერმანიის მთავრობამ [illegible] [illegible] [illegible]გის დატუსაღების შესახებ.

№ 53 (908) ოთხშაბათი, 5 მარტი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 53 (908)

კომუნისტური ინტერნაციონალი

რუსეთის კომუნისტური პარტიის ინიციატივით, პირველ პროლეტარულ სახელმწიფოში, 1919 წლის მარტის პირველ რიცხვებში, შეიკრიბა მუშათა საერთაშორისო რევოლიუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსებას.

ეს ორგანიზაცია, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ გაჩენილა. მას იდეურად მოუმზადა ნიადაგი იმ ბრძოლამ, რომელსაც, მსოფლიო მუშათა მოძრაობაში რევოლიუციონურ მარქსიზმის პრინციპების და ტაქტიკის დასაცავად, ჯერ კიდევ იმპერიალისტურ ომამდე აწარმოებდენ მეორე ინტერნაციონალის ფარგლებში მისი მემარცხენე ელემენტები ლენინის მეთაურობით,—ოპორტუნისტულ ჯგუფების და მიმართულებების წინააღმდეგ, რომლებმაც მაგრად გაიდგეს ფესვები ამ ინტერნაციონალში.

იმპერიალისტურმა ომმა გამოააშკარავა სრული გახრწნილება და გაკოტრება მეორე ინტერნაციონალის და ის პოლიტიკურად დაასამარა. ბურჟუაზიის მიერ დაწყებულმა ხოცვა-ჟლეტამ, რომელსაც კვერი დაუკრეს ამ ორგანიზაციაში გაბატონებულმა ელემენტებმა „სამშობლოს“ დაცვის ლოზუნგით, ცხადჰყო, რომ მეორე ინტერნაციონალი გადაიქცა მუშათა კლასის განთავისუფლების იარაღიდან იმპერიალისტური ბურჟუაზიის მაჩანჩალად, მისი პოლიტიკის გამტარებელ აგენტად პროლეტარიატში და სამარცხვინოდ უღალატა ამ უკანასკნელს.

მაშინ უკვე, ასე ვსთქვათ, ჰაერში ტრიალებდა იდეა მუშათა ახალი საერთაშორისო რევოლიუციონურ ორგანიზაციის შექმნის, რომელიც წაიყვანდა მათ შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის გზით კაპიტალის უღლის დასამსხვრევად.

ამ იდეის ჩამოყალიბების და ორგანიზაციული განხორციელების პირველ ცდებს წარმოადგენენ ციმმერვალდის (1915 წ.) და კინტალის (1916 წ.) კონფერენციები, რომლებზედაც მემარცხენე ფრთამ („ციმმერვალდის მემარცხენე“) ლენინის მეთაურობით გარკვევით წამოაყენა მომავალი ინტერნაციონალის ძირითადი დებულებანი.

„ციმმერვალდის მემარცხენე“-ს გავლენა თანდათან ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა მუშათა კლასში, და ასე მწიფდებოდა პირობები კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსებისათვის.

და, როგორც ვსთქვით, ამ ხუთი წლის წინედ კიდეც შეიკრიბა პირველი დამფუძნებელი კონგრესი ამ ინტერნაციონალის.

მძიმე იყო ეს დრო საბჭოთა რესპუბლიკისათვის,—სასტიკი ბლოკადის რკალი, ირგვლივ უთვალავი ფრონტები, ეკონომიური კრიზისი. ამავე დროს მსოფლიო მასშტაბით კომუნისტური პარტიები არ იყვნენ ჩამოყალიბებულნი; ძველ სოციალისტურ პარტიებში იყვნენ მხოლოდ მემარცხენე, რევოლიუციონური ჯგუფები.

პირველ კონგრესს შეეძლო ამიტომ კომ. ინტერნაციონალის მხოლოდ ზოგადი ლოზუნგების გამომუშავება და გზების დასახვა საერთაშორისო რევოლიუციონურ ძალების თანდათანი შესაკრებად და დასარაზმავად.

მეორე კონგრესამდე ხდებოდა სოციალისტურ პარტიების გათიშვა მთელ რიგ ქვეყნებში და მათი რევოლიუციონურ ელემენტებისგან კომუნისტურ პარტიების დაარსება.

მეორე კონგრესი შეიკრიბა 1920 წლის ივლისში. მასზე წარმოდგენილი იყვნენ რევოლიუციონური ორგანიზაციები მრავალი ქვეყნიდან. კომუნისტური მოძრაობა ამ შედარებით მოკლე ხანში ძალიან გაიზარდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, კომუნისტურ ინტერნაციონალს ფორმალურად მიეკედლენ, რევოლიუციონურ მუშათა გავლენით ზოგი ოპორტუნისტული ელემენტებიც, რომელთა მიზანს შეადგენდა ახალ ორგანიზაციაში თავიანთი ძველი ტრადიციების გადმოტანა და მისი შიგნით დარღვევა.

კონგრესმა ამ გარემოებას მიაქცია სერიოზული ყურადღება და მიიღო ცნობილი 21 პირობა, რომელთა დაცვა სავალდებულო იყო კომუნისტური ინტერნაციონალში შესასვლელად და იქ დასარჩენად. ამით უზრუნველყოფილ იქნა რევოლიუციონური სიწმინდე ახალი ორგანიზაციის ყველა მისთვის უცხო, ოპორტიუნისტულ და მერყევ ელემენტებისაგან.

ამ კონგრესის შემდეგ სოციალისტურ პარტიების დაშლამ ევროპაში და კომუნისტურ პარტიების ჩამოყალიბებამ და გაძლიერებამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. ყოველ ქვეყანაში შეიქმნა ასე თუ ისე მტკიცე კომუნისტური ორგანიზაცია.

ასე რომ მესამე კონგრესზე, რომელიც შესდგა 1921 წ. ივნისში, კომუნისტური ინტერნაციონალი ითვლიდა თავის რიგებში 50 სექციას.

ამ დროისათვის ახალი ამოცანები წამოიჭრა კომინტერნის წინაშე. მსოფლიო რევოლიუცია დაგვიანდა. ბურჟუაზია უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვინემ ჩვენ გვეგონა. ერთის დაკვრით მისი განადგურება შეუძლებელი შეიქმნა. საჭირო იყო ხანგრძლივი რევოლიუციონური ბრძოლა. ამ ბრძოლაში გამარჯვება ჰგულისხმობდა მუშათა მასსების დაპყრობას ჩვენი პარტიების მიერ. და მესამე კონგრესმა გადმოისროლა ლოზუნგი: ახლოს მასსებთან. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მუშათა კლასი, რომლის უმრავლესობა ისევ მისდევდა „სოციალისტურ“ პარტიებს, გამოგვეგლიჯა მათი გამხრწნელი გავლენიდან, შემოგვეკრიბა ჩვენს გარშემო და დაგვერაზმა მომავალი ბრძოლებისათვის. ეს ამოცანა მოითხოვდა ჩვენი პარტიებისაგან დიდ იდეურ და ორგანიზაციულ მუშაობის ჩატარებას. ამ მუშაობაში ჩაებენ ჩვენი პარტიები მთელი თავიანთი ენერგიით, რამაც მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო.

მეოთხე კონგრესის მომენტისათვის კომუნისტური ინტერნაციონალი საგრძნობლად გაიზარდა რიცხვობრივად, გამაგრდა ორგანიზაციულად. მეოთხე კონგრესი შესდგა 1924 წლის ნოემბერში.

ამ კონგრესმა კონკრეტიზაცია უყო ლოზუნგს—ახლოს მასსებთან, დამთავრებული ფორმულა მისცა მუშათა ერთიანი ფრონტის ტაქტიკას და მუშათა მთავრობის საკითხს. ამით დაძლეულ იქნა ბევრი გაუგებრობა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ საკითხების გარშემო კომინტერნის ზოგიერთ სექციებში, რამაც უფრო ნაყოფიერი გახადა შემდეგი ბრძოლა მუშათა ფართე მასსების დაპყრობისათვის.

მეოთხე კონგრესმა დიდი ყურადღება მიაქცია აგრეთვე გლეხთა და აგრარულ საკითხს.

აღსანიშნავია ისიც, რომ აქ პირველად იყვნენ ფერადი რასები წარმომადგენელნი, რომელთაც გააკეთეს მოხსენება კოლონიალურ ხალხების მდგომარეობის შესახებ. კონგრესმა საჭიროდ სცნო რევოლიუციონურ მუშაობის გაძლიერება აღმოსავლეთის ხალხების განთავისუფლებისათვის და მათი ბედის დასაკავშირებლად მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობასთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კონგრესის მუშაობაში ზომების მიღება კომუნისტურ ინტერნაციონალის გადასაქცევად საერთაშორისო ცენტრალისტურ ორგანიზაციათ. უარყოფილ იქნა მეორე ინტერნაციონალიდან გადმოსული ნაშთები ფედერალიზმისა ორგანიზაციულ საკითხებში. გაიმარჯვა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპმა, ლენინის საორგანიზაციო პრინციპმა.

1923 წელს ივლისში მომხდარმა კომინტერნის გაფართოებულმა პლენუმმა შემდეგი ნაბიჯი გადადგა ყველა მშრომელი მასსების ჩასაბმელად რევოლიუციონურ მოძრაობაში. მან წამოაყენა ლოზუნგი მუშურ-გლეხურ მთავრობის. ამასთან დიდი ყურადღება მიაქცია ნაციონალურ საკითხს.

დღეს კომუნისტური ინტერნაციონალი მუშათა უძლიერესი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის ნაწილები თავისი შტაბის, აღმასკომის საშუალებით მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ჩამოყალიბებულია ბრძოლის მეთოდები და საშუალებანი. კომუნისტური პარტიები გაღენთილი არიან ურყევი ნებისყოფით ძალა-უფლების დასაპყრობად. ისინი მედგრად უმკლავდებიან საერთაშორისო კაპიტალის შემოტევას და ემზადებიან, რაზმავენ ფართე მასსებს გენერალური ბრძოლისათვის მსოფლიო ბურჟუაზიის საბოლოო დასამხობად.

ხუთი წლის ბრწყინვალე წარსული და დღევანდელი მდგომარეობა კომუნისტური ინტერნაციონალის სრულ იმედს გვაძლევს, რომ მსოფლიო რევოლიუციის შტაბი პირნათლად შეასრულებს ისტორიის მიერ მასზე დაკისრებულ დიად ამოცანას საერთაშორისო მუშათა კლასის განთავისუფლებისას.

მსოფლიო ომი და მეორე ინტერნაციონალი

კულტურულ კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი საზიზღარი მსოფლიო ომი, რომელიც დაიწყო 1914 წ. აგვისტოში. ამ ომმა ძირფესვიანად დაანგრია ძველი სახელმწიფოებრივი ურთიერთობანი და მათ ნაცვლად შექმნა ახალი კავშირები, ახალი კოალიციები; მა[illegible] ამავე დროს მან საშინლად დაფორიაქა ამ სახელმწიფოების შინაური ცხოვრებაც, გამოიწვია რა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა.

მალე ათი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც პირველად გავარდა თოფი, [illegible] ზარბაზნებმა და ევროპის [illegible]-მინდვრები შეიღება ადამიანთა სისხლით. უეჭველია, ამ საშინელ ხოცვა-ჟლეტას, ამ საზარელ სოციალურ კატასტროფას განუზომელი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. კარგა ხანია ეს ომი დასრულდა, მაგრამ მისგან მიყენებულ ჭრილობებისაგან სახელმწიფოები დღესაც ვერ განკურნებულან, მისი შედეგებისაგან მათ დღესაც ვერ დაუღწევიათ თავი.

ამ წერილში ჩვენ გვინდა გამოვარკვიოთ მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის დამოკიდებულება ამ ომთან.

როგორ უყურებდა საერთოდ მეორე ინტერნაციონალი ომის საკითხს.

როგორც ვიცით, მეორე ინტერნაციონალი დაარსდა 1889 წ. ქ. პარიზში. 1914 წლამდე ე. ი. მსოფლიო ომის დაწყებამდე მას ჰქონდა მთელი რიგი კონგრესებისა, რომლებზეც იყო გამორკვეული სოციალისტების ომთან დამოკიდებულების საკითხი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ სამი უკანასკნელი კონგრესი: შტუტჰარდტის, კოპენჰაგენის და ბაზელის.

შტუტჰარდტის კონგრესი მოხდა 1907 წ. აგვისტოში. მან მიიღო ვრცელი რეზოლიუცია ომის შესახებ, რომელშიაც ამბობდა: „კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ატეხილი ომები არის შედეგი მათი კონკურენციისა მსოფლიო ბაზარზე, რადგან თვითეული სახელმწიფო მიისწრაფვის არა მარტო განსაზღვრულ ბაზრის თავისთვის უზრუნველყოფისაკენ, არამედ ახალი ბაზრების მოპოვებისაკენაც, სხვა ხალხების დამონების და მათი ტერიტორიის დაპყრობის გზით“.

როგორი უნდა იყოს სოციალისტების დამოკიდებულება ომთან? ამის შესახებ შტუტჰარდტის კონგრესი აცხადებდა: „თუ არის ომის დაწყების საფრთხე, მაშინ ყველა დაინტერესებული ქვეყნების მუშათა კლასის და პარლამენტში მყოფ მათი წარმომადგენლების მოვალეობაა მიიღონ ყოველგვარი ღონისძიებანი ინტერნაციონალური ბიუროს დახმარებით ენერგიული და შეთანხმებული გამოსვლების გზით ხელი შეუშალონ ომს ყოველნაირი საშუალებებით, რომლებიც იქნება უფრო შესაფერისათ ცნობილი და რომლებიც, თავისთავათ ცხადია, სხვადასხვანაირი იქნება კლასიური ბრძოლის და საერთო პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავების მიხედვით“.

ამრიგათ კონგრესი თავიდანვე აფრთხილებს სოციალისტებს, რომ ისინი ყოველთვის მზად იყვნენ ებრძოლონ ომის საფრთხეს. „მაგრამ თუ ომი მაინც დაიწყო, მიუხედავათ ამ ღონისძიებებისა, ამბობს კონგრესი, მაშინ ისინი (ე. ი. სოციალისტები) ვალდებული არიან მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ რაც შეიძლება მალე შეაჩერონ ეს ომი, და ყოველნაირათ გამოიყენონ მის მიერ გამოწვეული ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი იმისათვის, რომ აამოძრაონ სხვადასხვა საზოგადოებრივი წრეები და დააჩქარონ კაპიტალისტური ბატონობის დამხობა“.

ეს რეზოლიუცია უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტია. მასში ყველაზე უფრო მკაფიოთ გამოხატა მეორე ინტერნაციონალმა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ომთან. კოპენჰაგენის კონგრესმა, რომელიც შეიკრიბა 1910 წ. აგვისტოში განიმეორა შტუტჰარდტის რეზოლიუცია. „სამხედრო გართულებათა შემთხვევებისათვის კონგრესი ადასტურებს შტუტჰარდტის კონგრესის ანტიმილიტარისტულ რეზოლიუციას“, აცხადებს ის.

ბაზელის კონგრესი მეორე ინტერნაციონალისა საგანგებოთ შეიკრიბა 1912 წ. ნოემბერში. ის შესანიშნავი იყო მით, რომ მაშინ ყველანი გრძნობდენ მსოფლიო ომის მოახლოვებას. ამ კონგრესმა ერთხმათ დაადასტურა ორივე წინა კონგრესების მიერ მიღებული რეზოლიუციები ომის საკითხში და კიდევ უფრო გაუსვა ხაზი ანტიმილიტარისტულ პოლიტიკის წარმოების საჭიროებას ყველა ქვეყნებში.

ერთის სიტყვით, მსოფლიო ომის დაწყებამდის მეორე ინტერნაციონალის პოზიცია ომის საკითხში აშკარა იყო. მთელ რიგ რეზოლიუციებში ის მოუწოდებდა ყველა ქვეყნის სოციალისტებს ეწარმოებიათ სასტიკი ბრძოლა თავიანთი მთავრობების წინააღმდეგ და ამით შეესრულებიათ თავიანთი რევოლიუციონური მოვალეობა. აქ იყო სიტყვიერათ სრული ერთიანობა სოციალისტური მოძრაობის სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის.

ასეთი იყო მეორე ინტერნაციონალის სიტყვა.

როგორ იყო მისი საქმე? ამაზე პასუხს გვაძლევს მეორე ინტერნაციონალის პრაქტიკა ომის ხანაში.

მსოფლიო ომი დაიწყო... სხვადასხვა ქვეყნის იმპერიალისტურ მთავრობებმა გარეკეს მშრომელები სასაკლაოზე. ოთხი წლის განმავლობაში შეუწყვეტლივ გრძელდებოდა ეს უმაგალითო სისხლის ღვრა. დაიღუპა მრავალი მილიონი ადამიანები, განადგურდა უთვალავი სიმდიდრე. ზედმეტი არ იქნება აქ ქართველ მკითხველებს გავაცნოთ რაოდენობა იმ მსხვერპლისა, რომელიც შეეწირა მსოფლიო ომს.

საერთო სურათი მსოფლიო ომში დაღუპულ ადამიანთა მსხვერპლისა:

მოკავშირეები.

ქვეყნები.	მოკლულები.	მძიმეთ დაჭრილები.	მსუბუქად დაჭრ.	უგზო-უკვლოდ დაკ. და ტყვეები.
შეერთებული შტატ.	107,284	43,000	148,000	4,912
დიდი ბრიტანია . .	807,451	617,740	1,441,394	64,907
საფრანგეთი	1,427,800	700,000	2,344,000	453,500
რუსეთი	2,762,064	1,000,000	3,950,000	2,500,000
იტალია	507,160	500,000	462,196	1,359,000
ბელგია	267,000	40,000	100,000	10,000
სერბია	707,343	322,000	25,000	100,000
რუმინია	339,117	200,000	—	116,000
საბერძნეთი	15,000	10,000	30,000	45,000
პორტუგალია . . .	4,000	5,000	12,000	200
იაპონია	300	—	907	3
სულ . . .	6,944,519	3,437,740	8,516,497	4,653,522

ცენტრალური სახელმწიფოები.

ქვეყნები.	მოკლულები.	მძიმედ დაჭრილები.	მსუბუქად დაჭრ.	უგზო-უკვლოდ დაკ. და ტყვეები.
გერმანია	1,611,104	1,600,000	2,183,143	772,522
ავსტრო-უნგრეთი . .	911,000	850,000	2,150,000	443,000
ოსმალეთი	436,924	107,772	300,000	103,731
ბულგარეთი	101,224	300,000	852,399	10,825
სულ . . .	3,060,252	2,857,772	5,485,542	1,330,078
საერთო ჯამი ყველა სახელმწიფოებისათვის.	10,004,771	6,295,512	14,002,039	5,983,600

ამრიგად მსოფლიო ომში ყველა სახელმწიფოებს ერთად დაკარგვიათ მსხვერპლი: მოკლულები—10 მილიონი კაცი, მძიმეთ დაჭრილები—6 მილიონი, მსუბუქად დაჭრილები 14 მილიონი, უგზო-უკვლოდ დაკარგულა და ტყვედ ჩავარდნილა 6 მილიონი კაცი. ეს დაახლოვებითი ციფრებია. სტატისტიკამ დაგვიმტკიცა, რომ მძიმე დაჭრილებიდან 50 პროც. კვდებოდნენ. თუ მძიმეთ დაჭრილების ნახევარს (50 პროც.) მივუმატებთ მოკლულთა რიცხვს, მაშინ მივიღებთ საერთო რიცხვს—10 მილ.+3 მილ.=13 მილიონ მოკლულებს.

აი მსოფლიო ომის საშინელი შედეგები, ციფრებში გამოხატული!

13 მილიონი მოკლული!

ამდენი ადამიანები არ დახოცილა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების ყველა ომებში. მოვიყვანოთ ცნობები წინა ომებში დახოცილების შესახებ.

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ომების მსხვერპლი

რომელ ომებში	როდის	რამდენი ხნის განმავლობაში	მოკლულები
ნაპოლეონის ომები .	1799—1815	9.000 დღე	2.100.000
ყირიმის „ .	1854—56	713 „	785.000
პრუსია-დანიის „ .	1864	135 „	3.500
პრუსია-ავსტრიის „ .	1866	40 „	45.000
ამერიკის სამოქალ. „ .	1861—5	1.350 „	700.000
საფრანგეთ-პრუსიის „ .	1870—71	210 „	184.000
ინგლ. და ბურების „ .	1899—902	995 „	9.800
რუსეთ-იაპონიის „ .	1904—5	548 „	160.000
ბალკანეთის „ .	1912—13	238 „	462.000
სულ.	—	—	4.449.300

4 ნახევარი მილიონი მოკლული! ეს საერთო მსხვერპლია მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების ყველა ომებში მიტანილი. მაგრამ, როგორც ვხედავთ მსოფლიო ომში მოკლულთა რიცხვი (13 მილიონი) ორნახევარჯერ აღემატება ამ მსხვერპლს (4 ნახევარი მილიონი).

კომენტარები აქ საჭირო არ არის. არ არის საჭირო აგრეთვე მსოფლიო ომში დაღუპულთა სიცოცხლის დოლლარებში გამიანგარიშება, როგორც ეს სჩვევია ბევრ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს.

აქ მე არ შევჩერდები იმაზე, თუ რამდენი ხარჯი გაუწევია მეომარ სახელმწიფოებს თავის ჯარებზე და სამხედრო იარაღებზე. ეს ჩვენ ძლიერ შორს წაგვიყვანდა.

რასაკვირველია წინასწარ გათვალისწინება იმის, თუ რამდენი მსხვერპლი მოჰყვებოდა მსოფლიო ომს, შეუძლებელი იყო. მაგრამ ამის გათვალისწინება სრულებითაც არ იყო საჭირო მასთან დამოკიდებულების განსაზღვრისათვის. ყოველ შემთხვევაში მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა კარგათ იცოდენ, რომ ეს ომი თავისი საშინელებით წააცილებდა უწინდელ ომებს, იცოდენ რომ ამ ომში ჩათრეული იქნებოდა ასეული მილიონი ადამიანები. ამიტომ იყო, რომ მეორე ინტერნაციონალი თითქოს ემზადებოდა მსოფლიო იმპერიალისტური ომისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

ჩვენ გავეცანით შტუტჰარდტის, კოპენჰაგენის და ბაზელის კონგრესების რეზოლიუციებს. შეეცადა თუ არა მეორე ინტერნაციონალი და მისი პარტიები ამ რეზოლიუციების განხორციელებას? თუ ეს რეზოლიუციები მარტო ქაღალდზე დარჩენ?

მოხდა „საკვირველება“! მეორე ინტერნაციონალი ომის დაწყებისთანავე დაიშალა, დაეცა. პირველი თოფის გავარდნისთანავე დავიწყებულ იქნა, როგორც სოციალიზმის პრინციპები და კლასიური ბრძოლა, ისე თავისი საკუთარი რევოლიუციონური რეზოლიუციებიც. იმის ნაცვლათ რომ ყველა ქვეყნების სოც.-დემ. პარტიებს ერთმანეთისთვის გაეწიათ დახმარება ყველა მთავრობების წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ თავიანთ ნაციონალურ ქოხებს შეაფარეს თავი.

დამსხვრეული მეორე ინტერნაციონალის ნაცვლათ განვითარდა მძლავრი სოციალ-პატრიოტული მიმდინარეობა. ამ მიმდინარეობამ ანტიმილიტარისტული პროპაგანდის მაგიერ წამოაყენა ლოზუნგი „სამშობლოს დაცვისა“. გერმანიის სოციალ-დემოკრატებმა დაისახეს მიზნათ თავისი სამშობლოს დაცვა; ასევე ბელგიის, საფრანგეთის, ინგლისის და სხვ. ამრიგათ ამ სოციალ-პატრიოტებმა მუშათა კლასი ყველა ქვეყნებში დროებით ჩამოაბეს კაპიტალიზმის ეტლს. დავიწყებულ იქნა ინტერნაციონალური სოლიდარობა და ძმობა. სოციალდემოკრატები თვითმოხალისეებათ ეწერებოდენ ჯარში და აქეზებდენ ჯარისკაცებს მტრის წინააღმდეგ.

მეორე ინტერნაციონალის ასეთმა პოლიტიკამ დიდი ზიანი მიაყენა მუშათა საერთაშორისო მოძრაობას. თითქმის ყველა სოც.-დემ. პარტიებმა დაკარგეს თავისი სახე და ჩაგორდენ ნაციონალ-შოვინიზმის მყრალ ჭაობში. მხოლოდ იტალიის, რუსეთის, სერბიის და ბულგარეთის სოც.-დემ. პარტიები შერჩენ ინტერნაციონალის პრინციპებს. მსოფლიო ომი—ეს გამოცდა იყო მეორე ინტერნაციონალის. ეს გამოცდა მან ვერ დაიჭირა.

ძ. ორაგველიძე

კომუნისტური ინტერნაციონალის არსებობისა და ბრძოლის ხუთი წლის თავისათვის

რუსეთის კომპარტიის ცეკას მოწოდება

ყველა მუშებისა და მშრომელებისადმი

მოსკოვი. 4 მარტი. ამხანაგებო, კომინტერნი გადადის თავის არსებობის მეექვსე წელიწადში. 5 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მეფის კრემლის კედლებში ყველაზე რევოლიუციონურ პარტიის თაოსნობით და ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით, ლენინის, რომელიც პოლიციელ სიშიკების მიერ დევნის შემდეგ გახდა დიდი სახელმწიფოს მეთაურად,—დაარსდა 3 ინტერნაციონალი. კაპიტალის წინააღმდეგ დარაზმულ საერთაშორისო აჯანყების წითელი დროშა აფრიალდა პროლეტარულ რუსეთის დედა-ქალაქზე. საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში ეს დღე იქნება ერთ უმნიშვნელოვანეს დღეთ, ვინაიდან აქ მოწყობილ იქნა ის რევოლიუციონური ცენტრი, რომელმაც თანდათანობით გაავრცელა თავისი გავლენა მუშათა ფართე წრეებზე და რომლის ხმა გასაგონი გახდა დედამიწის ყველა მიყრუებულ პუნქტებში,—მძლავრ რევოლიუციონურ მოძრაობის ცენტრი, რომელიც გადაიქცა გადამწყვეტ ძალათ მთელ საერთაშორისო პოლიტიკაში.

ჩვენი რევოლიუცია წარმოიშვა, როგორც ხალხთა დაბალ ფენების ძლიერი პროტესტი ყველაზე საშინელ და საძაგელ ომის წინააღმდეგ, როგორიც კაცობრიობას არ ახსოვს. ჩვენმა რევოლიუციამ შეუპოვრად მოუწოდა მუშებს საერთაშორისო ძმობისაკენ და ეს მოწოდება მძლავრ ტალღასავით ვრცელდებოდა სანგრებში გაბოლშევიკებულ ჯარის-კაცებს შორის, მავთულებიან ხლართულებში, სიძულვილის, მოტყუების და სიცრუის ადგილებში, სისხლის ზღვაში და ომში დახოცილთა შორის. გამცემლობისაგან, ბურჟუაზიის მონობისაგან განთავისუფლებულ ახალ ინტერნაციონალის იდეა, რევოლიუციონურ ბრძოლის ინტერნაციონალის იდეა იზრდებოდა არა დღითი დღე, არამედ საათობით...

იმ ასეულ ათას მშრომელთა ოცნება, რომელთაც პირველად იგრძნეს თავიანთი ძალა, ფაქტი გახდა: მესამე ინტერნაციონალი შეიქმნა. მას მეთაურობდა ჩვენი პარტია, რომელიც დევნილ არალეგალურ მუშაობიდან გამოსვლის შემდეგ გახდა პროლეტარულ დიქტატურის ხერხემლად. „რუსეთის რევოლიუცია საბოლოოთ გაიმარჯვებს, როგორც საერთაშორისო“, ასე განაცხადა იმ თავითვე ჩვენმა პარტიამ. სასტიკ სამოქალაქო ომის დროს, როცა პროლეტარიატის ყველაზე გმირმა და საუკეთესო შვილებმა სიცოცხლე შესწირეს გაცხარებულ თავდადებულ ბრძოლას გენერლების, თავად-აზნაურების, ფაბრიკანტების წინააღმდეგ, საერთაშორისო რევოლიუციის მსოფლიო დიადი იდეა მატებდა მათ ძალას გადაეტანათ ყოველგვარი გაჭირვება და არაადამიანური წამება. სასიკვდილოთ გადიოდენ ჩვენი საუკეთესო ამხანაგები—და გაიმარჯვეს, დაიცვეს ქვეყანა, შექმნეს და განამტკიცეს საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენი რევოლიუციის მიერ გაკეთებული ბზარი კაპიტალისტურ რეჟიმში მოასწავებდა მთელ იმპერიალისტურ ფრონტის გარღვევას. დაემხვნენ ტახტები, აბობოქრდა მასსა. „მსოფლიო ბოლშევიზმი“ ძლევა-მოსილი ნაბიჯებით წავიდა წინ.

კომუნისტური ინტერნაციონალი დაარსებული იყო ევროპიული რღვევისა და საერთაშორისო რევოლიუციის დაწყების დროს. ის დაარსებული იყო იმ დროს, როდესაც ჩვენ შეუპოვარ ბრძოლას ვაწარმოებდით ოპორტუნისტებთან, მუშათა კლასის მოღალატეებთან, რომელნიც გადავიდენ ბურჟუაზიის მხარეზე და პროლეტარულ მასის წინააღმდეგ იარაღით ხელში მებრძოლ ქვეყნების რიგებში ჩადგენ. ამ ბრძოლაში შესაძლებელი გახდა პროლეტარების მტკიცე რიგებში გაერთიანება იმავე ლოზუნგების და იმავე დროშის ქვეშ, რომლითაც მიდიოდა, იბრძოდა და იმარჯვებდა რუსეთის ბოლშევიკების რკინისებური პარტია.

პროლეტარიატის დიქტატურა—აი ღერძი მთელი კომუნისტური პოლიტიკის. საბჭოთა ხელისუფლება—აი ლოზუნგი, რომელიც წამოაყენა რუსეთის რევოლიუციამ; ეს ლოზუნგი კომინტერნმა გაავრცელა მთელს მსოფლიოში.

მუშების კავშირი კოლონიალურ მონებთან, დიდებული კავშირი პროლეტარულ დასავლეთსა და დაჩაგრულ აღმოსავლეთს შორის—აი, კომინტერნის საერთაშორისო ლოზუნგი.

მუშების და გლეხების კავშირი—აი, გარანტია პროლეტარიატის გამარჯვებისათვის. მწყობრ, გაერთიანებულ პროლეტარულ რიგების შედუღება—აი, საწინდარი ნაყოფიერი ბრძოლის.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ოპორტიუნიზმის წინააღმდეგ—აი, პირობა მუშების გამარჯვებისათვის.

იმ დიდ გამოცდილებას, რომელიც მიიღო რუსეთის რევოლიუციამ და რევოლიუციონურმა მოძრაობამ სხვა ქვეყნებში, დაწყებული გერმანიიდან და გათავებული ეგვიპტით და ინდოეთით, ამუშავებენ და ითვისებენ კომინტერნის ყველა სექციები.

მტკიცდება და იზრდება დიდებული მოძრაობა, მიუხედავათ ყველა იმ კრიზისებისა, რომელსაც ადგილი აქვს საერთაშორისო რევოლიუციის მსვლელობაში. მილიონი პროლეტარები და მილიონი კოლონიალური მონები თავს იყრიან ჩვენი დროშის, კომინტერნის დროშის გარშემო. მარქსის და ლენინის სახელები, მათი მოძღვრება გზის მანათობელი ვარსკვლავია ჩვენთვის. ერთნაირათ მოაზროვნე პატარა ჯგუფიდან კომინტერნი გადაიქცა ისეთ ძალათ, რომლის შესახებაც შიშითა და ძრწოლით ლაპარაკობს მთელი საერთაშორისო ბურჟუაზია. კომინტერნისათვის მხარის დაჭერა, დედამიწის ყველა კუთხეებში გაბნეულ ამხანაგებთან ერთად—ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. არა ერთხელ დაგვეხმარებიან ჩვენ ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები. ეხლა, როდესაც მათ არა ერთი მთავრობა აიძულეს ანგარიში გაეწია ჩვენი რესპუბლიკების კავშირისათვის ჩვენ განსაკუთრებით ნათლად ვხედავთ, თუ რას ნიშნავს პროლეტარული სოლიდარობა. დაქუცმაცებული პროლეტარიატი არაფერი არ არის. გაერთიანებული—ყველაფერია.

მუშების კომუნისტურ საერთაშორისო გაერთიანების 5 წლის იუბილეს დღეს, ჩვენი კავშირის მშრომელი მასსები გაერთიანდებიან ერთ ძლიერ შეძახილში: „დღეგ იცოცხლოს, დღეგ იბრძოლოს, დღეგ გაიმარჯვოს კომინტერნმა.“

საქართველოს მთელი მუშათა ახალგაზრდობა თავის კავშირში

აი, უკვე ერთი თვეა, რაც სწარმოებს დიდი მუშაობა დაზგასთან მდგომ მუშების პარტიაში მისაღებათ. სრულიად საკავშირო პარტკონფერენციამ დაადგინა მახლობელ 3 თვის განმავლობაში მიიზიდოს რუსეთის კომპარტიაში 100.000 დაზგასთან მდგომი მუშა. ილიჩის გარდაცვალების შემდეგ არ გასულა სამი თვე და დღეს უკვე შემოტანილ განცხადებათა რაოდენობა აღემატება აღნიშნულ რიცხვს. ეს ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ კომპარტიას ღრმად აქვს ჩაშვებული ფესვები მუშათა კლასის წიაღში და მცირეოდენი საშიშროება საკმარისია, რომ მათ თავიანთი გულმხურვალებით დაიცვან საბჭოთა ხელისუფლება და მისი ხელმძღვანელი რუსეთის კომპარტია. სწორეთ ასეთსავე მოვლენას ადგილი აქვს მუშათა ახალგაზრდობის შორის.

თუ ავიღებთ საქართველოს ახკომკავშირს, ჩვენ დავინახავთ რომ მუშათა ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა იმყოფება კომკავშირში,—ემზადება გახდეს პარტიის წევრებათ. **მაგრამ ჩვენ ეს მაინც არ გვაკმაყოფილებს. ჩვენთვის საჭიროა მთელი მუშათა ახალგაზრდობა,** რომელიც ჯერ კიდევ არ ითვლება კავშირში—**ჩავაბათ ჩვენს რიგებში.**

ამხანაგმა **სერგო ორჯონიკიძემ** საქართველოს კომკავშირის ცეკას შესახებ ანგარიშის განხილვის გამო საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობაზე, წამოაყენა ლოზუნგი: „შემდეგ პარტ-ყრილობისათვის **საქართველოს მთელი მშრომელი ახალგაზრდობა უნდა შევიდეს ახალგაზრდათა კომკავშირში**“. დღეს ჩვენ ამ ლოზუნგს უფარდებთ კონკრეტულ პირობებს. საქართველოს პარტ-ყრილობა გაიმართება ორი თვის შემდეგ—**ამ ვადისათვის ფაბრიკა-ქარხნებში, წარმოებებში და სახელოსნოებში არ უნდა დარჩეს არც ერთი უპარტიო ახალგაზრდა მუშა.** საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის მუშათა ახალგაზრდობამ ბელადის გარდაცვალების შემდეგ უნდა შეამჭიდროვოს თავისი რიგები თავის კლასიურ ორგანიზაციის-კომკავშირის ირგვლივ. კომკავშირში იგი უნდა გამოიწრთოს და გაკაჟდეს ბოლშევიკურად, გაიმსჭვალოს სამღვთო სიძულვილით ბურჟუაზიისადმი, აღიზარდოს ლენინიზმის იდეების მიხედვით მოემზადოს ილიჩის პარტიაში შესასვლელად და გახდეს თავის უფროს ამხანაგების ღირსეული მოადგილე. ლენინიზმის იდეების მიხედვით აღზრდა მით უმეტეს საჭიროა დღეს, რომ რუსეთის კომკავშირის ცეკას პლენუმმა დაადგინა ჩვენს კომკავშირს სახელად უწოდეს „ლენინის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი“. ეს არ არის უბრალო სააგიტაციო ზომა, არამედ ეს არის ჩვენი კავშირის განვითარების ისტორიული ეტაპი ამას უნდა მიექცეს პარტიის და კავშირის მთელი ყურადღება. სახელწოდება „ლენინის“ ჩვენ **ბევრ რამეს გვავალებს**, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავის თავს ვერ გაამართლებს, ვის წინააღმდეგაც ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ გაბედულად. მთელი მსოფლიო დარწმუნდა, რომ არ არსებობს სხვა პარტია, გარდა კომპარტიისა, რომელიც იცავს მუშათა კლასის ინტერესებს. აი, ამიტომ გამოეხმაურენ მუშათა ფართე მასსები. თავიანთ ავანგარდის მოწოდებას მშრომელთა ფართე წრეების აღზრდა თავისი წინამძღოლის იდეების მიხედვით, განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, წვრილბურჟუაზიულ ქვეყნის პირობებში, ბოლოსდაბოლოს ნიშნავს ახალგაზრდობის სათანადოთ აღზრდას.

არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის, რომ თუ პარტიას უნდა იყოს ძლიერი, ფოლადისებური, ლენინის პარტია,—მისი წევრები თავისუფალი უნდა იქნენ მეშჩანურ და წვრილბურჟუაზიულ აზრებისაგან. გლეხური საქართველო არ უწყობს ხელს ამ ძირითად პირობას. ძნელი ხდება მუშების ძველი თაობის გადამუშავება ამ მხრივ. ჩვენმა პარტიამ ყოველივე ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ მუშათა კლასის მოზარდი თაობა აღიზარდოს მტკიცე კლასობრივ, ლენინის იდეებით; ის არ უნდა ემორჩილებოდეს წვრილბურჟუაზიულ რყევას.

ახალგაზრდობის კომკავშირი უნდა იყოს ის ქურა, სადაც უნდა ხდებოდეს გამოწრთობა და საუკეთესო ელემენტების შერჩევა პარტიისათვის გადასაცემად. ახალგაზრდობის კომკავშირი არის საცერი—პარტიის საკანდიდატო სკოლა, საფეხური ბოლშევიკ ლენინელების პარტიაში გადასასვლელად.

რასაკვირველია, ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ახალგაზრდობის კომკავშირი, ეს ისეთი ორგანიზაციაა, რომელშიაც ყველას აქვს ადგილი და მხოლოდ პარტიაში გადასვლის დროს ხდება ფილტრაცია. არაფერი ამის მსგავსი!

ახალგაზრდობის კომკავშირი, როგორც ასეთი, უნდა თვით იყოს ახალგაზრდობის სამაგალითო, კლასობრივი ორგანიზაცია, მაგრამ იმისათვის, რომ გახდე პარტიის წევრი, საჭიროა ამ დიადი სახელის ღირსი იყვე ყოველ მხრივ. აი, ამიტომ ჩვენ აუცილებლად უნდა განვავითაროთ ჩვენი მუშაობა და გავატაროთ ის ლენინიზმის ქურაში.

ახალგაზრდობის კომკავშირმა უნდა მოუმზადოს პარტიას ღირსეული მოადგილენი. ამ შემთხვევაში მთელი მშრომელი ახალგაზრდობა უნდა იყოს ახალგაზრდობის კომკავშირში. საქართველოს მშრომელმა ახალგაზრდობამ უნდა გაამართლოს პარტიის ნდობა. ახალგაზრდობის კომკავშირის კომიტეტებმა უნდა მიიღონ ყოველივე ზომები იმისათვის, რომ ფართოდ განუმარტოს მშრომელ ახალგაზრდობის მასსებს მიმდინარე ამბების აზრი. ჩვენი პასუხი უნდა იყოს: **ბელადის სიკვდილის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო გავამჭიდროებთ ჩვენს რიგებს. ჩვენ ჩვენი ძლიერი კოლექტივით შევავსებთ ანაზღაურებელ დანაკლისს. საქართველოს მთელი მშრომელი ახალგაზრდობა თავის ორგანიზაციაში—ახალგაზრდობის კომკავშირში!**

ამ ლოზუნგით უნდა სწარმოებდეს ერთი თვის განმავლობაში ჯერ კიდევ კომკავშირის გარეშე დარჩენილ მშრომელ ახალგაზრდობის მიღება.

ზ. დევდარიანი.

წიგნების გაიაფება

(ჩვენი მოსკოვილი კორესპონდენტისაგან)

წიგნების სიძვირის საკითხი დასმული იყო ფრიად მწვავედ. ბეჭდვითი ნაწარმოები დიდი ფასების გამო ფუფუნებათ გახდენ და მასიური მკითხველი მოკლებული იყო წიგნების შეძენის საშუალებას. მოსკოვში ამ უკანასკნელ დროს ეს საკითხი იდგა ცენტრალურ ორგანოებში. დანიშნული იყო შინაური ვაჭრობის კომიტეტის მიერ სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია წიგნების თვითღირებულება. საბოლოვოთ საკითხი გადიჭრა რ. კ. პ. ცენ. კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებასთან მოწვეული თათბირის მიერ. თათბირმა გამოიმუშავა მაქსიმალური ფასები ბეჭდვითი ნაწარმოებებზე; მათი აწევის უფლება არ აქვს არცერთ საბჭოთა და პარტიულ გამომცემლობას. ეს მაქსიმალური ფასები უნდა მიღებული იქნას მხედველობაში აწი გამოსაცემ წიგნებისათვის, ხოლო აქამდი გამოცემულზე მცირდება ფასები 20 პროცენტით.

დადგენილების მიხედვით გამომცემლობა ვალდებულია დაადვას წიგნს ფასი იმ ანგარიშით, რომ თვითეული დაბეჭდილი ფურცელი (დაბეჭდილი ტექსტის 16 გვერდი ჩვეულებრივი ფორმატისა) ღირდეს 8 კაპიკი (ჩერვონცით) ათი ათას ეგზემპლიარზე მეტი რიცხვის გამოცემის დროს; 10 კაპიკი—ხუთი ათასიდან ათ ათასამდე გამოცემის დროს და 12 კაპიკი—ხუთი ათასზე ნაკლებ რიცხვის გამოცემის შემთხვევაში. თვითღირებულების გადიდება შეიძლება დაშვებული იქნეს არა უმეტეს ვიდრე სამჯერ. აქამდი კი ამრავლებდენ ოთხჯერ და ხუთჯერ. თვითეულ წიგნზე აღნიშნული უნდა იქნას ფასი ჩერვონცებით, რომლის აწევა აკრძალულია.

ახლანდელ ფასებთან შედარებით ეს ზომა ამცირებს წიგნების ფასებს დაახლოვებით 40 პროცენტით. მაქსიმალური ფასების დაცვა სავალდებულოა სახელმძღვანელო, ეკონომიურ და პოლიტიკურ წიგნებზე, და პოპულიარ-ბროშიურებზე, რომელნიც იბეჭდება მასიურ მკითხველებისათვის. სამეცნიერო, სამხატვრო და მდიდარი ილიუსტრაციებით გამოსაცემ ნაწარმოებებზე მაქსიმალური ფასების დაცვა არ არის სავალდებულო.

ამას გარდა გაყიდვის დროს „სკიდკის“ უფლება ეძლევათ მოსწავლეებს, მუშებს, გლეხებს და წითელ არმიელებს: მათ უნდა მიეყიდოსთ წიგნი 20 პროცენტის დაკლებით, რაც საერთოდ შეადგენს 6 პროცენტით გაიაფებას ახლა არსებულთან შედარებით. კოლექტიური ყიდვის დროს ზევით ნაჩვენებ ჯგუფებს ეძლევათ სამი თვის კრედიტის სარგებლობის უფლება. ოცი პროცენტის „სკიდკა“ ვრცელდება მხოლოდ მსხვილ სამრეწველო ქალაქებზე ციმბირისა და კავკასიის გამოკლებით, სადაც „სკიდკა“ უნდა იყოს 15 პროცენტი.

ეს დადგენილება ძალაში შედის 25 თებერვლიდან და ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო და პარტიულ გამომცემლებზე. კერძოებზე არ ვრცელდება, მაგრამ ისინი იძულებული იქნებიან თავის ნებით გააიაფონ წიგნები მყიდველების დაკარგვის შიშით.

ლან—ძე.

მოსკოვი, 26 თებერ.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

განახლებული ოსმალეთი

მეჯლისში ქემალ-ფაშამ წარმოსთქვა საპროგრამო სიტყვა:
ახალი ბიუჯეტით ხარჯები სახალხო განათლებაზე გადიდებულია ათი მილიონი ლირით.
ქემალ-ფაშა საჭიროთ სცნობს სარწმუნოებრივი სასამართლოების მოსპობას.
ანგორა რჩება სატახტო ქალაქად.
ოსმალეთის სახალხო პარტია მოითხოვს ხალიფის დინასტიის ყველა წევრების განდევნას ოსმალეთიდან. ხალიფი გადადგომას აპირებს.
პრესა, გარდა კლერიკალურისა, აღტაცებით შეხვდა ქემალ-ფაშას საპროგრამო სიტყვას.
ისმეტ-ფაშას კაბინეტი გადადგომას აპირებს.

ახალი გზით

ქემალ-ფაშას საპროგრამო სიტყვა.

ანგორა. 2 მარტი. მეჯლისში წარმოთქმულ საპროგრამო სიტყვაში ქემალ-ფაშამ აღნიშნა, რომ მთელი ქვეყანა ენტუზიაზმით შეხვდა რესპუბლიკანურ წესწყობილებას, რადგანაც ხალხმა გაიგო, რომ მხოლოდ რესპუბლიკა უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებას და იცავს ხალხს მონობისაგან. ოსმალეთის რესპუბლიკას გადაწყვეტილი აქვს მტკიცეთ დაიცვას თავისი უფლებები ძლევამოსილი არმიის დახმარებით.

ოსმალეთის მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს მიწათმოქმედების და სასოფლო-მეურნეობის განვითარებას და დიდ ყურადღებას მიაქცევს საზღვაო ტრანსპორტს და რკინის-გზებს.

ახალი ბიუჯეტის მიხედვით კრედიტები განათლებისათვის გადიდებულია 10-ჯერ.

საჭიროა სასამართლო ორგანოების გადახალისება ახალ პრინციპებზე (ნაგულისხმევია სარწმუნოებრივ სასამართლოების ლიკვიდაციის აუცილებლობა). ოსმალეთის რესპუბლიკა ყოველმხრივ წინააღმდეგობას გაუწევს რელიგიის პოლიტიკური პროპაგანდის იარაღათ გადაქცევის ცდას. რელიგიის და ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ რელიგიის გამოყოფას პოლიტიკისაგან.

ანგორა დარჩება სატახტო ქალაქად. ქემალმა განაცხადა, რომ განახლებულია დიპლომატიური ურთიერთობა და დადებულია ხელშეკრულება მთელ რიგ სახელმწიფოებთან. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოსმალეთი გულწრფელად მიისწრაფვის საბჭოთა კავშირთან მეგობრული კავშირის დაცვისაკენ. ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა მიმართულია მშვიდობიანობისა და ხელშეკრულებათა დაცვისაკენ.

ოსმალეთის პრესა ფიქრობს, რომ რეფორმები, რომლებიც მოსალოდნელია ქემალის დეკლარაციასთან დაკავშირებით, მიღებული იქნება მეჯლისის დიდი უმრავლესობის მიერ.

სახალხო პარტიის მოთხოვნილება.

ანგორა. 2 მარტი. სახალხო პარტიის ლიდერებმა მეჯლისში მოითხოვეს ოსმალეთიდან ხალიფის დინასტიის ყველა წევრების განდევნა, ხალიფის-მეჯიდის გადაყენება და ახალი ხალიფის დანიშვნა არა ოსმანთა დინასტიის წევრებისაგან. კამათის დროს გამოირკვა, რომ მეჯლისის უმრავლესობა ემხრობა ოსმანთა დინასტიის გაძევებას და ხალიფის გადაყენებას.

ქრის ახალი ქარი.

ანგორა. 2 მარტი. დეპუტატები—მოლები აცხადებენ, რომ რელიგიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან და ხალიფატის რეფორმა არ ეწინააღმდეგება რელიგიის კანონებს.

დინასტიის წევრები სასწრაფოდ ემზადებიან გასამგზავრებლად. ხალიფს გადაწყვეტილი აქვს გაგზავნოს ანგორაში ცნობა გადადგომის შესახებ და გაემგზავროს უცხოეთში.

განგაში დინასტიის წევრებს შორის.

ანგორა. 2 მარტი. დინასტიის წრეებში ძლიერი მღელვარება და განუწყვეტელი თათბირია. ანგორიდან მიღებულ ბრძანებით, სტამბოლის ხელისუფლებამ ჩაიბარა დასაცავად ხალიფატის მთელი ქონება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი დატაცება დინასტიის წევრების მიერ. ხალიფმა ამჯობინა არ გადადგეს, დაუცადოს ამბებს და დაემორჩილოს ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილებას. ოსმალეთის მთავრობა გაგზავნის დინასტიას ხალიფის მეთაურობით ერთ გემზე. ხალიფს განზრახული აქვს იცხოვროს ერთ-ერთ მუსლიმანურ ქვეყანაში, შეიძლება, ეგვიპტეში.

დინასტია ადგენს ქონების სიას. განსაკუთრებული მღელვარებაა მრავალრიცხოვან ჰარამხანაში.

ოსმალეთი ახალ გზაზე.

ანგორა. 2 მარტი. სტამბოლში და ანგორაში დიდი აღტაცებაა. მეჯლისის შენობა გარშემორტყმულია ხალხით, რომელიც მსჯელობს მომხდარ ამბებზე. საერთო აზრი ისეთია, რომ ოსმალეთმა გადასწყვიტა შევიდეს კულტურულ ხალხთა ოჯახში. კლერიკალური ორგანოები სდუმან, რადიკალური ორგანოები რელიგიურ საფუძვლებს უძებნიან რეფორმებს. „ემერი" აცხადებს, რომ მაგომეტმა დააწესა ხალიფატი მხოლოდ 30 წლით სიკვდილის შემდეგ, ამიტომ ხალიფები უკანონო იყვნენ. „ემიკუნი" სწერს: „ხალიფატი ბერძნებთან ერთად გზავნიდა არმიებს ანგორის წინააღმდეგ. დინასტიის წევრები სიკვდილით უნდა დასჯილიყვნენ სტამბოლის დაკავების დროს, მაგრამ გადარჩნენ მხოლოდ შემთხვევით. ხალიფის შვილი ისეთივე არის, როგორც მისი გაიძვერა მამა ექს-სულთანი. ხალიფი რეგულიარულად მუშაობდა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ეს გასაგებია, ვინაიდან ხალიფატი ნიშნავს ისეთ მთავრობას, რომელიც ვერ ეგუება რესპუბლიკას. დეე, დაილუპოს მოღალატე დინასტიის მოდგმა.

უმნიშვნელო ხალიფს არ შეიძლება ეწოდოს ადამიანი და ოსმალო. რესპუბლიკა არასოდეს არ მიიღებს ხალიფატს. დღეიდან ის თვითვე არის ხალიფატი, დინასტია, უმაღლესი ხელისუფლება".

ოსმალეთის გამოფხიზლება.

ანგორა. 2 მარტი. „ხაკიმიეტ-მილიე" სწერს: „ხალიფატი აფერხებდა აღმოსავლეთის განვითარებას, აძლიერებდა მას უმოქმედობას და სიზანტეს. ხალიფატისაგან განთავისუფლების შემდეგ ოსმალეთის ერი გასწევს პროგრესისა და კულტურისაკენ".

ისმეტ-ფაშას კაბინეტის გადადგომა.

ანგორა. 2 მარტი ანგორის გაზეთები იუწყებიან, რომ ისმეტ-ფაშას კაბინეტს შეაქვს განცხადება გადადგომის შესახებ. შესაძლებელია, რომ კრიზისის თავიდან აშორების მიზნით, ისმეტ-ფაშა დარჩება პრემიერათ და დაკმაყოფილდება მხოლოდ ორი-სამი კომისრის გამოცვლით.

ოსმალეთის სახალხო პარტიის დადგენილებანი.

ხალიფატის მოსპობა.

ანგორა. 2 მარტი. სახალხო პარტიამ ხალიფატის არსებობის საკითხის განხილვის შემდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ხალიფი ითვლება გადაყენებულად, ხოლო ხალიფატი გაუქმებულად. გადაყენებულ ხალიფს, ისევე როგორც დინასტიის ყველა წევრებს—ქალებს მამაკაცებს—სამუდამოდ ესპობათ ოსმალეთში ცხოვრების უფლება, ისინი ვალდებული არიან ამ კანონის გამოქვეყნებიდან 10 დღის განმავლობაში დასტოვონ ოსმალეთის ტერიტორია, მათ ესპობათ ოსმალეთის მოქალაქის ყველა უფლებები და უპირატესობანი და არ შეუძლიათ უძრავი ქონება იქონიონ ოსმალეთის საზღვრებში.

უძრავი და მოძრავი ქონება, სასახლეები, ავეჯი, ხელსაწყოები და სურათები, რომელიც იყო წინანდელი სამეფო ოჯახის წევრების ხელში, სავსებით გადაეცემა ხალხს. დინასტიის წევრებს ეძლევათ ერთდროულად თანხა სხვადასხვა რაოდენობით, მათი შეძლების მიხედვით.

შარიატ ევკაფის კომისარიატის გაუქმება.

ოსმალეთის რესპუბლიკა, რომელიც იცავს ახალ წესწყობილებას, ზედმეტათ სთვლის წინანდელ კონსტიტუციის მიერ დაკანონებულ სარწმუნოების და ვაკუფების კომისარიატის არსებობას. ვაკუფები გადაცემული უნდა იქნეს ხალხისათვის და შემუშავებული უნდა იქნეს მათი მართვა-გამგეობის წესი.

ამ კანონ-პროექტის მიხედვით მიღებულია შემდეგი დებულება: რესპუბლიკის დედა-ქალაქში დაარსებული იქნება სარწმუნოების საქმეების მთავარი განყოფილება, რომელმაც უნდა განახორციელოს და გაატაროს ცხოვრებაში რელიგიის მოთხოვნილებები, რომელიც ეხება ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს. რელიგიის და ვაკუფების კომისარიატი გაუქმებული იქნება. რელიგიურ საქმეების განყოფილება ემორჩილება კომისართა საბჭოს თავმჯდომარის სამმართველოს. განყოფილების სტრუქტურა განმარტებული უნდა იქნეს, ამას გარდა მისი მოწყობისათვის გამოცემული იქნება განსაკუთრებული ინსტრუქცია. განყოფილების უფროსს ენიჭება იმამების, შეიხების, მუეძინების დანიშვნის და დათხოვნის უფლება მთელს რესპუბლიკაში, ყველა მეჩეთებში და მონასტრებში. რელიგიურ საქმეთა განყოფილების პრეზიდიუმს შეადგენს მუფტიების საბჭო. ხალხის ინტერესებისათვის ვაკუფების მმართვა-გამგეობა ჩაბარებული იქნება კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს.

მდგომარეობა გერმანიაში

ბრძოლა ბურჟუაზიის დიქტატურის წინააღმდეგ.

„როტე ფანეს" გამოცემის განახლება.

ბერლინი. 2 მარტი. სამხედრო წესების გაუქმების შემდეგ განახლდა კომპარტიის ცენტრალურ ორგანოს „როტე ფანეს" გამოცემა. გაზეთი აცხადებს, რომ კომპარტია გამოიყენებს დღევანდელ თავის ნახევრად ლეგალურ მდგომარეობას ბრძოლისათვის ბურჟუაზიის დიქტატურის წინააღმდეგ და პროლეტარიატის დიქტატურის სასარგებლოთ. სოციალ-დემოკრატების პროფკავშირთა ბიუროკრატია—არის ბურჟუაზიის უკანასკნელი დასაყრდენი, რომლის წინააღმდეგ კომპარტია აწარმოებს გაბედულ ბრძოლას. კომპარტიას არ შეაშინებს აკრძალვა. ის მტკიცეთ სდგას მუშათა მოძრაობის სათავეში და იბრძოლებს, როგორც ფაშისტების დემაგოგიის, ისე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა.

ბერლინი. 2 მარტი. გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანება განაგრძობს ცდას პროფკავშირთა მოძრაობაში განხეთქილების გამოსაწვევად. გაერთიანების პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა ოპოზიციონურ თანამდებობის პირებს ხელი მოაწერონ ვალდებულებას, რომ ისინი იზიარებენ ამსტერდამის ინტერნაციონალის წესდებას, ყოველგვარ კავშირს სწყვეტავენ წითელ პროფინტერნის მიმდევარ ორგანიზაციებთან და არ შეასრულებენ პოლიტიკურ პარტიების არც ერთ დირექტივს პროფმოძრაობის საკითხში. ოპოზიცია უარს ამბობს ვალდებულების ხელისმოწერაზე, რის გამოც გაერთიანების პრეზიდიუმმა გადასწყვიტა გადააყენოს თანამდებობიდან ოპოზიციონერები და გამორიცხოს ისინი პროფკავშირებიდან. კომპარტია ყოველ ძალ-ღონეს ხმარობს განხეთქილების თავიდან ასაშორებლად.

რა ხდება ინგლისში

თვითონ ეჭვობენ.

ბერლინი. 4 მარტი. ბრიტანეთის მუშათა პარტიის წევრებს ეჭვი შედით იმაში, რომ მუშათა კაბინეტი იარსებებს გაზაფხულამდე და შესაძლებლად მიაჩნიათ ახალი არჩევნები გაზაფხულზე ან კიდევ უფრო ადრე. ბოლდვინმა კემბრიჯში გამოსვლის დროს იმედი გამოსთქვა, რომ მუშათა კაბინეტი დარჩება ხელისუფლების სათავეში მანამდე, სანამ არ გაატარებს თავის პროგრამას.

მაკდონალდის და პუანკარეს მიწერ-მოწერა

ლონდონი. 3 მარტი. გამოქვეყნდა წერილები, რომლებიც ერთმანეთს გაუგზავნეს მაკდონალდმა და პუანკარემ.

მაკდონალდი სწერდა;

„ჩემი მთავარი მიზანია ნათელი გავხადო თქვენთვის, რომ წარსული გაუგებრობანი და უთანხმოებანი შესაძლებელია გამოსწორებული იქნეს და დავარწმუნოთ, რომ მე მზადა ვარ ხელახლა განვიხილოთ საკითხი ყოველმხრივ.

ინგლისში გავრცელებულია აზრი, რომ საფრანგეთი, წინააღმდეგ ვერსალის ხელშეკრულებისა, ცდილობს შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომელიც საშუალებას მისცემს მას მოიგოს ის, რის მიღებაც მან ვერ მოახერხა საზავო მოლაპარაკების დროს. ზოგიერთ ჩემ თანამემამულეთა აზრით, ასეთ პოლიტიკას შეუძლია გააახანგრძლივოს გამოურკვეველი, საშიში, არა მშვიდობიანობის, არამედ ომის მდგომარეობა; ასეთი პოლიტიკა, ბოლოს-და-ბოლოს ძირს გამოუთხრის იმ დროებით უშიშროებასაც, რომელიც საფრანგეთმა უზრუნველყო თავისთვის".

„ინგლისის მდგომარეობა,—სწერს მაკდონალდი,—სულ სხვანაირია. ჩვენი უშიშროება, როგორც საზღვაო, ისე ხმელეთზე უზრუნველყოფილია, მაგრამ ჩვენი ეკონომიურ მდგომარეობა საგრძნობ საფრთხეს განიცდის".

პუანკარე თავის პასუხში სავსებით ეთანხმება მაკდონალდის მიდგომას საკითხისადმი. ის მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ინგლისის პრემიერთან ამ საკითხებზე იმავე ლოიალური კილოთი, რომელიც ასულდგმულებს მაკდონალდს.

პუანკარე არწმუნებს მაკდონალდს, რომ ინგლისის საზოგადოებრივი წრეების შიში უსაფუძვლოა, რომ საფრანგეთს არა აქვს განზრახვა წაუყენოს გერმანიას რაიმე მოთხოვნილებები ანექსიის შესახებ ან დაამყაროს ევროპაში თავისი ჰეგემონია.

საფრანგეთი და ბელგია

ვანდერველდე თავისი თავის ერთგულია.

პარიზი. 1 მარტი. ბურჟუაზიული პრესა გამოსთქვამს შიშს ბელგიის ხელისუფლების სოციალისტების ხელში გადასვლის შესახებ, რაც მისი აზრით გამოიწვევს ბელგიის პოლიტიკის შეცვლას რურის საკითხში. გაზ. „მატენის" კორესპონდენტთან საუბრის დროს, ვანდერველდე სცდილობდა დაემშვიდებია საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი; მან განაცხადა, რომ ის ყოველთვის იყო საფრანგეთის მეგობარი და კომუნისტების მტერი და მხარს უჭერდა გერმანიის წინააღმდეგ ომს სრულ გამარჯვებამდე. ვანდერველდემ ხაზი გაუსვა, რომ რეპარაციები გადახდილი უნდა იქნას. მისი აზრით, სარეპარაციო საკითხის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო გზით.

საზღვაო „განიარაღება"

იტალიის პრესა კონფერენციის შედეგების შესახებ.

რომი. 1 მარტი. ეხება რა საზღვაო კონფერენციის შედეგებს, „ავანტი" დიდ ყურადღებას აქცევს ესპანეთის დელეგატების მიერ კონფერენციის დატოვებას და ფიქრობს, რომ ესპანეთი არის ვაშინგტონის კონფერენციით უკმაყოფილო. სახელმწიფოს მეთაური გაზეთი მუსოლინის სიტყვას თვლის გამოწვევათ ინგლისისადმი და აცხადებს, რომ იტალიის ლითონის მრეწველობა ცდილობს გააუქმოს ვაშინგტონის ხელშეკრულება, მოგების ახალი წყაროების მიღების მიზნით.

სრული კრახი.

რომი. 1 მარტი. **ბურჟუაზიული პრესა ხაზს უსვამს კონფერენციის სრულ კრახს და მოითხოვს იტალიის ფლოტის გაძლიერებას.** ბურჟუაზიული გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისი აძლიერებს თავის ფლოტს ხმელთა შუა ზღვაში და ამყარებს იქ თავის ჰეგემონიას.

პოლონეთის ამბები

სინამდვილეს უარყოფენ.

ვარშავა. 1 მარტი. სეიმში შეტანილია კანონ-პროექტი უმუშევართა უზრუნველსაყოფელად. ოფიციალურად რეგისტრაციაში გატარებულია 107.000 უმუშევარი, მაშინ როდესაც უმუშევართა რიცხვი ოჯახებითურთ შეადგენს 300,000 კაცს, გარდა უმუშევარ ინტელიგენტებისა და მოხელეებისა.

ფეიქართა საყოველთაო გაფიცვა.

ვარშავა 1 მარტი. მწარმოებლებთან წარმოშობილ კონფლიქტის გამო, ლოძის ყველა პროფკავშირებმა გამოაცხადეს ფეიქართა საყოველთაო გაფიცვა. გაიფიცნენ ფეიქრები ლოძში, სგერჟში, კაბიანიცში და თომაშოვში.

სხვადასხვა ამბები

შვეიცარია

ერთა ლიგა.

ბერლინი. 3 მარტი. ერთა ლიგის საბჭო შეიკრიბება ჟენევაში 10 მარტს.

სამხრეთ-სლავია

სესხი სამხრეთ-სლავიას.

რომი. 3 მარტი. ინგლისური გაზეთების ცნობით სამხრეთ-სლავიის მრეწველები აწარმოებენ ლონდონში მოლაპარაკებას სესხის მიღების შესახებ 23 მილიონ გირვანქა სტერლინგის რაოდენობით.

საფრანგეთი

დახმარება გაფიცულ მუშებს.

პარიზი. 1 მარტი. შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ მოაწყო სრულიად საფრანგეთის მაშტაბით ხელისმოწერა მწარმოებლებთან ბრძოლის და გაფიცულ მუშების დახმარების ფონდზე.

გაფიცვა ავტომობილების წარმოებაში.

პარიზი 1 მარტი. „სიტროენის" საავტომობილო წარმოებებში გაფიცვა გრძელდება . მწარმოებლები უარს ამბობენ დათმობაზე.

„მეგობართა შეხვედრა".

პარიზი. 1 მარტი. პარიზში ჩავიდა გენერალი ვრანგელი ნიკოლოზ-ნიკოლოზის-ძესთან შესახვედრად.

ალბანია.

თავდასხმა ალბანეთის პრემიერზე.

ბერლინი. 3 მარტი. მოხდა თავდასხმა ალბანეთის პრემიერზე; ის მსუბუქად დაჭრილია ორი ტყვიით. თავდამსხმელები დიდი ბრძოლის შემდეგ შეიპყრეს. მთავრობა გადადგა. შესდგა ახალი კოალიციონური კაბინეტი.

ამერიკა.

ამერიკა გონდურასის წინააღმდეგ.

ბერლინი. 4 მარტი. იმის გამო, რომ გონდურასში მოწინააღმდეგე პარტიების შეტაკების დროს დაზიანდა ამერიკის ელჩი, ამერიკის მთავრობამ დაადგინა გადასხას დესანტი გონდურასის ნაპირზე.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

დღესასწაულის წესრიგი

7 მარტს.

მუშკოოპის რწმუნებულ მუშა ქალების კოოპერატიულ უჯრედის საზეიმო გახსნა საღამოს 7 საათზე მუშკოოპის დარბაზში, კოოპერატივის გამგეობის, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლების, დელეგატ ქალების და მუშკოოპის რწმუნებულთა მონაწილეობით.

8 მარტს.

1. დილის 9 საათზე ქალაქ ტფილისის დელეგატი ქალები იღებენ შეფობას დედობისა და ბავშვობის დაცვის საზოგადოების პირველ და მეორე სახლზე.

2. დღის 12 საათზე მუშა ქალები, დიასახლისები, მუშების, სამხედრო ნაწილების, კომკავშირის და სპარტაკის წარმომადგენლებთან ერთად თავს იყრიან თავიანთ რაიონებში, დროშებით, ლოზუნგებით და ორკესტრებით.

3. დღის პირველ საათისათვის დემონსტრანტები რაიონებიდან თავს იყრიან თავისუფლების მოედანზე, სადაც ჩაივლიან ტრიბუნის გვერდით და დაიშლებიან.

შენიშვნა: წინასწარ არჩეული დელეგაციები მიდიან არტელების საზეიმო გახსნაზე.

4. დღის 4 საათზე რუსთაველის თეატრში შესდგება უპატრონო ბავშვთა დახმარების საზოგადოების პირველი საორგანიზაციო კრება.

5. საღამოს 7 საათზე რუსთაველის თეატრში გაიმართება ქალაქ ტფილისის მუშა ქალების, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, ახალგაზრდათა კომკავშირის ადგილკომების და ტფილისის გარნიზონის ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, სადაც მოხდება წითელი დროშის ჩაბარება ქართული დივიზიისათვის.

6. ყველა რაიონებში საღამოს 7 საათზე მუშების და წითელარმიელთა კლუბებში გაიმართება მიტინგები, წარმოდგენები.

7. დღის 3 საათზე გაიხსნება მუსლიმან ქალთა კონფერენცია ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბში.

9 მარტს.

1. დღის 12 საათზე ბავშვებისათვის გამართული იქნება წარმოდგენები და კინო-სეანსები შემდეგ პუნქტებში:
1 და 2 რაიონი—ცირკი.
IV რაიონი—პატარა თეატრი,
III რაიონი—მე-9 პოლკის კლუბი.

კომისია.

6. მუშა-ქალებო მთელი ქვეყნისა, თქვენ მარტო არ ხართ. ჩვენ მზად ვართ თქვენთან ერთად ვიცხოვროთ და მოვკვდეთ მსოფლიო რევოლიუციისათვის ბრძოლაში.

7. სალამი თქვენ, გერმანიის მუშა ქალებო და გლეხ-ქალებო, 8 მარტს—მშრომელთა რევოლიუციონურ ძალების შემოწმების დღეს.

8. მუშა-ქალებო და გლეხ-ქალებო, 8 მარტს მოიგონეთ გერმანიის დამშეული ბავშვები.

9. დღეს შრომის დღესასწაულია, დღესასწაული ყველა ქვეყნის მუშა-ქალების მომავალი განთავისუფლებისა.

10. მუშა-ქალების და გლეხ-ქალების მასიური მონაწილეობა ახალი ცხოვრების შენებაში გაგვანთავისუფლებს ოჯახურ ჩაგვრისაგან.

11. კომინტერნის წითელი დროშის ქვეშ ბრძოლისაკენ საერთაშორისო კაპიტალის მონობისაგან გასანთავისუფლებლად.

12. პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით მონობის ყოველგვარი ბორკილების მოსპობისაკენ.

13. მუშა-ქალო და გლეხ-ქალო ისწრაფე განათლებისაკენ, გახდი ახალი ცხოვრების შეგნებული აღმშენებელი.

14. მუშა-ქალის საერთაშორისო დღე არის მთელი მსოფლიოს მუშა ქალების და მუშების ძმური სოლიდარობის გასინჯვა.

15. სასოფლო მეურნეობის აღორძინება, მრეწველობის აღდგენა—არის გზა ქალთა უმუშევრობის მოსპობისაკენ.

16. ქალაქის მუშა-ქალებო, გააძლიერეთ წარმოების ნაყოფიერება, გლეხ ქალებო, გააუმჯობესეთ სოფლის მეურნეობა. მხოლოდ ქვეყნის მეურნეობის აღდგენით განვამტკიცებთ ჩვენ რევოლიუციის მონაპოვარს.

17. მუშა-ქალებო და გლეხ-ქალებო, ერთიანი ფრონტით მრეწველობის აღდგენისა და სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის.

18. მუშა-ქალებო და გლეხ-ქალებო, იყავით ახალი ცხოვრების შეგნებული აღმშენებლები, ჩადექით კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებში.

19. გერმანიის მუშა-ქალი აწარმოებს ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ,—დავეხმაროთ გერმანიის მუშა ქალს.

20. მხოლოდ კომუნისტური პარტია არა სიტყვით, არამედ საქმით გაანთავისუფლებს მუშა-ქალს.

21. მუშა-ქალო, განთავისუფლდი ოჯახურ ჩაგვრისაგან.

22. თვითეული საბავშვო სახლი, თვითეული საზოგადო სასადილო და სამრეცხაო აახლოვებს მუშა ქალს უკეთეს თავისუფალ ცხოვრებასთან.

23. ძირს მონობა სამზარეულოში, გაუმარჯოს საზოგადოებრივ კვებას!

24. ა) საბჭოთა რუსეთის მუშა ქალებო და გლეხ-ქალებო, ყველა ბრძოლისაკენ; ბ) ყველა უცოდინარობასთან ბრძოლისაკენ!

25. სადელეგატო კრებების საშუალებით ახალი ცხოვრების შენებისაკენ, მებრძოლთა რიგებისაკენ, კომუნისტური პარტიისაკენ.

26. ახალგაზრდა მუშა ქალო, საფაბრიკო-საქარხნო სკოლების საშუალებით აამაღლე შენი კვალიფიკაცია,—შენი ცოდნა გახდება მთელი რესპუბლიკის სიმდიდრეთ.

27. კვალიფიციური მუშა ქალი აუმჯობესებს წარმოებას,—შედით საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში.

ქალთა შორის მუშაობის ყველა განყოფილებებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის დღესასწაულს 1924 წელში უნდა ექნეს მასიური, საერთო პროლეტარული ხასიათი.

ამ დღის ჩატარების საქმეში უნდა აუცილებლათ ჩაებან პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები.

დღესასწაული უნდა ჩატარებულ იქნას შემდეგი ლოზუნგებით: 1. გახსოვდეთ და შეასრულეთ ილიჩის ანდერძი, 2. ქალაქის სოფელთან დაკავშირება, 3. პროლეტარ-ქალებო, შედით კომუნისტურ პარტიაში.

წელს, საერთო ხელსაყრელი პირობები და აგრეთვე ქალთა შორის მუშაობის განყოფილებათა მუშაობის გაძლიერება იძლევა საშუალებას, რომ ეს დღესასწაული ჩატარებულ იქნას ფართოდ არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლადაც.

8 მარტის დღესასწაულის ამოცანას შეადგენს დაანახოს მუშა და გლეხ ქალებს, თუ როგორ შეიცვალა მათი მდგომარეობა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების პირობებში.

აუცილებლათ საჭიროა, რომ უბრალოთ და გასაგებათ, კონკრეტიული მაგალითებით აღნიშნულ იქნას საბჭოთა ხელისუფლების მიერ მთელ რიგ ისეთ ღონისძიებათა მიღება, რომელიც ფაქტიურათ ანთავისუფლებს ქალებს; საჭიროა მუშაობის გაძლიერება გლეხ-ქალების და აგრეთვე პროლეტარ ქალების პარტიაში მისაზიდავათ; აგრეთვე საბჭოებში, პროფკავშირებში, კოოპერაციაში, საურთიერთო დამხმარე კომიტეტებში და სხვა მათი აქტიური მუშაობა.

საბჭოთა რესპუბლიკებში ქალთა საერთაშორისო დღის დღესასწაულს ყოველთვის თან ახლავს ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რომელიც აუმჯობესებს ქალების მდგომარეობას; ბაგების, საბავშვო სახლების, ბაღების, სხვათა დაარსება და არსებულთა განმტკიცება აუცილებლათ უნდა შეფარდებულ იქნას 1924 წლ. 8 მარტისათვის.

ამ ცირკულიარის მიღებისთანავე სამაზრო კომიტეტთან არსებულ ქალთა შორის მუშაობის განყოფილებები უნდა შეუდგენ წინასწარ მზადებას და უნდა დაარსონ ც. კ. არსებულ ქალთა შორის მუშ. გან. მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, კომისიები მუშა ქალთა დღესასწაულის ჩასატარებლად და ამ საქმეში უნდა ჩააბან აქტიური დელეგატი ქალები და ქალთა განყოფილების გარშემო შემოკრებილი უპარტიონიც.

სოფლად მუშაობის უფრო ფართოდ გასაშლელათ აუცილებელია უპარტიო მუშა და გლეხ-ქალთა სარაიონო კონფერენციების ჩატარება; საჭიროა მობილიზაციით იქნენ გაწვეულნი საუკეთესო პარტიული ქალები როგორც ამ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებათ, ისე სოფლებში გასაგზავნათ.

ს. კ. პ. ცეკას მდივანი **კახიანი.**
ცეკას ქალთა განყოფილების გამგე
თ. ადამიძე.

ცირკულიარი № 13.

ყველა პ. კ. ს. კავშირის ც. გ. და სამპროფბიუროებს

პატივცემულო ამხანაგებო!

8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღე არის და ამისათვის პროფკავშირებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამ დღის სასურველად ჩატარებაში.

საჭიროა, რომ ქარხკომებმა დაიკავონ კავშირი სათანადო ქალთა განყოფილებებთან რაიკომებში.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ მითითებულ დღეს (8 მარტს) ყველა მუშა-ქალები თავისუფლდებიან მუშაობისაგან ორი საათით ადრე.

ს. პ. კ. ს. მდივანი **ყურულაშვილი.**
საორგანიზაციო განყოფილების
გამგე **ათოევა.**

დადგენილება № 87

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1924 წლის თებერვლის 27

მუშა-ქალების საერთაშორისო დღის შესახებ

რათა ყველა მუშა-ქალს მიეცეს შეძლება ქალთა საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღის დღესასწაულობაში მონაწილეობის მიღებისა, ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა:

1. 1924 წლ. 8 მარტს ქალები განთავისუფლებულნი იქნენ მუშაობიდან ყველა წარმოება-დაწესებულებებში მუშაობის დასრულების ჩვეულებრივ ვადაზე ორი საათით ადრე, თუ ეს განთავისუფლება არ გამოიწვევს მთელ დაწესებულება-წარმოების მუშაობის შეჩერებას.

2. იქ, სადაც ქალები უმრავლესობას შეადგენენ და მათი მუშაობის შეჩერება წარმოების ხასიათის გამო ნებას არ აძლევს დანარჩენ მუშა-მოსამსახურეთ განაგრძონ მუშაობა, მთელი წარმოების მუშაობა უნდა იქნენ შეწყვეტილი ორი საათით ადრე.

3. 8 მარტის დღის გასამრჯელო უნდა გაიცეს შრომის კანონთა კოდექსის 113 მუხლის და მისი შენიშვნის თანახმად.

4. იმ შემთხვევებში, როცა მუშა ქალების განთავისუფლებას შეუძლია გამოიწვიოს სახელმწიფოს ინტერესების თვალსაზრისით ზიანი საზოგადოებრივ—საჭირო დაწესებულებათათვის, როგორც არის მაგ.: ტელეგრაფი, ტელეფონი, ტრანსპორტი, საავადმყოფოები, საზოგადო სასადილოები, საკვები პუნქტები და სხ. მუშა-ქალები არ თავისუფლდებიან სამუშაოდგან, მხოლოდ იღებენ გასამრჯელოს ორი საათისთვის ერთ ნახევარის რაოდენობით.

შენიშვნა: აღნიშნული გასამრჯელო ერთი ნახევარი რაოდენობით ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზედაც, როცა მუშა-ქალები არ თავისუფლდებიან მუშაობიდან პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისრის
მოადგილე: **იაშვილი.**

ლოზუნგები

1. მუშა-ქალებო და გლეხ-ქალებო! ლენინი მოკვდა, მაგრამ ცოცხალია მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია, ჩადექით მის რიგებში.

2. მივიყვანოთ ბოლომდე ლენინის მიერ დაწყებული მშრომელი ქალის განთავისუფლება.

3. მუშა-ქალებო და გლეხ-ქალებო! შევასრულოდ ილიჩის ანდერძი—წინ ცოდნისა და ახალი ცხოვრების შენების გზით.

4. მუშა-ქალებო და გლეხ-ქალებო, გახსოვდეთ ილიჩის ანდერძი, აშენეთ ახალი ცხოვრება.

5. მუშა-ქალებო, შრომის საერთაშორისო დღესასწაულის დღეს შემოკრბით კომუნიზმის დროშის ქვეშ კაპიტალის საბოლოო დამარცხებამდე.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ნორვეგია

მუშების შეტაკება პოლიციასთან

სტოკჰოლმი. 2 მარტი. ქრისტიანიიდან იტყობინებიან, რომ ტრონჰეიმში მოხდა შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის, რაც გამოიწვია ლოკაუტმა. დიდი დემონსტრაციის შემდეგ მუშებმა ქვებით დალეწეს ბურჟუაზიული გაზეთის რედაქციის ფანჯრები. სტავანგერში გაიწვიეს ჯარები შტრეიკბრეხერების დასაცავად.

დანია

ლოკაუტით იმუქრებიან

კოპენჰაგენი. 2 მარტი. დანიის მწარმოებელთა კავშირმა მეორეჯერ გამოაცხადა გაფრთხილება ლოკაუტის შესახებ, რომელიც დაიწყება 8 მარტს მთელ რიგ წარმოებებში.

წითელ რუსეთში

რუსეთი

პირველი ნაბიჯები.

მოსკოვი. 3 მარტი. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს, შრომის და თავდაცვის საბჭოს რწმუნებულმა სიძვირესთან ბრძოლისათვის ამხ. სმილგამ აღნიშნა, რომ პირველი ნაბიჯები ფასების დასაწევათ შეეხო კვების პროდუქტებს, პურს, კარაქს, ხორცს და თევზს, რომელთა საბაზრო ფასები მეტად მტკიცეა. მიღებულმა ზომებმა უკვე იქონიეს გავლენა საბითუმო-დასამზადებელ ფასებზე. საკმაო წინასწარ მომზადების შემთხვევაში, ბაზარზე დაწყებული გადახრა მოგვცემს დადებით შედეგებს.

მეფის დროის მოპარული ფული

პეტროზავოდსკი. 3 მარტი. **სახაზინო ბილეთების პირველი პარტიის მიღების შემდეგ, გლეხებს დიდი რაოდენობით შეაქვთ სახელმწიფო ბანკში მეფის დროს მოპარული ოქრო.**

არაჩვეულებრივი მოთხოვნილება

პოკროვსკი. 3 მარტი. განკარგულების გამოქვეყნების გამო გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ომამდე არსებულ ფასებში მიყიდვის შესახებ, სოფელმა წარმოადგინა არაჩვეულებრივი მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე და იარაღზე. სახელმწიფო სასოფლო საწყობის ზოგიერთ განყოფილებებში გაიყიდა ყველა სახნავი და სათესი იარაღები. ციმბირში გაიყიდა თვით მოსავლის ასაკრეფი მანქანებიც, რომელიც საჭირო იქნება მხოლოდ შემოდგომაზე. სტავროპოლის გუბერნიამ შეისყიდა ინვენტარის ისეთი რაოდენობა, რომელიც დააკმაყოფილებს მთელი გუბერნიის მოთხოვნილებას. არსებული მარაგი დააკმაყოფილებს მოთხოვნილების მხოლოდ 40 პროცენტს.

გერმანიის რევოლიუციონერები რუსეთში.

მოსკოვი. 2 მარტი. **ჩამოვიდა 4 გერმანელი რევოლიუციონერი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ 1921 წ. ამბოხებაში.** ამხანაგები მთელი 3 წლის განმავლობაში ციხეში იმყოფებოდნენ.

ურთიერთობა აღმოსავლეთთან

ოსმალეთი

რწმუნების სიგელის საზეიმო გადაცემა

ანგორა. 1 მარტი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ოსმალეთში—სურიცმა, ოსმალეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მუსტაფა-ქემალ ფაშისათვის რწმუნების სიგელის გადაცემის დროს, **მოუთითა მეგობრულ ურთიერთობაზე საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის ოსმალეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში. სურიცმა განაცხადა: „ვიცი, რომ რადგანაც ორივე სახელმწიფოს საგარეო და შინაური მდგომარეობა განმტკიცდა, მათი თანამშრომლობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება.** გულწრფელი თანაგრძნობა, რომელიც გამოსთქვა ოსმალეთის ხალხმა ლენინის გარდაცვალების გამო, ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ოსმალეთის საზოგადოებრივი წრეები იზიარებენ იმ აზრს, რომ აუცილებელია მუდმივი მეგობრული თანამშრომლობა ორთავე სახელმწიფოს შორის; ასეთი თანამშრომლობის ინიციატორი და მტკიცე დამცველი იყო ლენინი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ყოველივე ძალღონეს იხმარს მეგობრობის გასაძლიერებლად ორთავე სახელმწიფოს შორის".

ქემალ-ფაშამ უპასუხა, რომ ოსმალეთის ხალხი ისეთივე გრძნობით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირის ხალხის მიმართ, როგორიც მან გამოსთქვა ლენინის გარდაცვალების გამო. მეგობრობის და კეთილ-მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას ყოველმხრივ ხელს შეუწყობენ რესპუბლიკის პრეზიდენტი და ოსმალეთის ხალხი.

თებერვლის ხელფასის გასტუმრება

მოსკოვი. 4 მარტი. შრომის სახალხო კომისარიატი იძლევა შემდეგ განმარტებას: ხელფასი, რომელიც ერგებათ მუშა-მოსამსახურეებს თებერვალში უნდა იქნას გადაყვანილი მტკიცე ვალიუტაზე იმ პარიტეტით, რომელიც დაწესებულია ამა თუ იმ ადგილისათვის შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ 1 მარტისათვის. საქონლის საშუალო ფასების გამორკვევის შემდეგ მარტის მეორე ნახევარში ხელფასს უნდა დაერთოს მომატება სიძვირის გამო (განსხვავება მტკიცე პარიტეტსა და საქონლის მანეთის ადგილობრივ ღირებულებას შორის მტკიცე ვალიუტით). თებერვლის ხელფასის გასტუმრება უნდა მოხდეს მტკიცე ვალიუტით, საბჭოთა ფულის ნიშნებით კი არა უმეტეს 10 პროცენტისა. საბჭოთა ფულის ნიშნების გადიდება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სათანადო პროფკავშირთან და საგუბერნიო ალმასკომთან შეთანხმებით. ყველაფერი, რასაც მუშა-მოსამსახურეები დაჰკარგავენ კურსის შეცვლის გამო, ანაზღაურებული უნდა იქნას სრულად.

ლენინის ხსოვნისათვის

ძვირფასი დოკუმენტი.

ლენინგრადი. 3 მარტი. ყოფილ სახალხო განათლების სამინისტროს შენობაში აღმოჩნდა ძვირფასი დოკუმენტი, რომელიც შეეხება ლენინის სტუდენტობის წლებს. ის არის ჯაშუშობა სტუდენტ ულიანოვზე, რომ ის უნივერსიტეტის კედლებში ამბობს „მუნტოვშჩიკურ" სიტყვებს.

ფრანგ მეზღვაურების განცხადება.

პარიზი. 2 მარტი. ჟორჟ ვოლომ-მეზღვაურმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის ფლოტის ექსპედიციაში შავ-ზღვაზე შეიტანა განცხადება კომპარტიაში შესვლის შესახებ. ამას ის ასაბუთებდა იმით, რომ **ლენინის გარდაცვალების შემდეგ ყველა რევოლიუციონერის**

კომინტერნის არსებობის 5 წლის თავისათვის

თეზისები

1. მსოფლიო კაპიტალიზმის ზრდამ საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებასთან ერთად შეკავშირებული სოციალისტური მოძრაობის დაწყების უკვე პირველივე დღეებში აიძულა მოწინავე მუშები, შეეგნოთ თავისი ამოცანების მსოფლიო ხასიათი და მიზნად დაესახათ მსოფლიო გაერთიანება.

2. საფუძველი ასეთ გაერთიანებას ე. წ. ინტერნაციონალს, ჩაეყარა ლონდონში 1864 წ ინგლისელ და ფრანგ შეკავშირებული მუშების ღონისძიებებით

თავისი ლოზუნგებით, იმ ორგანიზაციული პრინციპებით, რომლებიც საფუძვლად დაუდვა მარქსმა პირველ ინტერნაციონალს, უკანასკნელი არის მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის წინამორბედი.

3. პრაქტიკულად პირველმა ინტერნაციონალმა ცოტა გააკეთა. მისი მუშაობის შედეგი იყო პარიზის კომუნა 1871 წ, რომლის დამარცხებამ დაანგრია პროლეტარული სოლიდარობის პირველი დიდი შენობა.

მაგრამ, პარიზის კომუნა, მიუხედავად იმისა, რომ ის დამარცხდა, იყო პროლეტარული რევოლიუციის პირველი ცდა. პარიზის კომუნა იყო „მუშათა კლასის პირველი მთავრობა, შედეგი ბრძოლისა მშრომელ და მიმთვისებელ კლასებს შორის“ (მარქსი).

ამიტომ ის მდიდარ მასალას იძლევა პროლეტარული რევოლიუციის ბუნებისა და ხასიათის შესაცნობად. პარიზის კომუნის გაკვეთილები, მისი შეცდომები, მისი ბრძოლა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, ვინაიდან ისინი ყოველმხრივ იქნენ გათვალისწინებული და ფართოდ გამოყენებული პროლეტარული რევოლიუციის მიერ, რომელიც ახლა ვითარდება.

„მუშების პარიზი თავისი კომუნით მუშათა კლასის შეგნებაში მუდამ ჟამს იქნება ახალი საზოგადოების ბრწყინვალე წინამორბედი. მისმა წამებულებმა ძეგლი აიგეს მუშათა კლასის გულში“. (მარქსი).

4. პირველი ინტერნაციონალის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი წყალობით მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის იდეა შევიდა ცხოვრებაში და შეიქნა მუშათა კლასის საერთო კუთვნილებათ. ამასთან ერთად მან ხელი შეუწყო ნაციონალურ მუშათა პარტიების განვითარებას. 1889 წ. პარიზის ყრილობაზე მეორე ინტერნაციონალის დაარსებით ჯამი გაუკეთდა ცალკე ნაციონალურ მუშათა ორგანიზაციების მუშაობას.

5. მაგრამ მიუხედავად გაერთიანებისა საერთაშორისო მასშტაბით, მუშათა მოძრაობა განაგრძობდა განვითარებას თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალურ ფარგლებში, ნაციონალური მრეწველობის საფუძვლებზე, ვინაიდან კაპიტალიზმი, მიდიოდა რა ჯერ კიდევ განვითარების ზეამავალი ხაზით, მაგრდებოდა და იფურჩქნებოდა ამა თუ იმ სახელმწიფოს ფარგლებში. განვითარების სიღრმით და მასშტაბით, მსოფლიო ეკონომიური აყვავების წლებმა, პარლამენტარიზმის არსებობის დროს ბრძოლის ლეგალურმა ფორმებმა, დასწიეს მუშათა კლასის ბრძოლის რევოლიუციონური დონე და გააძლიერეს ოპორტუნისტული მიმდინარეობანი.

ამ მიმდინარეობებმა დასაყრდენი ჰპოვეს მუშათა არისტოკრატიაში, რომელიც გახრწნა წვრილმა „წყალობამ“ იმ ნამცეცმა, რომელსაც გადუგდებდა მათ ბურჟუაზია თავისი ზღაპრული მოგებიდან.

ოპორტუნიზმის მეორე დასაყრდნობი შეიქნენ წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის, წვრილი ვაჭრების და ხელოსნების ბანაკიდან ხალხი, რომელიც ათასობით შედიოდა იმ დროის სოციალისტურ პარტიებში.

მეორე ინტერნაციონალის ბრწყინვალე გარეგნობა, მისი ვითომდა მსოფლიო სიძლიერე, მოჩვენებითი იყო. საერთაშორისო ყრილობებს გამოჰქონდათ საუცხოვო რეზოლიუციები, ღებულობდნენ დადგენილებებს ამა თუ იმ საკითხის გამო. მაგრამ არ იყო არც საერთო ნებისყოფა, არც საერთო ბრძოლის ორგანო ამ რეზოლიუციების და დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად.

და 1914 წლის 4 აგვისტომ, მსოფლიო ომის დაწყების დღემ, დაამტკიცა, რომ მეორე ინტერნაციონალი, როგორც პროლეტარული სოლიდარობის საერთაშორისო ორგანიზაცია, მკვდარი იყო.

6. მეორე ინტერნაციონალის არსებობის ჯერ კიდევ ომის წინა პერიოდში აშკარად იჩინა თავი მასში სამმა მთავარმა მიმდინარეობამ: ორმა ოპორტუნისტულმა და ერთმა რევოლიუციონურმა. ომმა გამოამჟღავნა ისინი არაჩვეულებრივი სიცხადით.

პირველი—სოციალ-შოვინისტური რევიზიონისტული. ომამდის ეს მიმდინარეობა აშკარად აყენებდა საკითხს კ. მარქსის რევოლიუციონური მოძღვრების მთავარი დებულებების რევიზიის (გადასინჯვის) შესახებ.

ომის დროს ამ მიმდინარეობის ლიდერები აშკარად გადაიქცნენ მშობლიური ბურჟუაზიის მსახურებად. ისინი ქადაგებდნენ სამოქალაქო ზავს თავის სახელმწიფოში და მოითხოვდნენ ომს ბოლომდე.

მეორე მიმდინარეობას, ე. წ. ცენტრს, ეჭირა საშუალო ადგილი. ომამდი ის იბრძვის „უმწიკვლო მარქსიზმის“ დროშის ქვეშ რევიზიონიზმის წინააღმდეგ და შეუმჩნევლად, ნაბიჯს ნაბიჯზე უთმობს მას თავის პოზიციებს.

ომის დროს მისი ტაქტიკა არის წვრილ ბურჟუაზიული პაციფისტების ტაქტიკა. „ბრძოლა ზავისათვის“, „კლასობრივი დროებითი ზავი ომის დროს“, „კლასობრივი ბრძოლა ზავის დროს“, „ინტერნაციონალი—ეს მშვიდობიანი დროის იარაღია“—აი, რა შეადგენდა მის ლოზუნგებს.

ომის ბოლოს ის ცდილობს შეაერთოს ის, რაც შეერთება არ შეიძლება: საბჭოები და დამფუძნებელი კრება, პროლეტარიატის დიქტატურა ბურჟუაზიის დიქტატურასთან და სხვა.

ახლა ეს მიმდინარეობა, რომელიც ერთხანად შეეცადა ცალკე ეარსება (ორნახევარი ინტერნაციონალი), ამჟამად კი ის ორგანიზაციულად შეუერთდა აშკარა სოციალ გამყიდველებს (მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალების გაერთიანება).

დაბოლოს მესამე—კომუნისტური მიმდინარეობა. ის მეორე ინტერნაციონალში იცავდა ჭეშმარიტ მარქსისტულ-რევოლიუციონურ შეხედულებას ომზე და პროლეტარიატის ამოცანებზე. ეს მიმდინარეობა იქ უმცირესობას შეადგენდა.

ამ მიმართულებას ეკუთვნოდნენ: „მემარცხენე რადიკალური“ ჯგუფი (შემდეგ სპარტაკელები) გერმანიაში, „ტრიბუნისტები“ ჰოლანდიაში, ახალგაზრდების ჯგუფი—შვეიცარიაში, ახალგაზრდების ინტერნაციონალის მემარცხენე ფრთა, დაბოლოს ბოლშევიკები რუსეთში. ამ მიმართულების ხელმძღვანელი, მისი იდეური ბელადი იყო ამხ. ლენინი, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე ბრძოლას აწარმოებდა მეორე ინტერნაციონალის მთავარ მიმდინარეობებთან. რეზოლიუცია ომის შესახებ 1907 და 1912 წ. წ კონგრესებზე, საყოველთაო გაფიცვის საკითხი, პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის პრინციპები—აი ის საკითხები, რომელთა გამო ამხ. ლენინი ბოლშევიკურ პარტიასთან ერთად ჯერ კიდევ ომამდე აწარმოებდა ბრძოლას მეორე ინტერნაციონალის ფარგლებში და ამით ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის საფუძველს.

7 მეორე ინტერნაციონალის ნანგრევებზე ისახება ახალი გაერთიანება, რომელიც შეიქნა ახალი კომუნისტური ინტერნაციონალის წინამორბედი.

ამხ ლენინმა უშუალოდ ომის დაწყების შემდეგ წამოაყენა მესამე ინტერნაციონალის ლოზუნგი. „მეორე ინტერნაციონალი მოკვდა, ოპორტუნიზმის მიერ დამარცხებული. ოპორტუნიზმი, გაუმარჯოს ოპორტუნიზმისა და მერყევ ელემენტებისაგან („перебежчиков“) განწმენდილ მესამე ინტერნაციონალს“ (კრებული „Против течения“).

1915 და 1916 წ. ციმერვალდში და კინტალში თავი იყრიან რევოლიუციონური და ცრუ-რევოლიუციონური ჯგუფების წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან.

[illegible], კომუნისტური ფრთა ამხ. ლენინის მეთაურობით აყენებს გარკვეულ ლოზუნგებს:

„ომი ომს“, „იმპერიალისტური ომი უნდა გადავაქციოთ სამოქალაქო ომად,“ „ციმერვალდის გაერთიანება უნდა შეიქმნეს ახალი მესამე ინტერნაციონალის საფუძველი“.

ციმერვალდის კონფერენციამ უარჰყო ლენინის ეს წინადადებები. მაგრამ უკვე 1916 წ. კინტალში ამ იდეებს დიდი გავლენა ჰქონდათ: ამის შემდეგ ციმერვალდის მემარცხენე ნაწილმა დაიწყო გაერთიანება ორგანიზაციულად—ქმნიდა საფუძველს მომავალი მესამე ინტერნაციონალისათვის.

ოქტომბრის რევოლიუცია რუსეთში იყო ამხ. ლენინის იდეების ცხოვრებაში პირველი განხორციელება. რუსეთის რევოლიუციის გამოცდილება ამიერიდან იქცევა მაგალითად მთელი მსოფლიოს პროლეტარიატისათვის, ამიერიდან საბჭოთა ორგანიზაცია, საბჭო, ხდება პროლეტარული დიქტატურის ფორმა, სამოქალაქო ომი საშუალებათ ამ მიზნის მისაღწევად.

მთელ მსოფლიოში მსოფლიო ომის და რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის ზეგავლენით იწყობა დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიები (გერმანია, გერმანული ავსტრია) იქმნება რევოლიუციონური ჯგუფები ძველი სოციალისტური პარტიების ფარგლებში,—ამ ჯგუფებს არა აქვთ გარკვეული პროგრამა (საფრანგეთი, შვეცია, იტალია),—და პროფკავშირებში (შოპსტიუარ—ინგლისში, მსოფლიოს ინდუსტრიალური მუშები—ამერიკა).

8. მსოფლიო კაპიტალიზმი იწვევს მუშების დარაზმვას, რომელნიც ემზადებიან მის მოსასპობად. ცალკე ქვეყნებში შექმნილი კომუნისტური პარტიები და რევოლიუციონური ჯგუფები და მიმდინარეობანი იზიდავდნენ ერთმანეთს, ისინი გრძნობდნენ მიმზიდველობას თავისი ცენტრისა—საბჭოთა რუსეთისადმი, სადაც მუშათა კლასმა ყველაზე ადრე გაიმარჯვა.

სამოქალაქო ომის ყველაზე მწვავე მომენტში, მსოფლიოში პირველ საბჭოთა სახელმწიფოზე ერთსა და იმავე დროს მსოფლიო კაპიტალის და რუსეთის კონტრ-რევოლიუციის შეტევის მომენტში—იქმნება კომუნიზმის მსოფლიო, ინტერნაციონალური გაერთიანება პირველ ყრილობაზე, რომელიც შესდგა 1919 წლის მარტში (2—19 მარტი) მოსკოვში (იყო 50 დელეგატი, ამათგან 35 გადამწყვეტი ხმით—6 ქვეყნიდან.

პირველი ყრილობა, რომელიც არ აერთებდა ჯერ კიდევ საკმაოდ ჩამოყალიბებულ და შეკავშირებულ კომუნისტურ ორგანიზაციებს,—იმუშავებს საერთო ლოზუნგებს, ახდენს იმ გამოცდილების განზოგადოებას, რომელიც დაგროვდა ციმერვალდის კონფერენციის შემდეგ ომის დროს, აძლევს საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის ძალების შეკრების მიზანს, ამხელს პარლამენტარიზმის ცრუ მოლოდინობას მუშათა კლასში.

პირველი ყრილობა ერთხელ კიდევ იღებს ამხ. ლენინის მიერ წარმოდგენილ თეზისებს ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარულ დიქტატურის შესახებ, ხაზს უსვამს რევოლიუციონური მარქსიზმის მთავარ დებულებებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს მთელი ქვეყნის კომუნისტურმა პარტიებმა—სასტიკი დიქტატურა პროლეტარიატისა და როგორც მისი ფორმა,—საბჭო, სამოქალაქო ომი—გზა საბჭოთა ორგანიზაციის განხორციელებისა, ბურჟუაზიული დემოკრატია—გაბატონებული კლასების მიერ მშრომელი მასების მოტყუების საშუალება.

9. კომუნისტური ინტერნაციონალის პირველ კონგრესს (ყრილობას) მიზნად ჰქონდა დასახული მუშათა კლასის საერთო ლოზუნგები, მან უნდა მიეცა [illegible] მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციისათვის ძალთა შესაკრებად.

მეორე კონგრესს შეეძლო დაესახა უფრო კონკრეტული მიზნები წარსულ წელს მთელ რიგ ქვეყნებში მოხდა ძველი პარტიების განხეთქილება, ჩამოყალიბდნენ გამოურკვეველი რევოლიუციონური ჯგუფები და ორგანიზაციები. კომინტერნის პირველ და მეორე კონგრესს შორის არსებული პერიოდი იყო ყველაზე მღელვარე. თუ პირველი კონგრესი იყო უმთავრესად პროლეტარიატის ფართო წრეების მიმდინარეობათა და სულიერ განწყობილების გამომხატველი და იგი სრულიადაც არ წარმოადგენდა ჩამოყალიბებულ პარტიებს, 2 ე კონგრესზე ჩვენ წინაშე წარმოსდგნენ საკმაოდ ჩამოყალიბებული კომპარტიები, რომლებიც დღითი-დღე იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ.

10. მეორე კონგრესის მთავარ ამოცანად ითვლებოდა მისი ორგანიზაციული ჩამოყალიბება როგორც მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლის ორგანიზაცია, კომინტერნი საბოლოოდ ემიჯნება ყველა იმ ორგანიზაციებს, ჯგუფებს და წ. ნაწილებს, რომლებიც აწარმოებენ კრიზისის პოლიტიკას, რომლებიც დემოკრატიულ პრინციპებს ატარებენ პროლეტარულ რიგებში ძველი ლოზუნგებით: დემოკრატია, კლასთა მშვიდობიანობა, ლეგალობა, ეროვნული თავდაცვა და სხვა.

ანგარიშს უწევს რა იმ გარემოებას, რომ რევოლიუციონურ მასების ზეგავლენით, 2 ე ინტერნაციონალის ბელადები და პარტიების ნაწილი მოისურვეს კომინტერნთან ფორმალურად შეერთებას და არსებითად კი არ შეცვლის თავის ბუნებას, 2 ე კონგრესმა წამოაყენა საერთო პირობები ახალი პარტიების მიღებისათვის 21 პირობის სახით.

უზრუნველჰყო რა თავისი თავი ოპორტუნისტებისაგან, 2 ე კონგრესმა უარჰყო აგრეთვე ე. წ. მემარცხენე დოქტრინიორობა (გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია). და გაკიცხა „[illegible]“ ტენდენცია, რომელიც მიმართული იყო პროფკავშირებში კომუნისტების მონაწილეობის წინააღმდეგ.

კომინტერნის მეორე კონგრესმა გაითვალისწინა ის გზები, რომლითაც პროლეტარიატის დიქტატურის [illegible] პრინციპი ცხოვრებაში უნდა განხორციელდეს. კონგრესის რეზოლიუციები პროლეტარულ რევოლიუციის დროს კოოპერატივის [illegible] შესახებ და აგრეთვე [illegible], როდის და რა პირობებში შეიძლება მუშათა დიქტატურის [illegible]—[illegible] ეს გზები.

შემდეგ ლენინის თეზისები ნაციონალური და კოლონიალური საკითხების შესახებ [illegible] მსოფლიოს პროლეტარიატის [illegible] კოლონიალური ხალხების ბრძოლის დროს [illegible] სოციალური და ნაციონალური ელემენტები.

მუშათა კლასის საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობა ამიერიდან არის არა მარტო თეთრკანიან მუშების მოძრაობა, არამედ მას უერთდება, როგორც ძლიერი რეზერვი ფერად რასათა ეროვნული ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

11. 20 და 21 წლის განმავლობაში, 2 და 3 ე კონგრესის შორის განვლილ ხანაში პროლეტარიატმა ვერც ერთ თავის გამოსვლაში ვერ მიაღწია გამარჯვებას.

მუშათა მასიური, სტიქიური მოძრაობა მიყუჩდა და 3 კონგრესს უნდა გამოენახა ახალი ბრძოლის გზები და მხედველობაში უნდა მიეღო ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი.

საჭირო იყო ანგარიში გაეწია საერთაშორისო რევოლიუციის უფრო ნელი ტემპისათვის.

ამ დროისათვის კომინტერნი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, მისი პროგრამა და ტაქტიკა ნათლად და სისწორით გამომუშავდა, რადგან მტრის დამარცხება შეუძლებელი იყო იერიშით, კომინტერნი იძულებული გახდა მიემართა თანდათანობითი შეტევის მეთოდისათვის და ის ერთი წუთითაც არ ივიწყებდა იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც მის წინაშე იყო დასმული.

მსოფლიო ეკონომიურ მდგომარეობის ანალიზმა, რომელიც III კონგრესმა მოახდინა, დაგვანახვა, რომ მსოფლიო ეკონომიური კრიზისი არ არის დაძლეული, რომ სიტუაცია ძველებურად რჩება რევოლიუციონური, მაგრამ რევოლიუცია ვითარდება არა განუწყვეტელი—აღმავალი სწორი, არამედ მიხვეულ-მოხვეული ხაზით.

ყოველივე ზემოთქმულის გამო მესამე კონგრესმა წამოაყენა თავისი მთავარი ლოზუნგი—„მასებისაკენ“.

ამიერიდან არ არის საკმარისი ფართო მასების მხოლოდ თანაგრძნობა კომუნისტურ ლოზუნგებისადმი. დასავლეთის კომპარტიებმა უნდა მიიზიდონ თავიანთ რიგებში მუშათა კლასის მოწინავე მასები, კომუნისტური ორგანიზაციები უნდა შეიჭრან თვით მასებში. პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების საწინდარია ამიერიდან—პროლეტარიატის უმრავლესობის დაპყრობა ევროპის მნიშვნელოვან სახელმწიფოებში.

მაგრამ კომინტერნმა ძველებურად უნდა მოამზადოს მუშათა კლასი ბრძოლისა და სამოქალაქო ომისათვის და მის დროშაზე ძველებურად უნდა ეწეროს ლოზუნგები: „ჩვენ შევდივართ ახალ დიდ ბრძოლებისაკენ. შეიარაღდით ახალ ბრძოლებისათვის.“

12. 1922 წელში ცხოვრებაში ტარდებოდა მესამე კონგრესის ლოზუნგები კომინტერნის მთავარ ამოცანად ამ პერიოდში იყო ბრძოლა იმ მუშათა მასებზე გავლენის მოპოვებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ რეფორმისტებს მისდევენ.

ასეთ ბრძოლის საშუალებათ კომინტერნმა მიიჩნია **ერთიანი მუშათა ფრონტის ტაქტიკა.**

პროლეტარიატის კლასიური ბრძოლა დღევანდელი დღის კონკრეტულ უშუალო მოთხოვნილებათათვის არც ერთი წუთით არ სწყდება.

ამ ყოველდღიურ ბრძოლაში მუშებს ესაჭიროებათ მთელი პროლეტარიატის გაერთიანებული მოქმედება, სულ ერთია, რომელ პოლიტიკურ პარტიას, რომელ პროფესიონალურ გაერთიანებას არ უნდა ეკუთვნოდნენ მისი სხვადასხვა რაზმები.

კაპიტალის შემოტევას უნდა დაუპირდაპირდეს ერთიანი პროლეტარული ფრონტი, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება მუშათა მასებზე გავლენის მოპოვებისათვის მებრძოლ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების შეთანხმებული მოქმედება.

ანგარიშს უწევენ რა იმას, რომ მუშათა კლასის მასები ჯერ კიდევ მისდევენ რეფორმისტებს, დასავლეთის კომპარტიები, აყენებენ ამა თუ იმ მოთხოვნილებისათვის ბრძოლის ლოზუნგებს, რომლებიც გასაგებია თვითეულ ჩამორჩენილ მუშისათვისაც კი (8 საათის სამუშაო დღე, ბრძოლა ხელფასის დაკლების წინააღმდეგ და სხვ.) აწარმოებენ ამ ბრძოლას და წინადადებას აძლევენ სოციალ-დემოკრატებს ერთიანი შეთანხმებულ მოქმედებისას, დროებითი შეთანხმებისას.

მესამე კონგრესის შემდეგ მთელი მუშაობა მიმდინარეობდა მასების დაპყრობის ლოზუნგის ქვეშ. კომინტერნმა ჯერ ვერსად ვერ მოახერხა მუშათა კლასის უმრავლესობას დაპყრობა. მაგრამ ეს ამოცანა გადაწყვეტილი იქნება, თუ მუშათა მასები გაერთიანდებიან, კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ საბრძოლველად, და თუ ამ ბრძოლისათვის დარაზმვის დროს, დასავლეთის კომპარტიები დაამტკიცებენ, რომ სოც. დემოკრატები ღალატობენ მათ უახლოეს ინტერესებს.

13. კომინტერნის მეოთხე კონგრესმა არ წამოაყენა არც ერთი ახალი საკითხი, რომელიც შეცვლიდა კომინტერნის ტაქტიკას. ძველებურად მნიშვნელოვან ლოზუნგად რჩება ლოზუნგი: „მასებისაკენ“, კომინტერნის სექციების ტაქტიკა მასებზე გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლის დროს, არის მუშათა ერთიანი ფრონტის ტაქტიკა, რომელიც ხელახლა დაადასტურა 4 ე კონგრესმა.

კომინტერნი თანდათან ხდება ერთიან მსოფლიო კომუნისტურ პარტიად, სულ უფრო და უფრო იზრდებიან და მტკიცდებიან კომინტერნის ეროვნული სექციები, სულ უფრო და უფრო ვითარდება საორგანიზაციო კავშირი კომინტერნის აღმასკომსა და სექციებს შორის. 4 კონგრესი, როგორც მსოფლიო პარტიის ნამდვილი კონგრესი იხილავდა კომინტერნში შემავალ პარტიების საქმეებს: საფრანგეთის, იტალიის, დანიის და სხ. პარტიების საქმეებს.

ბევრ ამ პარტიებში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ძველ სოციალისტურ პარტიების სულისკვეთება, სხვა პარტიებში საჭირო იყო ბრძოლა მემარცხენეობის სენის წინააღმდეგ, ბევრ პარტიებს არ ესმოდათ და არ შეეძლოთ ერთიანი ფრონტის ტაქტიკის განხორციელება და სხვა.

მეოთხე კონგრესმა მიიღო ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საორგანიზაციო საკითხზე წინად ყოველი სექცია თვით ირჩევდა თავის წარმომადგენლებს კომინტერნის აღმასკომში.

ამიერიდან აღმასკომს ირჩევს მსოფლიო კონგრესი. კომინტერნი გადაიქცა დღეს სავსებით ცენტრალისტურ ორგანიზაციად, რომელიც აშენებულია დემოკრატიულ ცენტრალიზმის ლენინის პრინციპების მიხედვით.

14. მესამე კონგრესის მიერ მიღებული და მეოთხე კონგრესის მიერ დადასტურებული ლოზუნგი „მასებისაკენ“ გულისხმობდა არა მხოლოდ მუშათა მასებს, არამედ [illegible] უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხებს, თუ არაფერს ვიტყვით უკვე ე წ საშუალო შეძლების გლ რევოლიუციის მაგალითი ს კავშირში, რომელსაც ხ ლობდა ლენინის გენიალ მაჩვენებელია იმისა, რომ ციის გამარჯვება დამო მასში გლეხობის უდიდ მონაწილეობაზე, რომ უძლურნ რევოლიუციის მუშათა კლასს.

კომინტერნის მეორე ზოგადად მიაჩნია მუშა და გლეხობის ურთიერთობა დ ბულია. 4 ე კონგრესმა განავით და მისცა მეორე კონგრესის რეზოლიუცია, ჩამოაყალიბა რა კომინტერნის „მოქმედების პროგრამის“ აგრარული ნაწილი აგრარულ საკითხზე.

ბოლოს, აღმასკომის გაფართოებულმა პლენუმმა 1923 წ. ზაფხულზე გააფართოვა ლოზუნგი „მასებისაკენ“ და „ერთიანი ფრონტის“ ლოზუნგი და მისცა მას ახალი პოლიტიკური ფორმულა: „მუშურ გლეხური მთავრობა“.

ამიერიდან ლოზუნგს: „მასებისაკენ“ ეძლევა უფრო ფართო მნიშვნელობა, ვიდრე წინად. ეს ლოზუნგი აიძულებს დასავლეთის კომუნისტებს სერიოზული ყურადღება მიაქციონ სოფლის მშრომელ მასების დაპყრობას.

საკითხი გლეხობის შესახებ დასმულია ძველი თავისი სიგრძე-სიგანით კომინტერნი თავისუფლდება 2 ინტერნაციონალის ცრუ ტაქტიკის უკანასკნელ ნაშთებისაგან და კლასთა ბრძოლას მსოფლიო მასშტაბით უკეთებს ნამდვილ რევოლიუციონურ, **ლენინურ** თვალსაზრისით.

1923 წ. შემოდგომაზე მოსკოვში გამართული საერთაშორისო გლეხთა კონფერენცია არის პირველი პრაქტიკული ცდა გაერთიანებულ იქნან დაჩაგრული გლეხური მასები მსოფლიო მასშტაბით.

15 მესამე ინტერნაციონალი წინააღმდეგ პირველი ორისა—არის მასიური მოქმედების, საქმის ინტერნაციონალი.

მასში მწყობრადაა შეთავსებული რევოლიუციონური მარქსიზმის თეორია, რომელიც გაწმენდილია ყოველგვარ შეთანხმებლობისაგან, მასების რევოლიუციურ ორგანიზაციასთან, რომელიც აამხედრა ომის საშინელებამ და კაპიტალისტურ მსოფლიოს ეკონომიურმა დაშლამ.

მსოფლიო რევოლიუცია არის 3 ე ინტერნაციონალის შინაარსი და მიზანი.

და ისტორიულ განვითარების აუცილებლობით იგი გაიმარჯვებს ძველ კაპიტალისტურ მსოფლიოზე.

ს. კ. პ. ც. კ და ტფ. კ. საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილება.

საქ. ახკომკავშირის ცეკა
8 მარტს
იწვევს გაფართოებულ პლენუმს
სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივნების თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ.
2. პრეზიდიუმის მოხსენება.
3. სააგიტ საპროპაგანდო მუშაობის შესახებ.
4. ს ა. კ კ სამაზრო კონფერენციების შესახებ.
5. კომკავშირის სამხედრო მუშაობა.
6. კომკავშირში მუშა ახალგაზრდობის მიღებისა და კომპარტიაში კომკავშირის წევრების გადარიცხვის შესახებ.
7. სხვადასხვა.

საქ. ახკომკავშირის ცეკას მდივანი: დეკდარიანი.

კომუნისტური ინტერნაციონალი

„მე მგონია, რომ ხელახლად აღორძინებული ინტერნაციონალი, მას შემდეგ რაც მარქსის ნაწერები რამოდენიმე წლის განმავლობაში მოახდენენ გავლენას—იქნება პირდაპირ კომუნისტური და მის დროშაზედ აღიბეჭდება სწორედ ჩვენი პრინციპები“.

ასე სწერდა ფრ. ენგელსი პირველი ინტერნაციონალის დაშლის შემდეგ, 1874 წ. თავის მეგობარს ფ. ზორგეს*)

1-მა ინტერნაციონალმა (1864—74) უდიდესი გავლენა მოახდინა მუშათა კლასის თვითგანვითარების საქმეზე და პირველი მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაუყარა პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანებას. მაგრამ მან ვერ შესძლო მთელი მსოფლიოს ხელმძღვანელობა ბოლომდე და ვერ გადაიქცა სოციალისტური რევოლიუციის შტაბად. მიუხედავად იმისა, რომ მას უშუალოდ მეთაურობდა კ. მარქსი. ამის მთავარი მიზეზი მდგომარეობდა, როგორც მაშინდელს ობიექტიურ პირობებში,—სოციალისტური რევოლიუციისათვის ნიადაგის მოუმზადებლობის საქმეში,—ისე თვით ინტერნაციონალის სტრუქტურასა და ორგანიზაციაში.

ენგელსი იმავე წერილში სწერდა: „ინტერნაციონალი 10 წლის განმავლობაში გავლენას ახდენდა ევროპის ისტორიაზე ერთის მიმართულებით—მიმართულებით, რომლისაკენაც სძევს მომავალი,—და შეუძლია სიამაყით გადახედოს უკან თავის ნამუშევარს. მაგრამ თავის ძველს ფორმაში მან უკვე დაამთავრა თავისი არსებობა.. თანამედროვე მომენტში ინტერნაციონალის პრესტიჟი ამოწურულია.. და ყოველგვარი ცდა რათა შთაგვებერა მასში ახალი სიცოცხლე, გადაიქცეოდა ენერგიის უაზრო დაკარგვად“..

პირველი ინტერნაციონალი დაიშალა თავისი შინაგანი ბრძოლის ნიადაგზე, მაგრამ მან გადმოსცა მემკვიდრე თაობას დიდი გამოცდილება და საუკეთესო მათ შორის კი პარიზის კომუნარების (1871 წ) ცდები, „რომელიც ინტელექტუალურად აუცილებლად იყო ინტერნაციონალის ღვიძლი შვილი“ (ენგელსი)

პარიზის კომუნა იყო ოქტომბრის გადატრიალებამდე პროლეტარიატის მხრით ისტორიაში პირველი ცდა თავისი კლასიური სახელმწიფოს შესაქმნელად და პროლეტარიატის დიქტატურის გასამტკიცებლად 1891 წ მარქსის წიგნის—„სამოქალაქო ომი საფრანგეთში“—წინასიტყვაობას ფრ. ენგელსი შემდეგ სიტყვებით ათავებდა: „გსურთ იცოდეთ, თუ რა არის ეს დიქტატურა? შეხედეთ პარიზის კომუნას: **ის პროლეტარიატის დიქტატურა იყო**“.*) თვით მარქსმა პარიზის კომუნას საუცხოვო ანალიზი გაუკეთა და გამოააშკარავა ის უდიდესი ღირებულება, რომელსაც შეიცავს კომუნის მსგავსი სახელმწიფო, პროლეტარიატის ბატონობის პოლიტიკური ფორმა სოციალური ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. მარქსი პირველი ინტერნაციონალის მანიფესტში პარიზის კომუნის შესახებ სწერდა: კომუნის „საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არსებითად იყო **მუშათა კლასის მთავრობა**, შედეგი ბრძოლისა მწარმოებელ კლასსა და მიმთვისებელ კლასს შორის, **ის აღმოჩენილი პოლიტიკური ფორმა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდებოდა შრომის ეკონომიური განთავისუფლება**“ (იხ.—გვ. 62)

კომუნამ დაამსხვრია, დაღუპა ძველი სახელმწიფოებრივი წყობილების აპარატი მთელი თავისი შინაარსით და მის ალაგას აგო ახალი პოლიტიკური შენობა, პროლეტარიატის დიქტატურის საუცხოვო სახელმწიფოებრივი ფორმა. სწორედ ამაში ხედავდენ მარქს ენგელსი პარიზის კომუნის რევოლიუციონური ცდების დიდ ისტორიულ ღირებულებას, ამის და მიხედვით მათ შესაფერისი შესწორებანი შეიტანეს „კომუნისტურ მანიფესტის“ მეორე თავის ბოლოში წამოყენებულ რევოლიუციონურ ზომებში ეს შესწორება უმთავრესად შეეხებოდა ძველი სახელმწიფოებრივი აპარატის გამოყენების საქმეს პროლეტარიატის ბატონობის პერიოდში. 1872 წ გერმანული გამოცემის წ ნასიტყვაობაში ისინი სწერენ: „მეტადრე კომუნამ დაამტკიცა, რომ მუშათა **კლასს არ შეუძლია უბრალოდ აიღოს ხელში სახელმწიფო მანქანა და აამუშაოს ის თავისი საკუთარი მიზნებისათვის.**“***).

ამგვარად მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს არა მარტო მეცნიერულად ჩამოყალიბებული ზოგადი დებულებები საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შესახებ, არამედ გარკვევით მიგვითითეს იმ კონკრეტულ ფორმებზე, რომლის ფარგლებშიაც შესაძლებელია კაპიტალისტური წყობილების რევოლიუციონური ძალდატანებით გარდაქმნა კომუნისტურ წყობილებად და რომელიც იძლევა მთლიანად შრომის ეკონომიური განთავისუფლების შესაძლებლობას.

ენგელსის იმედი გამართლდა: საერთაშორისო პროლეტარიატმა მიზანშეწონილად გამოიყენა პირველი ინტერნაციონალისა და პარიზის კომუნის გამოცდილება და განამტკიცა უდიდესი კომუნისტური ინტერნაციონალი, რომლის დროშაზედ აღბეჭდილია სწორედ მარქსისა და ენგელსის პრინციპები. მაგრამ ასეთი დიდი ორგანიზაციის შესაქმნელად პროლეტარიატს დასჭირდა თითქმის 50 წლის რევოლიუციონური მზადების პერიოდის გავლა.

ამ პერიოდის სივრცეზე სძევს მეორე ინტერნაციონალის საქმიანობა და მისი მოღვაწეობა (1889 წლიდან). დღეს, როდესაც ამ ინტერნაციონალის ისტორიული საქმიანობა, როგორც ომის წინა ხანებში, ისე საერთაშორისო ომის პროცესში და მის შემდეგაც, თვალ წინ გვაქვს გადაშლილი, ჩვენ შეგვძლია სწორი ანალიზი გაუკეთოთ მას და გამოვარკვიოთ მეორე ინტერნაციონალის ისტორიული როლი მუშათა განვითარების საქმეში.

ამ ინტერნაციონალმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო სწორედ მაშინ, როდესაც კაპიტალისტურმა მეურნეობამ სწრაფი ნაბიჯებით იწყო განვითარება და თავისი ძლევამოსილი მსვლელობის მორევში ჩაითრია თითქმის მთელი მსოფლიო. ეს იყო ის პერიოდი, როდესაც თვით კაპიტალისტურ მეურნეობის წიაღში ჩაისახა, თანდათანობით განვითარდა და განმტკიცდა მონოპოლიური კაპიტალიზმის სისტემა. ამ სისტემას ახასიათებდა, ერთის მხრით, წარმოების უძლიერესი კონცენტრაცია კაპიტალისტურ კავშირების—ტრესტებისა და სინდიკატების სახით, და მეორეს მხრით კი საბანკო და სამრეწველო კაპიტალების შეერთება, შეზრდა ერთს მთლიანს საზოგადოებაში. ამით დაიწყო სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდის შეცვლა კაპიტალიზმის უმაღლესი ფორმით—ფინანსიური კაპიტალიზმით. ფინანსიური კაპიტალიზმი ნიშნავს თითქმის მთელი ეკონომიური ცხოვრების კონცენტრაციას მცირეოდენი კაპიტალისტების ხელში. რ. ჰილფერდინგი ამბობდა: „ფინანსიური კაპიტალი ამთავრებს კაპიტალის უნიფიკაციას. წინად დაყოფილი სფეროები სამრეწველო, სავაჭრო და საბანკო კაპიტალისა ახლა დაყენებულია ფინანსიური არისტოკრატიის ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელიც აერთიანებს ერთ დროს პერსონალურ კავშირში სამრეწველო და საბანკო მპყრობელებს“ *).

ასეთი კაპიტალისტური სისტემის განვითარებამ უდიდესი ცვლილებები შეიტანა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებაში და აჩქარებულის ტემპით აამოძრავა მთელი მსოფლიოს ყველა სამეურნეო რაიონები.

ამავე კაპიტალისტური ურთიერთობის ასეთმა გიგანტიურმა სვლამ თავისი დაღი დაასვა მთელი დაწინაურებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოების მუშათა მოძრაობის საქმესა და განსაკუთრებით კი მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკას.

მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა განსაკუთრებულის მნიშვნელობით დაინახეს და აღნიშნეს კაპიტალიზმის განვითარების დიდებითი მხარეები,—მისი კონცენტრაცია და სწრაფი მსვლელობა მთელს მსოფლიოში,—მისი შემოქმედებითი ენერგია. ისინი ფიქრობდნენ, რომ კაპიტალიზმის ასეთი სწრაფი მსვლელობა უკვე ამზადებს თავისთავად სოციალიზმს, რომ [illegible] ძალით კაპიტალიზმის განვითარების წყალობით თავის თავად გადავა ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში და სოციალიზმის საქმეც უზრუნველყოფილი იქნებაო. სწორედ ამ ნიადაგზედ აღმოცენდა მეორე ინტერნაციონალის მთელი ის პოლიტიკა და მოღვაწეობა, რომელიც ჰოლანდიის მემარცხენე სოციალისტმა ან. პანეკუკმა **„უმოქმედო ლოდინის პოზიციაზე მდგომის“** სახელწოდებით დაახასიათა. მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკის ტიპიურ გამომხატველად შეიძლება ჩაითვალოს ავ. ბებელის 1891 წ ერფურტის ყრილობაზე წარმოთქმული შემდეგი სიტყვები: „მე ვფიქრობ, რომ ჩვენ გვაქვს ყოველივე საბუთები ვიყოთ მოვლენათა მსვლელობით კმაყოფილნი. მხოლოდ მათ, ვისაც არ შეუძლიათ გაითვალისწინონ პროცესი მთლიანად, შეუძლიათ ჰქონდეთ სხვა აზრი. **ბურჟუაზიული საზოგადოება ენერგიულად მუშაობს თავისი საკუთარი დაღუპვისათვის. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ უცადოთ იმ მომენტს, როდესაც ძალაუფლება გადმოვარდება ბურჟუაზიის ხელიდან რომ მაშინ ავიღოთ ის“.**

ამ ცდისა და ლოდინის პროცესში მეორე ინტერნაციონალის ბელადებს მხედველობიდან გამოეპარათ თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების მეორე მხარე: სახელდობრ ის, რომ ფინანსიური კაპიტალიზმი თავისი იმპერიალისტური პოლიტიკით უკვე შედიოდა ლპობის პროცესში, რომ იგი თავისი განვითარების წყალობით უკვე ხდებოდა კაცობრიობის პროგრესის ხელშემშლელ ფაქტორად, რომ კაპიტალიზმის კრიზისი და რღვევითი ელემენტები თანდათან გადაიქცა მისი დამახასიათებელ თვისებებად, რაც განსაკუთრებულის სიძლიერით გამოიჟღავნა საერთაშორისო ომის პროცესში. ასეთ პირობებში „უმოქმედო ლოდინის პოზიციაზე დგომა“ ფაქტიურად ხელს უწყობდა იმპერიალისტური რეაქციის გამძაფრებასა და ომების დაწყებას.

მაგრამ მეორე ინტერნაციონალის მესვეურებს დაავიწყდათ აგრეთვე მარქსის უდიდესი ანდერძი: რომ კაპიტალიზმის ლიკვიდაციისათვის საჭიროა რევოლიუციონური პროლეტარიატის დარაზმვა, მისი მებრძოლი კადრების ორგანიზაცია კაპიტალისტთა წინააღმდეგ ასაჯანყებლად. მარქსმა გვასწავლა, რომ კაპიტალისტური წყობილების აღმოსაფხვრელად საჭიროა პროლეტარიატის გაბატონებულ კლასად გადაქცევა, პროლეტარიატის დიქტატურის დაწესება და მისი „დესპოტიური“ ჩარევა საკუთრების უფლებასა და წარმოების ბურჟუაზიულ ურთიერთობაში, ძალდატანებით დარღვევა ძველი სახელმწიფოებრივი წყობილების ყველა ფორმების და მის ნანგრევებზე ახალის აშენება.

მეორე ინტერნაციონალმა პირველთან შედარებით დიდი დაწინაურება განიცადა თავისი ორგანიზაციულ მუშაობასა და ნაციონალურ პარტიების შექმნის საქმეში; მაგრამ მისი ორგანიზაცია არ წარმოადგენდა კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლიუციონური გზით მებრძოლ ორგანიზაციას. მეორე ინტერნაციონალი იყო უფრო საინფორმაციო ორგანო, ვიდრე მებრძოლი შტაბი პროლეტარიატისა. აქედან წარმოიდგა ამ ინტერნაციონალის ორგანიზაციული სისუსტე და უძლურება. მან ვერ მოახერხა თავის 25 წლის (1889-1914 წ) არსებობისა და მოღვაწეობის პერიოდში ვერც ერთი ღირსშესანიშნავი ისტორიული აქტი. თუ 1 ინტერნაციონალის მოღვაწეობას აგვირგვინებს პარიზის კომუნარების ძვირფასი ცდები, ამ ნაირად მეორე ინტერნაციონალი ღარიბზე ღარიბესად უნდა ჩაითვალოს. სამაგიეროთ მისი რიგები გავსო ოპორტუნისტებითა და რეფორმისტებით, რომლებმაც, ბოლოს სამარცხვინო როლი ითამაშეს საერთაშორისო ომისა და პროლეტარულ მოძრაობის პროცესში.

შესძლო მეორე ინტერნაციონალმა მარქს-ენგელსის პრინციპების აღბეჭდვა თავის დროშაზე? დღეს გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეობა იყო მცირედის გამოკლებით მარქსიზმის რევოლიუციონური სისტემის რევიზია. **სიტყვით რევოლიუციონიზმი და საქმით კი ოპორტუნიზმი, კაპიტალიზმთან შეგუება,**—აი რა ახასიათებდა ამ ინტერნაციონალის 25 წლის ისტორიას. როგორც „ცენტრი“, ისე რეფორმისტული ელემენტები ერთსა და იმავე ნიადაგზედ იდგნენ და თითქმის ერთსა და იმავე პროგრამით იკვებებოდნენ.

მართალ რომ საერთაშორისო კონგრესებზე (შტუტგარდის 1907 წ ბაზელის 1912 წ.) მეორე ინტერნაციონალის ბელადები გამოიტანდნენ ომის საწინააღმდეგო რეზოლიუციებს და მოითხოვდნენ თავიანთ სექციებისაგან, თუ დაიწყებოდა ომი აქტიური წინააღმდეგობა გაეწიათ მისთვის. ეს რეზოლიუციები თითქოს ქაღალდზე დარჩა ზავის დროს მიღებული და მისი პრაქტიკული გამოყენებისათვის არავის არ გადაუდგამს ნაბიჯი სამაგიეროდ, როდესაც იფეთქა საერთაშორისო ომმა, [illegible] წინააღმდეგ ომის გაჩაღების შემდეგ, მეორე ინტერნაციონალის თითქმის ყველა ძლიერი პარტიები აშკარად დადგნენ თავიანთ მთავრობების გვერდით და იარაღით ხელში იცავდნენ თავიანთ კაპიტალისტებს.

ეს იყო მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკური გაკოტრება და მისი იდეოლოგიური გაკოტრების მზის სინათლეზე გამოტანა. ოპორტუნიზმმა არა მარტო ფაქტიურად, არამედ იდეოლოგიურადაც დაამარცხა მთელი მეორე ინტერნაციონალი და გადააქცია იგი სოციალ იმპერიალისტების ბუდით.

მაგრამ მუშათა კლასში რევოლიუციონური სულის ჩაქრობა საბოლოოდ შეუძლებელი შეიქნა და ჯერ კიდევ მეორე ინტერნაციონალის წიაღში ჩაისახა მემარცხენე ჯგუფი ლენინისა და რ. ლუქსემბურგის მეთაურობით, რომლებმაც 1907 წ. იდეური საფუძვლები ჩაუყარეს მესამე ინტერნაციონალის წარმოშობის საქმეს. აღნიშნულ წელს, შტუტგარტის კონგრესზე რ. ლუქსემბურგმა და ნ. ლენინმა მემარცხენე ფრთის სახელით გადაჭრით მოითხოვეს, რომ ომის შემთხვევაში ინტერნაციონალს არა მარტო აგიტაცია გაეწია მისი დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, არამედ **აემხედრებინათ მასები და გამოეყენებინათ ომის მიერ შექმნილი კრიზისი მთელი კაპიტალისტური წყობილების კრახის დასაჩქარებლად.***) ეს გამოსვლა და ასეთი პოლიტ საფუძვლად დაუდვა მემარცხ ციალისტური ელემენტების კებას საერთაშორისო მას მაგრამ საგრძნობი რეალურ ძას მაინც არ მოყვა. იმიტო თაშორისო ომის დაწყები წლ დაიწყე რუსეთის ბოლ პარტიის მეთაურობით მ ჯგუფი აშკარად დადგა ომის სამოქალაქო ომად გა სიადგზე და წამოაყენა ესმა ინტერნაციონალის შესახებ.

ომმა საბოლოო ლახვარი ჩასცა მუშათა კლასს და მეორე ინტერნაციონალის დაშლით იგი იძულ ეუნი მთავრობების სოციალ ალად გადააქცია. მუშათა კლასის ხელ სამშობლოში და მის ნაციონალურ ორგანიზაციებში გაიფანტა გაუ ერეული ნაციონალიზმი. ასეთს პირობებში ბრძოლა სოციალისტურ პარტიებს შორის სოლიდარული, ინტერნაციონალური ურთიერთობის აღდგენის შესახებ მეტად ძნელ საქმეს წარმოადგენდა.

---

*) „მარქსის, ენგელსის და სხვათა წერილები ფ. ზორგესადმი“ გვ. 145 1908 წ

*) იხ. კ მარქსი: „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ გვ. 17.

*) იხ. „კომუნისტური მანიფესტი“ გვ 58.

*) იხ. მისი „ფინანსიური კაპიტალი“ 1922 წ.

*) ი. გ. ზინოვიევი: „ომი და სოციალიზმის კრიზისი“, გვ. 371—2, 1920 წ.

კოოპერაცია

გორის მაზრის კოოპერატივების წარმომადგენელთა თათბირი

ცეკავშირის გამგეობის ინიციატივით მიმდინარე წლის თებერვლის 10-ს ქ. გორში მოწვეულ იქნა გორის მაზრის კოოპერატივების წარმომადგენელთა თათბირი.

ამ თათბირს დაესწრნენ გორის მაზრის ძირითად კოოპერატივების, ცეკავშირის, ადგილობრივი ხელისუფლების, პარტიულ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი რიცხვით 45 კაცამდე.

თათბირის დღის წესრიგში შედიოდა შემდეგი ფრიად საინტერესო საკითხები: მოხსენება ადგილებიდან, ორგანიზაციო საკითხები, „წითელი ქართლის“ წარსული მოქმედება და მომავალი პერსპექტივები და სადღეისო კოოპერაცია. ყველა ამ თემების შესახებ თათბირმა იქონია ცხოველი მსჯელობა და მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილებანი.

მოისმინა რა მოხსენებები ადგილებიდან, თათბირი აღნიშნავს:

1. კოოპერატივებს საგრძნობლად გაუიაფებიათ პირველ მოთხოვნილების საგნები, როგორც, მაგალითად, ნავთი, მარილი, წუწუმა, საპონი და სხვა, ხოლო შედარებით უფრო ძვირი იყო მათ მიერ მიწოდებული მანუფაქტურა; მაზრის კოოპერატივებმა თავის დამზადების საქმიანობით აწიეს ფასები ადგილობრივ სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებზე და რამოდენიმე ჩამოაშორა ჩვენს გლეხკაცობას ჩარჩები და შუამავლები, რითაც მან აწია გლეხობის მსყიდველობითი უნარი და დაუახლოვა მწარმოებელი მომხმარებელს.

2. სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საქმის მოწყობა და ამ მწვავე საჭიროებამ უკვე ბუნებრივად გამოიწვია ის გარემოება, რომ ზოგიერთ მთლიან კ-ვებს საკრედიტო ოპერაციების წარმოება დაუწყია.

ამის გამო თათბირი გამოსთქვამს სურვილს:

1. კოოპერაციის ცენტრმა, ცეკავშირმა გააძლიეროს საქონლის მარაგი უფრო კი სამომხმარებლო საგნებისა და შეარჩიოს საქონლის ასორტიმენტი.

2. ცეკავშირმა ხელი შეუწყოს მომავლისათვის ადგილობრივი ნაწარმოების დამზადებას და ხელსაყრელ ფასებში გასაღებას, რისთვისაც საჭირო იქნება თავის დროზე სათანადო თანხების შოვნა; ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ნაწარმოების გადამუშავებასაც.

3. ცეკავშირის გამგეობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს სასოფლო სამეურნეო კრედიტის მოწყობას, ვინაიდან, კრედიტის გარეშე ჩვენი სოფლის მეურნეობის აყვავება საერთოდ და კერძოთ დღევანდელ პირობებში, ყოვლად შეუძლებელია.

4. აღიღებულ იქნეს თავიდან სხვადასხვა ორგანიზაციების პარალელური მუშაობა, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს ჩვენს კოოპერატიულ საქმიანობაში და იწვევს ისედაც მცირე მომუშავე ძალების დაქსაქსვას.

5. კოოპერატიული აპარატის სათანადო მოწყობისათვის საჭიროა კოოპერატიული ცენტრის მიერ მიექცეს სერიოზული ყურადღება კოოპერაციის როგორც იდეური, ისე ტექნიკური მომუშავეების მომზადებას, ადგილობრივი კურსების, ლექციების, საუბრების და სხვა ასეთების მოწყობით.

6. იქნეს მიღებული სასტიკი ზომები, რათა კოოპერატიულ ორგანიზაციებს არავითარი კავშირი არ ჰქონდეთ კერძო ვაჭრებთან და არავითარი ღებ-მიცემობა არ აწარმოონ მათთან.

7. დაევალოს ყველა ძირითად კოოპერატივებს იმოქმედონ მხოლოდ თავიანთ რაიონის ფარგლებში და არ გადავიდნენ სხვა კოოპერატივის რაიონში უკანასკნელთან შეუთანხმებლად. სხვის რაიონში გადასვლა არღვევს კოოპერატიულ ფრონტს, ხელს უწყობს საქონლის ფასების დაცემას და სცემს კოოპერატივის პრესტიჟს.

8. არც ერთ კოოპერატივს არ ჰქონდეს უფლება შეიძინოს საქონელი კოოპერაციის გარეშე, თუ ეს საქონელი ცენტრში არ არის ძვირი, ვიდრე კერძო ბაზარზე.

9. მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები, რომ ძირითადმა კოოპერატივებმა შექმნან საკუთარი თანხები, განსაკუთრებით კი საპაიო თანხა, რაც საშუალებას მისცემს კოოპერატივებს თავისუფლად და კერძო პირთაგან დამოუკიდებლად წარმართოს თავისი სამეურნეო საქმიანობა.

10. ეთხოვოს ცეკავშირს მიამაგროს გორის მაზრას ერთი ინსტრუქტორი სამი თვით მაინც.

საორგანიზაციო საკითხების შესახებ თათბირი ადგენს, რომ კოოპერატიული მშენებლობა უნდა იყოს დაყრდნობილი ინტეგრალურ პრინციპზე. ჩვენი მთლიანი კოოპერატივები აკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნილებას სოფლის მეურნეობისა და თვით მეურნისას. წმინდა ხასიათის სამომხმარებლო კოოპერატივები, გარდა ზოგიერთი სამუშაო ცენტრებისა, ჩვენში არ არსებობენ, ვინაიდან ჩვენი კოოპერატივების დიდი უმრავლესობა წარმოადგენდა და განსაკუთრებით დღეს წარმოადგენს საგლეხო-სასოფლო თვითმოქმედ კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომლებიც აწვდიან ჩვენს გლეხობას როგორც პირველ მოთხოვნილების საგნებს, აგრეთვე სასოფლო მეურნეობაში საჭირო მანქანა-იარაღებს და საწამლავ საშუალებებს. გარდა ამისა მიზნად ისახავენ სოფლის ნაწარმოების საუკეთესო პირობებში გასაღებას და ამით მეურნეობის გაუმჯობესებასაც. ხელმძღვანელობას უწევენ სოფელს თვითმოქმედების ნიადაგზე სამეურნეო სამელიორაციო საქმიანობის წარმოებაში ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი კოოპერატივები უკვე შეუდგნენ საკრედიტო ოპერაციებსაც, ყველა ეს საჭიროებანი კი თითქმის სავსებით დაფარულია ჩვენი მთლიანი კოოპერატივების საქმიანობით და ვინაიდან თვით ტენდენცია ჩვენი მთლიანი კოოპერატივების განვითარებისა ისეთია, რომ ახლო მომავალში სავსებით იქნება დაფარული სოფლის მეურნეობის და თვით მეურნის ყოველმხრივ მოთხოვნილებანი, ამიტომ თათბირი მიზანშეწონილად სთვლის ჩვენს კოოპერატიულ მშენებლობაში ინტეგრალური პრინციპის გატარებას, და ავალებს თავის წევრებს ზემოდ აღნიშნული პრინციპის მიხედვით და აგრეთვე ძალებისა და მატერიალური საშუალებათა ეკონომიის მიზნით შეებრძოლონ თავიანთ რაიონებში ყოველნაირი პარალელური ორგანიზაციების დაარსებას და ამ თემის მომხმარებლებისა და მწარმოებლების ინტერესების დაპირისპირებას. ამასთანავე, თათბირი, იღებს რა მხედველობაში ფაქტს ძირითადი კოოპერატიული ორგანიზაციების მთლიანობისას, მიზანშეწონილად მიაჩნია კოოპერატიულ მშენებლობის შემდეგ საფეხურებში დაცვა ამ მთლიანობისა. ამიტომ თათბირი სთხოვს საქ. ცენტრალურ კოოპერატიულ ორგანიზაციებს წმინდათ დაიცვან კოოპერატიულ მშენებლობაში მთლიანობის პრინციპი და გამონახონ საერთო ენა შეთანხმებული მუშაობისათვის.

შემდეგი საკითხი შეეხება საკრედიტო კოოპერაციას. გორის მაზრის კოოპერატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი, აძლევს რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღდგენის საქმეში კრედიტს და იღებს რა მხედველობაში, რომ უკვე დამყარდა შედარებით ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა და ღებ-მიცემობა, რომელიც საშუალებას იძლევა დიდი ხნით მოშლილი და გაუქმებული სოფლად საკრედიტო საქმიანობის განახლებისა, ადგენს: დაარსდეს, თანახმად ცეკავშირის მიერ გამოცემული დებულებისა ყველა მთლიან კოოპერატივებთან საკრედიტო განყოფილება შემნახველ-გამსესხებელი და საკრედიტო ამხანაგობების ფუნქციებით. განყოფილება აღჭურვილ იქნას ავტონომიური უფლებებით, რაც უმთავრესად უნდა გამოიხატოს კოოპერატივის საერთო თანხებიდან განყოფილებისათვის საჭირო თანხისა და ანგარიშის წარმოების გამოყოფით. გარდა ამისა, თათბირმა მოისმინა ს. მაჭავარიანის მოხსენება „წითელი ქართლის“ შესახებ და ადგენს:

1. რომ ამ უკანასკნელს დიდი დაბრკოლებებითა და გაჭირვებით შეუსრულებია ხალხის ნაწარმოების მოვლა დაბინავების საქმე. თათბირი სთხოვს ცეკავშირს დაარსოს გორის განყოფილებასთან აგრონომიული პუნქტი, რომელიც უხელმძღვანელებს მთლიან [illegible] სოფლად მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში. აგრეთვე, ყველა მთლიან კოოპერატივებთან გაგზავნილ იქნას მებაღე ინსტრუქტორები ბაღების მოვლის ხელმძღვანელად.

2. თათბირი აღნიშნავს რა, რომ უკვე ბაღების გაშენება გორის მაზრაში ძალიან დაქვეითდა და შეჩერდა, სთხოვს ცეკავშირს დაარსოს გორში სანერგე, რომელიც მიაწვდის ხალხს საჭირო ნამყენებს ბაღების გასაშენებლად. ამას მოთხოვნილება გორის მაზრაში ძალიან დიდია და უფრო გაიზრდება ტირიფონის არხის გაყვანის შემდეგ.

3. ვინაიდან ძალიან დიდი გაჭირვება განიცადა „წითელ ქართლს“ ყუთებისა და ბურბუშელის უქონლობის გამო, ამიტომ ეხლავე მიღებულ იქნეს ზომები ამ მასალის შესაძენად მომავალი ოპერაციისათვის. თათბირი სურვილს გამოსთქვამს გახსნას ცეკავშირმა გორში ქარხანა საკუთარი მასალის დასამზადებლად, რადგანაც ნაყიდი ყუთებით და ბურბუშელით შეუძლებელია იმ საქმის გაძღოლა, რომელიც კოოპერაციას აქვს დავალებული.

4. თათბირი აღნიშნავს რა, რომ ხალხის ნაწარმოების გასასაღებლად ცალ-ცალკე გამოტანა ბაზარზე მეტად სცემს ფასს და უკარგავს ღირებულებას, მომავლისათვის წინადადებას აძლევს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს გამოვიდნენ შეერთებულის ძალით და ერთის ფრონტით ბაზარზე; მით ბაზარს დაიჭერენ ხელში, ფასის დამდგენები იქნებიან თვითონ და მწარმოებელთა სასარგებლოდ გაასაღებენ მათ ნაწარმოებს.

გორელი.

კოოპერატიული მუშაობა სამტრედიაში

„მაკრატლის“ პრობლემა, რომელიც თავის სიგრძე-სიგანით წამოიჭრა ხელისუფლების და მმართველი პარტიის წინაშე მოითხოვს პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას მისი პირების დაახლოვებისთვის. ამ მიზნით სამტრედიის ეპომ დაუკლო ფასები ყოველგვარ საქონელზე რაც კი შესაძლებელი იყო, რის შემდეგ ეპოს ორი მაღაზია სავსეა მყიდველებით; ვაჭრობა გაცხოველდა, გლეხს საშუალება მიეცა აგრეთვე კოოპერაციის საშუალებით გაყიდოს თავისი ნაწარმოები (სიმინდი, ლობიო, თხილი, ბამბა და სხვა) რამოდენიმე უმაღლეს-ფასებში, რის გამოც მისმა მსყიდველობითი უნარმა მოიმატა. თან და თან კოოპერაცია პოპულიარული ორგანიზაცია ხდება მასის თვალში და ის კვლავ უყრის დაქსაქსულ მომხმარებლებს თავს კოოპერატიულ ორგანიზაციებში. სამტრედია მთელს დასავლეთ საქართველოში ღებ-მიცემობის ერთ საუკეთესო ცენტრად ითვლება. აქ საკმაოთ არის გაფართოვებული კერძო ვაჭრობა-მეწარმეობაც. კოოპერაციას აქ დიდი დაბრკოლებები ხვდებოდა (და ხვდება ეხლაც პროვოკაცია, ვაჭრების კრილთა ღრეობა და სხვა; ამას გარდა ჩვენი მომხმარებლების საკმაო შეუგნებლობაში პოულობდენ სპეკულიანტ-ვაჭრები მძლავრ დასაყრდნობს; მაგრამ რაც დრო გადის, ჩვენი მომხმარებლები მით უფრო ფხიზლდებიან და მრავლად ეწერებიან კოოპერაციაში. ხშირია ისეთი მოვლენა, რომ წვრილ-ვაჭარი ვაჭრებსაც შემოაქვთ საწევრო გადასახადი, სურთ ისარგებლონ კოოპერატივის იაფი საქონლით, რომ შემდეგ ის ძვირათ მიჰყიდონ ხალხს. მაგრამ ეპო ამას არ უშვებს მხედველობიდან და წევრათ მიღებაზე მათ უარს ეუბნება.

ამას გარდა ეპოსთან მოეწყო საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც ამ მოკლე ხანში შეუდგება მუშაობას. ჩვენ იმედი გვაქვს ის სათანადო გამოხმაურებას იპოვის ჩვენ ხალხში და საკმაო დახმარებას აღმოუჩენს ჩვენს გლეხებს მათი მეურნეობის განვითარებისათვის.

მეხილეთა საზოგადოებამ, რომელიც თავის მუშაობას ეს-ეს არის იწყებს, დიდი აურზაური გამოიწვია აქაურ კერძო ხილით მოვაჭრეთა შორის, მაგრამ იმედია ისიც კარგათ მოიდგამს ფეხს და გაუმართლებს იმედებს მეურნეებს, წევრები მაშიაც საკმაოთ ეწერებიან ასე და ამგვარათ „მაკრატლის“ პირები უახლოვდებიან ერთმანეთს და რაც დრო მიდის ქალაქის და სოფლის კავშირის განმტკიცებაში კოოპერაცია თავის დანიშნულებას ასრულებს, რაც თავდებია შეკავშირებული მშრომელი ძალის გამარჯვებისა.

ხან—კ.ნი.

მუშათა ცხოვრება

ტყავ-ტრესტის მუშებში

ს. ს. ს. რ. მეურნეობის მთავარი საბჭოს ტყავ-ტრესტის თითქმის ყველა წარმოებანი მოთავსებულია ორთაჭალაში; აქვეა სხვა ტრესტების ქარხანა ფაბრიკებიც როგორც საქსოვი, საპნისა და სხ. ასე, რომ ორთაჭალა ერთი მნიშვნელოვანი მუშური რაიონთაგანია ტფილისში და დასახლებულია თითქმის მხოლოდ მუშებითა და ხელმოკლე ღარიბ მშრომელებით. როგორც ასეთი ღარიბი რაიონი მასთანავე ცენტრიდან განაპირებული, ის თითქმის მუდამ ბუდე იყო ყოველგვარი ავადმყოფობისა და განსაკუთრებით აქ მძვინვარებდა ვენერიული სენი.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ტფ. ქალაქის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების ყურადღებითი მოქცევა ამ რაიონში საექიმო საქმიანობისადმი. საექიმო დარგის დაწესებულებანი ენერგიულად მუშაობენ და განსაკუთრებით საგრძნობი ნაყოფიერება დაეტყო მათ მოღვაწეობას ამ ბოლო დროს, როდესაც ვენერიული სნეულებათათვის საგანგებო მუდმივი ექიმი დაინიშნა ჩვენ მუშები, ძლიერ კმაყოფილი ვართ ამ მზრუნველური მოვლა დახმარებით.

მუშა-კორესპონდენტი ლევან ენუქიძე.

ტფილისის ტრამვაის შესახებ.

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

რომ საბჭოთა აღმშენებლობაში მუშურ-გლეხურ მთავრობის დიდი უნარის და ენერგიის ნიჭი შესწევს, ამას დღეს ბრმებიც კი ხედავენ; რომ მუშათა კლასს შეუძლია გადალახოს ყოველი დაბრკოლება და გასაჭირი, ამის ერთი ნიმუშთაგანია დღეს ბაქოს ქალაქის ტრამვაი, რომელიც თითქმის ბაქოს პროლეტარიატის ერთი წლის დაუღალავი შრომით სინამდვილედ იქცა; და, როგორც დეპეშები გვატყობინებდა, ამ ერთი კვირის წინად, დღეს ბაქოს ქუჩებში ელექტრონის ტრამვაი დასრიალებს;

მაგრამ იგივე დეპეშები გვატყობინებენ იმასაც, რომ, როგორც ტფილისში, ისე ბაქოს ახლად აშენებულ ტრამვაისაც გაუჩნდა იგივე სენი, რომლითაც ტფილისის ტრამვაი დიდი ხანია ავად ყოფნის, და ახლად აშენებულ ტრამვაის განადგურებას უქადის, თუ ერთხელ და სამუდამოდ არ მოისპო ასეთი თავაშვებული მდგომარეობა

ეს სენია—ქუჩაში მოხეტიალე ბავშვები, რომლებიც წამდაუწუმ ახტებიან ტრამვაის საფეხურებზე და ამით დიდ ზიანს აყენებენ ქალაქის ტრამვაის; რომ ამას მარტო ბავშვები სჩადიოდნენ, კიდევ არაფერი, მაგრამ ამ მოვლენას ადგილი აქვს აგრეთვე მოხრდილების მხრივაც; განსაკუთრებით ამ შეხტომ შემოხტომას ხშირად სიკვდილიც კი ჰყვება; სწორედ იმ ადგილას ხდება ასეთი შემთხვევები, სადაც ხალხი ბლომად მოძრაობს თავისუფლების მოედანზე პლეხანოვის პროსპექტზე, რუსთაველის პროსპექტზე და სადგურის ახლო-მახლო განსაკუთრებით ზიანი მოაქვთ ამ შემთხვევაში ტრამვაისათვის სხვადასხვა ქუჩებში მოვაჭრე ბიჭბუჭებს, რომლებიც [illegible] და „კაპიტალს“ შეადგენენ მათ კისერზე ჩამოკიდებული პატარა კოლოფები, კონვერტები, ფეხსაცმელების ზორტები, ასანთები, პაპიროსები და ბევრი სხვ.

როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ მავნე ჩვეულებას? როგორც მახსოვს, შარშან ამის წინააღმდეგ ტფილისის მილიციის უფროსმა განკარგულება გამოსცა, რომ ამ შეხტომ შემოხტომისთვის მილიციონერებს თვალყური ედევნებინა და ყველა იმ შემთხვევაში, როცა ასეთებს შეამჩნევდნენ, ოქმი შეედგინათ; ამ ზომამ ვერავითარი ნაყოფი ვერ მოგვიტანა, და დღეს უარესი მდგომარეობაა ქუჩებში ტრამვაის საფეხურებზე, რასაც ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს.

ტრამვაიში მჯდომი მგზავრი სრულიად გულგრილად შესცქერის ასეთს შემხტომს; როცა კონდუქტორი მას სდევნის, შემხტომი სწორედ ასეთ გულ-გრილ მოქალაქეს აფარებს თავს რომ მას კონდუქტორმა არაფერი ავნოს.

თვით მოქალაქენი ვალდებული არიან არ დაუშვან ასეთი შეცდომები.

მუშკორი უ. ჯაში

კომუნალურ მუშაკთა კავშირის კლუბში.

ა. წ. 25 თებერვალს კომუნალურ მუშაკთა კავშირის კლუბში (ყოფ. ბ-ლი გორგაძის — პლეხანოვის პროსპექტი) საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავისა და საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო სახელოვანი, უძლეველი წითელი ლაშქრის ექვსი წლის თავის აღსანიშნავად გაიმართა ფრიად შინაარსიანი მიტინგი-საღამო, რასაც დაესწრნენ წყალსადენის, ტრამვაის „რუსის“ მუშა მოსამსახურენი და სახელრო სკოლის, რადიო როტის და პოლიტ სკოლის კურსანტები.

მიტინგი გახსნა კომუნალურ კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. სერგეევმა. საგანგებოდ მოწვეულმა ორკესტრმა შეასრულა პროლეტარული ჰიმნი „ინტერნაციონალი“. კრებამ ერთხმად აირჩია პრეზიდიუმში ამხ ამხ. სერგეევი, გოკინაიშვილი, ლევშინა, რავიჩი და ხორავა.

მიტინგზე მომხსენებლად გამოვიდა ამხ [illegible] მან თავის ვრცელ და შინაარსიან მოხსენებაში აღნიშნა საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავის მნიშვნელობა. ფაქტებით დაამტკიცა, რომ მუშურ ხელისუფლებამ შესძლო ბევრი დიდი საქმის გაკეთება ამ ხნის განმავლობაში.

მოხსენების გარდა გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომ კომუნალურ მუშაკთა კავშირის კლუბის მრავალრიცხოვანი მიტინგი მხურვალედ მიესალმება საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ მთავრობას და სახელოვან, უძლეველ წითელ ჯარს და გამოსთქვამს იმედს, რომ ახლო მომავალში კომუნისტური პარტია თავის ძლიერი წითელი ლაშქრის შემწეობით შესძლებს დამხობას ბურჟუაზიულ იმპერიალისტურ სახელმწიფოებში მჩაგვრელთა ბატონობის და დაამყარებს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას“.

მიტინგის შემდეგ მსახიობმა იასნაიამ შეასრულა რამოდენიმე სიმღერა რომანსი, რამაც საზოგადოება ძლიერ ასიამოვნა. ამხ მოჩალოვმა თავის სცენებით ძლიერ ამხიარულა დამსწრე საზოგადოება.

ამავე კლუბში კინომ გვაჩვენა ხუთ მოქმედებიანი სენსაციური სურათები „მორელი“. დამსწრე საზოგადოება დაიშალა დიდად ნასიამოვნები ღამის 12 საათზე.

მუშკორი ათ. განიძე.

ჩვენი მე-16 ადგილკომიც მუშაობს.

ამ დღეებში მოხდა მედსანშრომის მე 16 ადგილკომის საერთო კრება. კრებას დაესწრო წევრთა დიდი უმრავლესობა. დღის წესრიგში იყო: ანგარიში ადგილკომის 2 ნახ. თვის მოქმედებაზე, 2) მუშათა კოოპერატივის შესახებ, 3) ადგილკომის წევრის ამხ. გრინბერგის განცხადება ადგილკომიდან გასვლის შესახებ. 4) საქალაქო კონფერენციაზე დელეგატების არჩევნები და 5) მუშათა კორესპონდენტების არჩევნები.

ადგილკომის 2 ნახევარ თვის მოქმედების ანგარიშიდან ირკვევა, რომ ადგილკომში გაერთიანების შემდეგ შედის 200 დი წევრი. ადგილკომების გაერთიანებამ უშუალოდ დააკავშირა კავშირში მომუშავენი სხვადასხვა დაწესებულებები და ამით გაადვილდა როგორც წევრების ადგილკომთან ურთიერთობა, ისე ადგილკომის ადმინისტრაციასთან კონტაქტიური მუშაობაც, ნაცვლად იმ გაფანტულობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში. ადგილკომმა თავის შემადგენლობიდან შრომის განაწილების მიზნით გამოუყო სამი კომისია: ა) სატარიფო, ბ) კულტურული და გ) შემრიგებელ საკონფ. უკანასკნელს ჰქონია 5 სხდომა. მთავარი ყურადღება მას მიუქცევია შტატების შემცირებაზე, რომელიც ადგილკომის ენერგიული მუშაობით უმტკივნეულოდ ჩატარდა. ადგილკომს მოუხდენია კოლ-ხელშეკრულების გადასინჯვა და ახალის დადება ადმინისტრაციასთან. მიუღია ზომები, რათა მოეწესრიგებინა შტატის სიმცირით მუშაობაში გამოწვეული ანორმალობა. მისივე დახმარებით გაუდიდებიათ შტატი ქალაქის ცენტრ. საავთიაქო საწყობში და მიღებულია ზომები, რათა ქალაქის ცენტრალური აფთიაქის შტატის მუდმივ სიმცირეს ბოლო მოეღოს ერთხელ და სამუდამოდ

ადგილკომის ენერგიულ მუშაობას უნდა მიეწეროს აგრეთვე ტრამვაის ფულის ღება თანამშრომლების მიერ.

კულტკომისიის მიერ მოწყობილ იქნა ლექციები სხვადასხვა თემაზე მიღებულია ზომები პროფუცოდინარობის სალიკვიდაციოდ; შექმნილია სხვადასხვა სამეცადინო წრეები, გახსნილია სამკითხველო, რომელიც ღებულობს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს და მრ. სხვა.

წარმატებით უწარმოებია ადგილკომს აგრეთვე კოოპერატივით სარგებლობის საქმე.

ადგილკომს 2 ნახევარ თვეში მოუხდენია 20 სხდომა 16 ადგილკომის მუშაობა კრების მიერ ცნობილ იქნა „ფრიად დამაკმაყოფილებლად“, რის გამო მას თანამშრომლების მიერ მადლობა გამოეცხადა.

საქალაქო კონფერენციაზე არჩეულ იქნენ შემდეგ ამხანაგები ერთხმად: 1) ამ. ანდღულაძე, 2) არმენაკიანი, 3) ქურდიანია, 4) ქაჯაია, 5) ფერაძე, 6) თოფურიძე, 7) ბოკერია, 8) კახნიაშვილი, 9) კოპნისი და 10) ღომურიშვილი. კანდიდატებათ: თოფურიძე და მგალობლიშვილი.

არჩეულ იქნა აგრეთვე ამხ. გაბე[illegible] და [illegible] მუშათა-კორესპონდენტებად.

მუშკორი პ. ე—ვა.

წითელ თებერვლის ზეიმობა ს. მუხრანის მუშათა კლუბში.

(ჩვენი მუხრანელი მუშკორისაგან)

23 თებერვალს ა. წ. მუხრანის კლუბში შესდგა მიტინგი საღამო რესპუბლიკების საბჭოთა წითელი ლაშქრის ექვსი წლის თავის აღსანიშნავად. ამ დღისათვის კლუბი საგანგებოდ იყო მორთული ყვავილებით, ნოხებით და სურათებით. საღამოს დაესწრნენ მუშა მოსამსახურეები თავისი ოჯახობით, წითელ არმიელები და კომკავშირის წევრები.

მიტინგზე თავმჯდომარეობდა ამხ. ვალ. ბაქრაძე. გაიხსნა მიტინგი ინტერნაციონალის სიმღერით. მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ვ. ბაქრაძე და სევ. არობელიძე, რომლებმაც თავისი ვრცელ სიტყვებში დაახასიათეს როლი და მნიშვნელობა წითელი ლაშქრის პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებაში. მათვე საკმაოდ დაასაბუთეს მუშათა ხელისუფლების მტკიცე და შეურყეველი ძალა და ხება პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებაში—საქართველოში და სხვა.

25 თებერვალში საქართველოს გასაბჭოების 3 წლის შესრულების აღსანიშნავად მოხსენება გააკეთეს პასუხისმგებელ ამხ. გიგლა ბერბიჭაშვილმა და კოლია გოგიამ, რომელნიც დაწვრილებით შეეხენ იმ მოღვაწეობას, რაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და უნარით გაკეთდა საბჭოთა საქართველოში.

მიტინგის შემდეგ დაიდგა 3 მოქ. პიესა „სიკვდილით დასჯა“, სიმონ დუმბაძის რეჟისორობით. პიესა საერთოდ კარგად ჩატარდა; ძლიერ ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება მოხდენილი თამაშით ს. დუმბაძემ. კარგები იყვნენ ილ. ლომთაძე და ოსკანოვი. დანარჩენი ამხანაგები საერთოდ ანსამბლს ხელს უწყობდნენ. სასურველია, დროგამოშვებით იდგმებოდეს ამ კლუბში რევოლიუციონური პიესები. საზოგადოება დაიშალა ნასიამოვნები.

სოფლ. კორესპონდ. აქაური.

მუშათა ქრონიკა

— **შეღავათები რკინისგზელებისათვის.** ტფილისის საგზაო კავშირმა დაადგინა: დაიწყოს შეღავათების მიცემა რკინისგზელ მუშა-მოსამსახურეებზე 1 აპრილიდან.

— **სათბობ მასალის გაიაფება.** ტფილისის რკ. გზ. საგზაო კავშირის მიერ მიღებულია ზომები სათბობი მასალის გაიაფების შესახებ, რათა მუშა მოსამსახურეთ მიეცეთ საშუალება შეიძინონ სათბობი მასალა შესაფერ ფასებში.

— **ხელფასის გადიდება 50 პროცენტით.** ტფილისის საგზაო პროფკავშირის მიერ მიღებულია ზომები რკ. გზის ცეკას დადგენილებით ხელფასის 50 პროცენტამდე გადიდების ცხოვრებაში გატარების შესახებ.

უ'კი.

მიუხედავად ამისა, ლენინის მეთაურობით ბოლშევიკური პარტია მაღლა აფრიალებდა ინტერნაციონალურ სოციალიზმის წითელ დროშას და ენერგიულად მოუწოდებდა პროლეტარიატს სამოქალაქო ომისაკენ

აი რას სწერდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი ერთ ერთ თავის მოწოდებაში 1914 წ: „**გადაქცევა თანამედროვე იმპერიალისტური ომისა სამოქალაქო ომად**“, აი ერთად ერთი სწორი პროლეტარული ლოზუნგი, რომელზედაც მიგვითითებს პარიზის კომუნის გამოცდილება, ბაზელის (1912 წ.) აღნიშნული რეზოლიუციასთან ერთად. **რაც უნდა ძნელ საქმედ არ უნდა გვეჩვენებოდეს ამა თუ იმ წუთში ასეთი გადაქცევა, სოციალისტები მაინც არასოდეს ხელს არ აიღებენ სისტემატიურ, გადაუხვევლ და დაუღალავ მოსამზადებელ მუშაობაზე სწორედ ამ მიმართულებით** *)

დღეს ეს ლოზუნგი ათეულ მილიონ პროლეტარების საერთაშორისო ბრძოლის ლოზუნგს წარმოადგენს, [illegible] ნიშნულ პირობებში (1914 წ.) მას [illegible] ად სუსტი გამოხმაურება მოყვა, [illegible] ინად დაბრმავებულნი იყვნენ სოციალისტური პარტიები ომისაგან. ლენინის რევოლიუციონური ენერგია [illegible] ეუშინდა ამ გარემოებას და გარკვეული პროგრამით წამოაყენა მუშათა კლასისა და მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის გამანადგურებელ ომისაგან. 1915 წ. ამხ ლენინი სწერდა: „ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უსწორ მასწორობა კაპიტალიზმის გარდუვალი კანონია. აქედან გამომდინარეობს ის, რომ შესაძლებელია სოციალიზმის **გამარჯვება თავდაპირველად რამოდენიმე ან და მარტო ერთს განცალკევებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი მოახდენდა რა კაპიტალისტების ექსპროპრიაციას და სოციალისტურად მოაწყობდა წარმოებას იგი, წინააღმდეგობოდა დანარჩენ კაპიტალისტურ მსოფლიოს, მიიზიდავდა თავისკენ სხვა ქვეყნების დაჩაგრულ კლასებს, ხელს შეუწყობდა მათ აჯანყებას კაპიტალისტების წინააღმდეგ, და თუ საჭიროება იქნება სამხედრო ძალებითაც კი გაილაშქრებს მძარცველ კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ** *).

აი სწერდა საერთაშორისო ომის ერთი წლის თავზე რევოლიუციის უდიდესი სარდალი პროლეტარიატის გამარჯვების პროგრამის შესახებ, მაშინ როდესაც მთელი მსოფლიოს ყველაზე უძლიერესი სოციალისტური პარტიები იარაღით ხელში იცავდენ იმპერიალისტების მთავრობას. ამ პროგრამის დიდი ნაწილი ორი წლის შემდეგ ლენინმა და მისმა პარტიამ რეალურ სინამდვილედ გადააქციეს რუსეთის ვრცელს ტერიტორიაზე და ამით სახელმწიფო ორგანიზაციაში განმტკიცებული პროლეტარიატი და უპირისპირეს მთელი მსოფლიოს იმპერიალისტურ ძალებს.

მაგრამ ლენინის მთავარი ყურადღება მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციის (ინტერნაციონალის) საკითხისაკენაც იყო მიმართული მაშინ, როდესაც ყოველი ჯურის რეფორმისტებმა თავიანთი მოქმედებით ძირი გამოუთხარეს მუშათა კლასის ინტერნაციონალურ სოლიდარობის საქმეს და არავინ არ ფიქრობდა მისი აღდგენის შესახებ,—თვით მეორე ინტერნაციონალის უხუცესი თეორეტიკოსი კაუცკიც კი ინტერნაციონალს მშვიდობიანი დროსათვის საჭირო „ინსტრუმენტად“ აღიარებდა, ლენინი შვეიცარიის ერთ ერთ ქალაქში მომავალი მესამე ინტერნაციონალის აღდგენის პირობებს და გზებს იმუშავებდა. 1914 წ. ოქტომბერში ამხ ლენინი თავის წერილში: „დებულებანი და ამოცანები სოციალისტური ინტერნაციონალისა“ შემდეგს სწერდა:

„ოპორტუნიზმით დამარცხებული მე 2 ე ინტერნაციონალი მოკვდა. ძირს ოპორტუნიზმი, გაუმარჯოს არა მარტო ელტოლვილებისაგან, ოპორტუნიზმისაგან გაწმენდილ მე-III-ე ინტერნაციონალს“.

„მე 2 ინტერნაციონალმა შეასრულა თავისი ვალი: მან გასწია სასარგებლო მოსამზადებელი მუშაობა ორგანიზაციის საქმეში პროლეტარული მასების იმ გრძელ „მშვიდობიან“ დროს, როდესაც ყველაზე საშინელი კაპიტალისტური მონობა იყო გაბატონებული და როდესაც კაპიტალისტური პროგრესი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ—მე-XIX-ე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და მე-XX ე საუკუნის დასაწყისში **მე 3 ე ინტერნაციონალის ამოცანაა შემდეგი პროლეტარული ძალების ორგანიზაცია კაპიტალისტურ მთავრობებზე რევოლიუციონური თავდასხმისათვის, ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ სამოქალაქო ომისათვის, პოლიტიკური ძალა-უფლების მოსაპოვებლად, სოციალიზმის გამარჯვებისათვის**“ *)

ამხ ლენინმა ომის პირველ დღიდანვე ნათლად და გარკვევით შეიგნო, რომ მეორე ინტერნაციონალი გადაიქცა გამოფიტულ ორგანიზაციად ოპორტუნისტების წყალობით და მისი აღდგენა აღარ შეესაბამებოდა მუშათა კლასის ახალ ამოცანებს, რომლის მთავარი შინაარსი პოლიტიკური ძალა უფლების დაპყრობაში გამოიხატებოდა, ამიტომ ხან სამკვდრო სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ოპორტუნისტების პოლიტიკას და მოუწოდა მომყოლ მასებს ახალი ინტერნაციონალის შექმნისაკენ.

ამ პერიოდში ჩაისახა მესამე ინტერნაციონალის შექმნის იდეა, რომელიც თანდათან გზას იკაფავდა მუშათა წრეებში და შემდეგ (1919 წ.) თავისი გამოხატულება ჰპოვა კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსებაში.

1915 წელს დაიწყო სოციალისტურ პარტიების გამოფხიზლების პერიოდი: ცენტრის მიმდინარეობამ გერმანიეთში საფრანგეთში, ინგლისში და სხვაგან მოიწადინეს ინტერნაციონალის აღდგენა და ომის წინააღმდეგ „ზომბის“ [illegible] ამ მიზნით სექტემბერში ციმმერვალდში შეიკრიბა მათი კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლებიც. ამ კონფერენციაზე დიდმა აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. მემარცხენე ფრთამ ლენინის მეთაურობით გარკვევით მოითხოვა: 1) ოპორტუნისტულ პარტიებთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა, 2) მესამე ინტერნაციონალის დაარსება და 3) საერთაშორისო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა. ციმმერვალდის კონფერენციის მემარჯვენე ფრთამ *) სასტიკად გაილაშქრა ასეთი გეგმების წინააღმდეგ. ისინი ვერ ბედავდნენ რაიმე რადიკალური ნაბიჯი გადაედგათ ამ მიმართულებით არ სურდათ გაეწყვიტათ ოპორტუნისტებთან, ორგანიზაციული კავშირი და ომის წინააღმდეგ მხოლოდ სიტყვიერი პროტესტით კმაყოფილდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ციმმერვალდის და შემდეგ კინტალის (1916 წ.) კონფერენციებმა იმ ხანებში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მუშათა კლასის გამოფხიზლების საქმეში. ამ კონფერენციის საშუალებით მემარცხენე ფრთას საშუალება მიეცა თავისი პროგრამა ხალხში გაეტანა და თვითონაც ჩამოყალიბებულიყვნენ.

მესამე ინტერნაციონალი თავის მზადების პერიოდი გაგრძელდა 1919 წლის მარტამდე, როდესაც პირველად შეიკრიბა მოსკოვში კომუნისტურ ინტერნაციონალის პირველი კონგრესი და საფუძვლიანი ჩაუყარა ახალს საერთაშორისო ორგანიზაციას.

ამ პერიოდის 1915-1919 წ განმავლობაში მთელს მსოფლიოში მეტად დიდს საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენებს ჰქონდათ ადგილი. მშრომელი მასა გამოფხიზლდა და აშკარად გამოვიდა ომის წინააღმდეგ რუსეთში ეს წინააღმდეგობა 1917 წ. თებერვლის რევოლიუციაში გამოიხატა, რამაც გზა გაუხსნა ბოლშევიკების გამარჯვებას იმავე წელში; ევროპის კონტინენტი გაფიცვების ტალღამ მოიცვა და მუშათა კლასის წრეები მოითხოვდენ ომის შეწყვეტას. 1918—19 წლებში გერმანიეთი, ავსტრო-უნგრეთი რევოლიუციონური მოძრაობის ტალღებში გახვია საერთაშორისო ომი შეწყდა და გამარჯვებული ანტანტა შეუდგა ვერსალში „საზავო“ პირობების გამომუშავებას საბჭოთა რუსეთის გარს შემოარტყეს კონტრ რევოლიუციონური ძალები და ცდილობდენ მის განადგურებას.

ეს პერიოდი ხასიათდება კაპიტალისტურ მსოფლიოს მძიმე კრიზისსა და მერყევის მომენტებით. ცენტრალური ევროპა რევოლიუციონური ცეცხლებით იქმნა [illegible] მშრომელი მასები ენერგიულად იბრძოდენ პოლიტიკურ ძალაუფლების დასაპყრობლად და ბოლშევიკური პროგრამის განსახორციელებლად. მთელი რიგი ბურჟუაზიული პოლიტიკოსებისა და მათს შორის ლოიდ ჯორჯიც გარკვეულ ფერადებით ახასიათებდენ იმ საფრთხეს, რომელიც უმზადებდა კაპიტალისტებს მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობა. მაგრამ მთელი ტრაგედია მუშათა კლასისა ამ რევოლიუციონურ ენტუზიაზმის ხანაში ის იყო, რომ მას არ აღმოაჩნდა მძლავრი კომუნისტური პარტია, რომელსაც შეეძლებოდა ხელმძღვანელობა გაეწია რევოლიუციონური მასისათვის. ამ პერიოდში დაიწყო რღვევა ძველი სოციალისტური პარტიებისა და მათი შემადგენელი ნაწილების გადაჯგუფ გამოჯგუფება. მენშევიკურმა პარტიებმა ამ პერიოდშიაც დიდი დახმარება გაუწიეს ბურჟუაზიას და სისხლის მორევში ახრჩობდენ აჯანყებულ მასებს. გერმანიაში ნოსკეს ჯალათებმა ხელიდან გამოსტაცეს მუშათა კლასს მათი უდიდესი ბელადები—კ. ლიბკნეხტი და რ. ლუქსემბურგი. მენშევიკების ამ დიდ სამსახურს კაპიტალისტების მიმართ ხაზგასმით აღნიშნავდენ ბურჟუაზიული ჟურნალები

აი ასეთს რევოლიუციონურ ელტანების პირობებში რეალურად მომწიფდა პირობები მუშათა მოძრაობისათვის ხელმძღვანელი ინტერნაციონალის დასაარსებლად. 1918 წ. რუსეთის კომპარტიამ უკვე გადასდგა მოსამზადებელი ნაბიჯი და 1919 წ. მარტში შესაძლებელი გახდა ინტერნაციონალის პირველი დამფუძნებელი ყრილობის მოწვევა, რომელსაც დაესწრნენ 25 სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელნი. ამ კონგრესმა ჩაუყარა საფუძველი კომუნისტურ ინტერნაციონალს და მოსცა ის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ხუთი წლის თავს ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ.

როდესაც პირველად იშვა კომინტერნი ყოველი ჯურის რეფორმისტები და მათ შორის მარტოვი ხმამაღლა აცხადებდა: ეს ორგანიზაცია უდღეურ ბავშვს წარმოადგენს, იგი ეყრდნობა იმ [illegible] გემს, რომელიც თანდათან იძირება ოკეანეს ძირისაკენ დაიღუპება გემი (საბჭოთა ხელისუფლება) და ორგანიზაციაც თან ჩაყვებაო.

მართლაც 1919 წ. პირველ პერიოდში საბჭოთა რუსეთი გარს შემორტყმული იყო კონტრ-რევოლიუციონური ძალებით და დღე დღეზე მოელოდენ მის დაცემას. 4 თებერვალს საბჭოთა მთავრობამ წინადადებით მიმართა ანტანტას მოლაპარაკებისათვის პრინცევის კუნძულზე და წინასწარ დასთანხმდა ეძლია ძველი ვალები, მიეწოდებინა პროცენტებში ნედლი მასალა, მიეცა კონცესიები და უარი ეთქვა იმ ტერიტორიებზე, რომელნიც იმ ჟამად ხელთ ეპყრათ კონტრ რევოლიუციონურ მთავრობებს (დენიკინს, კოლჩაკს და სხვ.).

ასეთს პირობებში ცხადია საბ. რუსეთის კრიზისი მეტად საგრძნობი ხდებოდა კომინტერნისათვის. მაგრამ მას შემდეგ განვლო ხუთმა წელმა და დღეს ჩვენ სულ სხვა სურათის მოწმენი ვხდებით: დენიკინ-კოლჩაკის ბანდები სამუდამოდ განადგურებულია საბჭოთა ქვეყანაში უდიდესი კავშირი აღმოცენდა, რომლის წინაშე ახლა ქედს იხრიან ანტანტის დიდი სახელმწიფონი; ხოლო კომინტერნი უდიდეს საერთაშორისო ორგანიზაციად გადაიქცა, რომელიც თითქმის მთელს მსოფლიოში ჰყავს თავისი სექციები და აერთებს 3 მილიონზე მეტს წევრებს. ეს არის უდიდესი გამარჯვება, რომელიც კი შესაძლებელი იყო ამ ხუთი წლის განმავლობაში.

ამ ხნის განმავლობაში კომინტერნმა ძალზე მნიშვნელოვანი მომენტები განიცადა: 1920 წელს მოწვეულ იქნა მეორე კონგრესი, რომელსაც დაესწრო 40 ორგანიზაციის, მეტი წარმომადგენელნი. ამ კონგრესზე გამომუშავებული იქნა მისი წესდება და გამოტანილი იქნა მთელი რიგი ღირსშესანიშნავ რეზოლიუციებისა. წესდება განსაკუთრებულის სიმკაცრით იცავს კომუნისტურს პრინციპებს და არ უშვებს კომინტერნის რიგებში იმ ორგანიზაციებს, რომელნიც არ იზიარებენ სავსებით მის პლატფორმას 1918 20 წლების რევოლიუციონურმა მოძრაობამ განსაკუთრებული დაღი დაასვა ცენტრისტულ მიმართულებას და ისინიც გაეშურნენ კომინტერნისაკენ. რათა ამ ოპორტუნისტულ ელემენტებისაგან თავი გაენთავისუფლებინა, კომუნისტურმა ინტერნაციონალმა გამოიმუშავა ზემოდ აღნიშნული წესდება. სხვა მნიშვნელოვან რეზოლიუციებს შორის, აღსანიშნავია რეზოლიუცია ნაციონალურ და კოლონიალურ საკითხის შესახებ, ლენინის მიერ წარდგენილი. ამხ ლენინმა სოციალიზმის ისტორიაში პირველმა დასვა რადიკალურად კოლონიების საკითხი და გარკვეული პროგრამა წარმოადგინა მათი განთავისუფლების შესახებ. მაშინ, როდესაც მეორე ინტერნაციონალის პარტიები თავიანთ დუმილით დასტურს აძლევენ იმპერიალისტებს ყლაპონ ჩამორჩენილი ერები, კომინტერნი რევოლიუციონური ბრძოლისაკენ მოუწოდებს ამ ერებს და მხარს უჭერს მათს ნაციონალურს მოძრაობას ლენინის მიერ წარდგენილ რეზოლიუციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვების საქმეში.

კომინტერნის შემდეგი კონგრესები მოხდა 1921 და 1922 წლებში. ეს პერიოდი ხასიათდება კაპიტალის შემოტევის მუშათა კლასის წინააღმდეგ. 1921 წლამდე კაპიტალი თავდაცვის პოლიტიკას ადგა და ცდილობდა თავი გადაერჩინა გამანადგურებელ რევოლიუციისაგან. ამ წლიდან რევოლიუციონური მოძრაობის ტემპი მოდუნდა მუშათა კლასში და კაპიტალიც თავდაცვიდან თავდასხმაზე გადავიდა: ეკონომიურად ეს თავდასხმა გამოიხატა სამუშაო დროის გადიდებაში, ხელფასის შემცირებასა და უმუშევართა გამრავლებაში. პოლიტიკურად ფაშისტურ მოძრაობაში. სახელმწიფოს პოლიტიკურ აპარატთან ერთად კაპიტალმა მუშათა მოძრაობას დაუპირისპირა თავისი დამხმარე შავი ორგანიზაციაც

ასეთს პირობებში კომინტერნის მორიგ ამოცანად გადაიქცა მასებთან დაახლოვება და ფართო ორგანიზაციული ბრძოლის წარმოება მუშათა წრეებში. ამ საქმეს ემსახურება მუშათა მთლიანი ფრონტის პლატფორმაც

დღემდე ევროპის კაპიტალი უძლური გამოდგა აღედგინა თავისი ომის წინა დროინდელი მდგომარეობა და გაემრთელებინა კაპიტალიზმის გატეხილი მექანიზმი; მაგრამ ორგანიზაციულად ვერც მუშათა კლასი აღმოჩნდა მზად პოლიტიკურ ძალაუფლების დასაპყრობლად. დღეს კომინტერნის მთავარი ყურადღება მიპყრობილია კომპარტიის ორგანიზაციული კადრების გამაგრებისა და განმტკიცებისაკენ ევროპის კონტინენტზე ხუთი წლის განმავლობაში კომპარტიამ ამ მხრივ მეტად დიდს შედეგებს მიაღწია. შედარებით 1919 წ. ჩვენი რევოლიუციონური კადრები ერთი ასად გაიზარდა, მაშინ როდესაც რეფორმისტების ორგანიზაციები რღვევის პროცესში იმყოფებიან.

ევროპის რევოლიუცია ზღვის ტალღებივით მოძრაობს: იგი ხან მაღლა იწევს, ხან კი დაბლა ეშვება და ისვენებს. პირველი აბობოქრების პერიოდში მას ვერ აღმოაჩნდა დამხმარე ძალა და ამიტომ დამარცხდა. მეორე აღელვებისათვის უკვე მზად არის ასეთი ძალა კომინტერნისა და მისი ერთი ფოლადისაგან გამოჭრილი სექციების სახით, ამიტომ მას სრული გამარჯვება მოელის.

სიმონ ხუნდაძე.

---

*) იხ. ლენინი და ზინოვიევი: „ომი და სოციალიზმის კრიზისი“, გვ. 78.

*) იქვე, ლენინის წერილი: „ევროპის შეერთებულ შტატების ლოზუნგის შესახებ“, გვ. 86—92.

*) გ. ზინოვიევი: „მესამე ინტერნაციონალი“ გვ. 45—6.

*) ამ ფრთისაგან გამოითარდა შემდეგში ცენტრისტული ორგანიზაციები, რომლებმაც 1921 წ. დაარსეს 2 ½ ინტერნაციონალი. 1922 წ. ეს ინ—ლი ისევ შეუერთდა მეორე ინ—ლს.

ფულის რეფორმა

რ. კ. პ. ც. ს. კ. და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის მოწოდება

მოსკოვი. 4 მარტი. რუსეთის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მოწოდებაში საკონტროლო კომისიების და მუშათა და გლეხთა ინსპექციების ადგილობრივ ორგანოებისადმი ნათქვამია: „დაწყებული ფულის რეფორმა არის მნიშვნელოვანი ეკონომიური ღონისძიება, რომლის წარმატებით გატარებაზე დამოკიდებულია საბჭოთა კავშირის მომავალი ეკონომიური განვითარება. რეფორმის წარმატებით გასატარებლად საჭიროა საბიუჯეტო დეფიციტის მინიმუმამდე დაყვანა, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, სავაჭრო ბრუნვის გაფართოება ფასების დაწევის და სტაბილიზაციის ნიადაგზე და ზედმეტ საწარმოო და სავაჭრო ხარჯების შემცირება, აქტიური სავაჭრო ბალანსი, მკაცრი საფინანსო დისციპლინა, რეფორმისათვის ხელის შეწყობა მუშათა მასების და მთელი პარტიის მიერ.

უნდა გახსოვდეთ, რომ რეფორმა არის ეკონომიურ განვითარების მთავარი პირობა და არ დაერიდოთ ისეთი ხარჯების შემცირებას, რომელიც მოუტანს დროებით ზარალს სახელმწიფო მეურნეობის მმართველობის ამა თუ იმ დარგს. ფულის რეფორმის წარმატებით ჩატარების დროს დაჩრდილული უნდა იქნეს პროვინციული და კერძო ხასიათის ინტერესები, როგორათაც არ უნდა ეჩვენებოდესთ ისინი ერთი შეხედვით. მტკიცე ფულის სისტემაზე გადასვლა შესაძლებლად ხდის მრეწველობის პროდუქტების ღირებულების სწორ კალკულიაციას. როცა კალკულიაციაში საჭირო აღარ იქნება დაზღვევა ფულის ნიშნების დაცემისაგან, მაშინ შესაძლებელი გახდება ფასების მნიშვნელოვნად დაკლება. მრეწველობის პროდუქტების ნამდვილ თვითღირებულების გამორკვევა, გარდა იმ დიდ მნიშვნელობისა, რომელიც აქვს ფულის რეფორმის წარმატებით გატარებისათვის მოასწავებს მთელი მრეწველობის გაჯანსაღებას, ვინაიდან წარმოებათა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები იძულებული იქნებიან გააფართოვონ წარმოება და მიიღონ მოგება წარმოების ნაციონალიზაციის და ზედმეტ ხარჯების შემცირების საშუალებით, უშუალო მომხმარებელთან კავშირის დაჭერით და პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებით.

საჭიროა მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები ზედმეტ ხარჯების შესამცირებლად და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სავაჭრო შუალედები მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ხელფასის მტკიცე ვალიუტაზე (ჩერვონცებზე) გადაყვანის დროს, რეალური ხელფასი არ უნდა შემცირდეს. მაგრამ ეს არ უნდა გახდეს საბაბი მრეწველობის სხვადასხვა დარგებში ხელფასის ზრდისათვის, ვინაიდან ასეთი ზრდა, რომელიც აუტანელია დღეს სახელმწიფოსათვის. შესაძლოა გახდეს ფულის რეფორმის ჩაშლის მიზეზად.

მუშათა მასებმა უნდა შეიგნონ რეფორმის გადამწყვეტი მნიშვნელობა და ის გარემოება, რომ ხელფასის შემდეგი მომატება დამოკიდებულია რეფორმის წარმატებით გატარებაზე. რეფორმა არის პროლეტარულ სახელმწიფოს გიგანტური ეკონომიური ბრძოლა მის ეკონომიურ მტრების წინააღმდეგ და ამ რეფორმის წარმატებით დაგვირგვინებაზე დამოკიდებულია სახელმწიფოს შემდეგი განვითარება. ფულის რეფორმის პირველ ნაბიჯებს სასურველი შედეგები მოჰყვა,—შემდეგი წარმატება დამოკიდებულია მუშათა მასებზე, პარტიაზე და სახელმწიფო ორგანოების გეგმაშეწონილ მუშაობაზე“.

ჩვენი მორიგი ფრონტი

ამხ. კამენევის მოხსენება.

მოსკოვი. 3 მარტი. რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტის პლენუმის და რუსეთის კომპარტიის მოსკოვის ორგანიზაციის აქტიურ მუშაკთა გაფართოებულ თათბირზე ფულის რეფორმის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კამენევმა, რომელმაც აღნიშნა: „რეფორმის აუცილებლობა გამოწვეულია საბჭოთა ფულის ნიშნების მუდმივი დაცემით, გლეხობას არ სურს მიჰყიდოს სახელმწიფოს პური საბჭოთა ფულის ნიშნებით. ფულის რეფორმა არის პირველ ხარისხოვანი ეკონომიური ღონისძიება, რომელიც ნიშნავს რევოლიუციონურ გადატრიალებას ჩვენს ეკონომიკაში. ამის შედეგი იქნება სასარგებლო მთელი სახალხო მეურნეობისათვის და გააუმჯობესებს მუშების და გლეხების მდგომარეობას.

შინაურ ბაზარზე ჩერვონეცის სყიდვითი ძალა რამოდენიმეთ შემცირდა. ემისია მცირდება პურის დამზადების განაღდებით უცხოეთის ვალიუტაზე, რომელსაც ღებულობენ საექსპორტო ორგანიზაციები და ბიუჯეტის შემცირების ხარჯზე. თებერვალში და მარტში ბიუჯეტი დაყვანილია 147 მილიონ მანეთამდე 157—160 მილიონის მაგიერ. ეს 147 მილიონი იფარება უმთავრესად საგადასახადო შემოსავლით. ჩვენ რომ გამოგვეშვა დეფიციტის დასაფარავად ფულის დიდი რაოდენობა, მაშინ ახალ ვალიუტას ეწეოდა საბჭოთა ფულის ნიშნის ბედი.

ფასების დაწევა.

ფასების დაკლება ფართო მოხმარების საგნებზე.

მოსკოვი. 4 მარტი. მოსკოვის მანქანების სამშენებლო ტრესტმა დასწია ფასები გლეხთა ფართო მოხმარების საგნებზე: ვედროზე, კრუჟკაზე, ჩაინიკზე და სხვ.—15 პროც.-ით.

რეზინის ნაწარმოების გაიაფება.

მოსკოვი. 4 მარტი. რეზინის ტრესტმა დასწია ფასები ტექნიკურ და პნევმატიურ მასალებზე 20 პროცენტით.

გაიაფება.

მოსკოვი. 4 მარტი. „მოსკოშვეიმ“ შეამცირა სპეც-ტანისაცმელის ფასები 15 პროცენტით, გლეხის ტანსაცმელის 15 პროცენტით, იაფფასიანი მატყლის და შალის ტანისაცმელზე—20 პროცენტით, თეთრეულზე—10 პროცენტით, დანარჩენზე—25 პროცენტით.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ მორიგ

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასმული იქნეს განსახილველად რუსეთის კომპარტიის ცეკას ცირკულიარი იაჩეიკების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წარმოებათა სამეურნეო მუშაობაში ჩაბმის შესახებ.

მასალები: რუსეთის კომპარტიის ცეკას ცირკულიარი „პრავდა“-ში 24 თებერვალს, მოწინავე წერილები: „პრავდა“-ში 27 თებერვალს, „ზარია ვოსტოკა“-ში 4 მარტს.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: რუხაძე.

კომპარტიის უახლოესი ამოცანები

ამხ. იაროსლავსკის მოხსენება.

მოსკოვი. 4 მარტი. რუსეთის კომპარტიაში ახლად შესულთა მრავალრიცხოვან მიტინგზე, რომელიც გაიმართა წითელ პრესნის რაიონში, ამხ. იაროსლავსკიმ აღნიშნა, რომ დღევანდლამდი მოსკოვში შეტანილია 34.000 მეტი განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ, რომელთაგან 23.000 უკვე მიღებულია. ლენინის სიკვდილამდი მოსკოვში ჩვენ გვყავდა 45.000 პარტიული ამხანაგი. ეხლა კომკავშირელებთან ერთად ჩვენ 100 ათას წევრისაგან შემდგარი არმია გვყავს. არ არის ისეთი ძნელი ამოცანა, რომლის გადალახვაც არ შეიძლებოდეს ასეთი არმიის ძალებით. ეს შეგრძნობა საკუთარი ძალის ჩვენ გვაკისრებს უდიდეს პასუხისმგებლობას.

ჩვენს წინაშე ორი ამოცანაა: სწავლა და პრაქტიკული გადაწყვეტა ყოველდღიურ საკითხების. სადღეისო პრაქტიკული საკითხებია — შრომის ხელფასი, საქონლის და პროდუქტების ფასები და ფულის რეფორმა. ყველა ამ საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა უნდა მიიღოს პარტიის თვითეულმა წევრმა. უახლოესი ამოცანაა—გვყავდეს პარტიაში 1 მილიონი დაზგის მუშა. გაძლიერებული უნდა იქნეს ახალგაზრდათა კომკავშირის მუშაობა, საჭიროა ახალგაზრდობის აღზრდა. დღის წესრიგში დასმულია: ბრძოლა ბავშვთა უპატრონობის წინააღმდეგ, განთავისუფლება მუშა ქალის, რომელიც დაიშონა სახლის სამუშაოში. თუ—ათავებს ამხ. იაროსლავსკი—უახლოეს თვეებში ჩვენ შევასრულებთ დასახულ ამოცანების მხოლოდ 20 პროც., ესეც დიდი წარმატება იქნება.

პარტიაში მოდიან

სერგო ორჯონიკიძის სახელობის მექანიკურ საარტილერიო ქარხანის (არსენალი) კომუჯრედის პასუხისმგებელი მდივანი აცხადებს, რომ ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებმა სურვილი განაცხადეს კომპარტიაში შესვლის შესახებ.

თუ ვისმეს აქვს რაიმე მამხილებელი ამ ამხანაგების წინააღმდეგ შემოიტანოს სამი დღის განმავლობაში ზემოხსენებულ კომუჯრედში. 1) ზოლკინი მიხაილ, 2) ბალდასაროვი მიხაილ, 3) კლიმენკო, 4) ზვანარიოვი, 5) ჩაგილჩუკო, 6) გელიაზაროვი, 7) იაკობიძე, 8) ალექსეევი ივანე, 9) ჩაკლაკიძე ივანე, 10) გერმისაშვილი, 11) ბუგაძე, 12) კიკნაძე სევერიანი, 13) ზამკოვი ვასილი, 14) კახაროვი მელიქი, 15) სტეპანოვი სუმბატ. 16) ნაიდიონოვი ალექსი, 17) ალდგომელაშვილი ილია, 18) შინჯიკაშვილი გიორგი, 19) ოგანესიანი გარეგინ, 20) ცეებ ალბერტი, 21) კრიკ გოტლიბ, 22) ხმალაძე ვასილი, 23) ნოჟენკო კონსტანტინე, 24) გაგნიძე ალექსანდრე, 25) არუტინოვი ვაგან, 26) ბეკურაშვილი დათიკო, 27) ჩოდრიშვილი დავითი, 28) ლუგანსკი, 39) ბაბაკაშვილი ივანე, 30) იოსელიანი ვარლამ, 31) ივანოვი ნიკიტ, 32) დავიდოვი სერგეი, 33) კოდალაევ შალვა, 34) ფერაშვილი ივანე, 35) შალიტაევ ალექსანდრე. 36) კვრიერი გაბრიელი, ყველა ეს ამხანაგები ზემოხსენებულ ქარხანაში მუშაობენ.

კომუჯრედის პასუხისმგებელი მდივანი **გრ. ტოგონიძე.**

ამხ. პეტრე გაბილოძე

ოთხშაბათს, 24—27 თებერვალს, ლიხაურში (გურიაში) ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ტფილისის 24 შრომის სკოლის მასწავლებელი ამხ. პეტრე გაბილიძე.

ამხ. პეტრე იყო ჩუმი და წყნარი მუშაკი, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე, რომელსაც ბევრი კარგი და სასარგებლო საქმის გაკეთება შეეძლო. ის პირნათლად ასრულებდა თავის პირდაპირ დანიშნულებას პედაგოგიურ ასპარეზზე. მაგრამ ის არ იყო პოლიტიკის გარეშე მდგომი. მას ძალიან აინტერესებდა მშრომელი ხალხის ბედი.

ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტი, ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ლიკვიდაციაში, იყო მე 3 რაიონის საინიციატივო ბიუროს თავმჯდომარე, ტფილისის ბიუროს წევრი და საქართველოს ყრილობის დელეგატი. ის არ იყო პასიური წევრი ამ ორგანიზაციებისა. როდესაც დარწმუნდა მენშევიკური პარტიის პოზიციის სიყალბეში, ის გაბედულად შესდგა კომინტერნის პლატფორმაზე და დაიწყო აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით. ყველგან და ყველაფერში ის იჩენდა საქმისადმი დიდ ინტერესს და ამიტომ ჰქონდა დამსახურებული ამხანაგებში საერთო პატივისცემა. მაგრამ არ დასცალდა ახალი კომუნისტური გზით სვლა და ულმობელმა სიკვდილმა უდროოთ წაგვართვა ის. რით უნდა ვანუგეშოთ მისი გულდათუთქული მშობლები და მეგობრები? მხოლოდ მით, რომ პეტრეს ხსოვნა დაუვიწყარი იქნება მის ამხანაგების გულში. მშვიდობით ამხანაგო! ულმობელმა სიკვდილმა არ მოგცა საშუალება, რომ გემსახურა მშრომელი ხალხისთვის და იმ პატარა ბავშვებისათვის, რომლებიც შენ ისე გიყვარდა. ამხანაგები არასოდეს არ დაივიწყებენ შენს ხსოვნას. მშვიდობით.

ბ. შ—ძე.

ეკონომიური ცხოვრება

მაღაზიის კურსი ტფილისში.

(5 მარტი)

ჩერვონცები	— 5.000	მილ.
ფუნ. სტერლინგ. ეფექტ.	4.575	„
„ ჩეკები	— 4.400	„
დოლარი ეფექ.	— 1080	„
„ ჩეკები	— 1010	„
ოსმ. ქაღ. ლირა	— 658	„
იტალიური ლირა	— 45,5	„
ფრანგული ფრანკი	— 44	„
საბჭ. ფულის ნიშნები	— 14,5	„

ბიულეტენი

ა. კ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი საგანგებო კომისიისა.

(5 მარტი)

1 ოქროს მანეთი 500.000 ათ.

მოსკოვის ფასები.

(4 მარტი)

პური 1 ხარ.—45000 ათასი, პური 2 ხარ.—36,000 ათასი, ძროხის ხორცი—140,000 ათასი, ღორის ხორცი 135000 ათ. შაქარი რაფინადი 190.000 ათ., ფხვნილი შაქარი—188,500 ათ., კარტოფილი—9,500

ტფილისის ბაზრის ფასები.

(4 მარტი)

პური 1 ხ.—60000 ათ., პური 2 ხარ.—40000, ძროხის ხორცი 200.000 ათ. ღორის ხორცი 200.000 ათ., შაქარი რაფინ. 200.000 ათ., შაქარი ფხვნილი 145,000 ათ., კარტოფილი 15—20 ათ.

ბირჟის მოწოდება.

მავთული (ძველი), კონიაკი, ოდესის ქარხნების სასწორები და მეტრიული გირები, „ცენტროსოიუზ“-ის ჩაი; ცეილონის და ჩინეთის ჩაი, ყავა „მოკკო“, განჯის შაბი, იტალიური გოგირდი ფხვნილი, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, „ურალმეტ“-ის პროდუქცია, შვეიცარული ყველი, კაუსტიური სოდა, რუს. მანუფაქტურა, კვებრახის ექსტრაქტი, ხორბალი და პურეული, ტყავის ღვედები, ქიმიური ნაწარმოები, საშენებელი ლურსმნები, ფანჯრის მინა, ასანთი რუსული, სახ. მეურნ. საბჭ. საპნის და საფეიქრო ტრესტის ნაწარმოები (საპონი 1 ხარ. და ტუალეტის, ნართავი, ოლიფა ზეთი და სხვ.), ცემენტი და ეტერნიტი, ერევნის მატყლი (გარეცხილი), ქინაქინა, გიგროსკოპიული ბამბა, ფანქრები, გაზეთის ქაღალდი, ტომრები, ზაბიამანი, ძირტკბილა, ადგილობრივი ხორბალი, განჯის წითელი ღვინო.

ბირჟის მოთხოვნილება.

რუს. მანუფაქტურა, ზაბიამანი, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, ქვა-მარილი ნახიჩევანის, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, ყუბანის ფქვილი 1 ხარ. და საკანდიტერო, ასანთი რუს., გოგირდი, ნედლი ტყავეულობა, პორტლანდის ცემენტი, თუჯის და რკინის ნატეხი.

ოფიციალური გარიგებანი.

თხილი. ანკლიის—5 მ. 25 კ. ფუთი, ფრანკო—გამყიდველის საწყობი ლენინგრადში.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრების განწყობილება უცვლელია.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა.

წარსული წლის მარტში ა. კ. ეკონომიურმა თათბირმა სასურველად სცნო სახელმწიფო საპაიო ამხანაგობების დაარსება ცალკე რესპუბლიკებში. ამის შემდეგ საქართველოს უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ გადასწყვიტა საქ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის მოწყობა, რათა საფუძველი შექმნოდა ცალკე კომისარიატების და სახელმწიფო ორგანიზაციების ვაჭრობის გაერთიანებას.

ახლად დაარსებულ სავაჭრო ორგანიზაციის მიზნები შემდეგია: სახელმწიფო ვაჭრობის თანდათანობითი განვითარება კერძო ვაჭრობის შემცირებით, ხელის შეწყობა სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის მისი ნაწარმოების ხელსაყრელ პირობებში გასაღებით, მცხოვრებთათვის პირველ საჭიროების საგნების მიწოდება ხელსაყრელ ფასებში მრავალრიცხოვან ხმარებელს შორის უშუალო კავშირის დაჭერით.

აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად, ის საშუალებანი, რაც ეძლევა საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის ამხანაგობას, მეტად მცირეა, მაგრამ ფართო კრედიტის შესაძლებლობა, ზოგიერთი განსაკუთრებული ხასიათის უფლებების მიღება, თუ ამას მოითხოვს მომავალი საქმის მსვლელობა, და აგრეთვე ის მოსაზრება, რომ ამხანაგობა შესძლებს თავის ირგვლივ განკერძოებული ხასიათის სავაჭრო ამხანაგობების შექმნას, რომლებშიც მეტი ნაწილი თანხისა სახელმწიფოსი იქნება, საშუალებას აძლევენ გამგეობას წარმატებით აწარმოოს მუშაობა. ორგანიზაციული სახით ამხანაგობა შესდგება ცენტრალურ აპარატისაგან ტფილისში და თუ საჭიროება მოითხოვს—რწმუნებულთა შტატისაგან ტფილისის გარეშე.

სავაჭრო აპარატები, უმთავრესად ძირითადი თანხების სიმცირის გამო, გაიხსნება თანდათანობით. პირველყოვლისა განზრახულია ცხრა სასათუმო-საწვრილმანო მაღაზიის გახსნა ტფილისში.

განზრახულია განყოფილებების მოწყობა მოსკოვში, როსტოვში, ოდესაში, ბაქოში და ერევანში. განყოფილებებთან გაიხსნება საწყობები და მაღაზიები, რომელნიც გაანაღდებენ ამხანაგობის მიერ დამზადებულ საქონელს და აწარმოებენ დამზადებას ჩვენი ბაზრისთვის.

ფაქტიურად სავაჭრო ამხანაგობა მუშაობას დაიწყებს მარტის პირველ რიცხვებში.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(5 მარტი)

ჩერვ.	ბონით.	ჩერვ.	ბონით.
1 ჭ.—	5.000.000	56 ჭ.—	280.000.000
2 ჭ.—	10.000.000	57 ჭ.—	285.000.000
3 ჭ.—	15.000.000	58 ჭ.—	290.000.000
4 ჭ.—	20.000.000	59 ჭ.—	295.000.000
5 ჭ.—	25 000.000	60 ჭ.—	300.000.000
6 ჭ.—	30.000.000	61 ჭ.—	305.000.000
7 ჭ.—	35.000.000	62 ჭ.—	310.000.000
8 ჭ.—	40.000.000	63 ჭ.—	315.000.000
9 ჭ.—	45.000.000	64 ჭ.—	320.000.000
10 ჭ.—	50.000.000	65 ჭ.—	325.000.000
11 ჭ.—	55.000.000	66 ჭ.—	330.000.000
12 ჭ.—	60.000.000	67 ჭ.—	335.000.000
13 ჭ.—	65.000.000	68 ჭ.—	340.000.000
14 ჭ.—	70.000.000	69 ჭ.—	345.000.000
15 ჭ.—	75.000.000	70 ჭ.—	350.000.000
16 ჭ.—	80.000.000	71 ჭ.—	355.000.000
17 ჭ.—	85.000.000	72 ჭ.—	360.000.000
18 ჭ.—	90.000.000	73 ჭ.—	365.000.000
19 ჭ.—	95.000.000	74 ჭ.—	370.000.000
20 ჭ.—	100.000.000	75 ჭ.—	375.000.000
21 ჭ.—	105.000.000	76 ჭ.—	380.000.000
22 ჭ.—	110.000.000	77 ჭ.—	385.000.000
23 ჭ.—	115.000.000	78 ჭ.—	390.000.000
24 ჭ.—	120.000.000	79 ჭ.—	395.000.000
25 ჭ.—	125.000.000	80 ჭ.—	400.000.000
26 ჭ.—	130.000.000	81 ჭ.—	405.000.000
27 ჭ.—	135.000.000	82 ჭ.—	410.000.000
28 ჭ.—	140.000.000	83 ჭ.—	415.000.000
29 ჭ.—	145.000.000	84 ჭ.—	420.000.000
30 ჭ.—	150.000.000	85 ჭ.—	425.000.000
31 ჭ.—	155.000.000	86 ჭ.—	430.000.000
32 ჭ.—	160.000.000	87 ჭ.—	435.000.000
33 ჭ.—	165.000.000	88 ჭ.—	440.000.000
34 ჭ.—	170.000.000	89 ჭ.—	445.000.000
35 ჭ.—	175.000.000	90 ჭ.—	450.000.000
36 ჭ.—	180.000.000	91 ჭ.—	455.000.000
37 ჭ.—	185.000.000	92 ჭ.—	460.000.000
38 ჭ.—	190.000.000	93 ჭ.—	465.000.000
39 ჭ.—	195.000.000	94 ჭ.—	470.000.000
40 ჭ.—	200.000.000	95 ჭ.—	475.000.000
41 ჭ.—	205 000.000	96 ჭ.—	480.000.000
42 ჭ.—	210.000.000	97 ჭ.—	485 000.000
43 ჭ.—	215.000.000	98 ჭ.—	490.000.000
44 ჭ.—	220.000.000	99 ჭ.—	495.000.000
45 ჭ.—	225 000.000	1 მ.—	500.000.000
46 ჭ.—	230.000.000	2 მ.—	1.000.000.000
47 ჭ.—	235.000.000	3 მ.—	1.500.000.000
48 ჭ.—	240.000.000	4 მ.—	2.000.000.000
49 ჭ.—	245.000.000	5 მ.—	2.500.000.000
50 ჭ.—	250.000.000	6 მ.—	3.000.000.000
51 ჭ.—	255.000.000	7 მ.—	3.500.000.000
52 ჭ.—	260.000.000	8 მ.—	4.000.000.000
53 ჭ.—	265.000.000	9 მ.—	4.500.000.000
54 ჭ.—	270.000.000	1 ჩერვ.	5.000.000.000
55 ჭ.—	275.000.000		

პროფკავშირებში

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საქალაქო კრება

კვირას, ორ მარტს 1-ლ საათზე გ. ს. კლუბში შესდგა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საქალაქო კრება ამხ. ნიკო კიკნაძის თავმჯდომარეობით.

დღის წესრიგში იყო: 1) მოხსენება სრულიად საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კონფერენციის შესახებ, 2) ბ. სიტ. მუშაკთა ადგილკომის ამოცანები და დანიშნულებანი, 3) ადგილკომის, კულტკომისიის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. კუზმინა, რომელიც მოკლედ აცნობს კრებას კონფერენციის მუშაობას საკავშირო ცხოვრების ყოველ დარგში. მეორე საკითხზე მომხსენებლად გამოდის ამხ. ავენირი, რომელიც განმარტავს გან. მუშ. კავ. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციისთვის ცალკე ადგილკომის შექმნის საჭიროებას. ცალკე ადგილკომის დაარსების პირველი მიზეზი არის ის გარემოება, რომ ხშირად გან. კავ. მუშაკთა ის ადგილკომები, რომელშიაც ბეჭდვითი სიტყვის მუშაკნიც შედიოდნენ, ვერ იცლიდენ ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საკითხების განსახილველად. ამიტომ უფრო მიზანშესაფერისად იქნა ცნობილი სექციისათვის ცალკე ადგილკომის მოწყობა. შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს რა მოკლედ ადგილკომის დანიშნულებას და ამოცანებს, ამბობს, რომ ჩვენს ადგილკომს წარსულში არა აქვს გამოცდილება და ამიტომ ადგილკომში საჭიროა ისეთი ამხანაგების არჩევა, რომელნიც კარგათ იცნობენ ახლობელი წარსულის პროფმოძრაობას და მუშაობას.

შემდეგ მოხსენებელი ეხება კულტკომისიის შექმნის აუცილებლობას ბეჭდვითი სექციის მუშაკთა კლუბში. კულტკომისიის მუშაობის მთავარი ამოცანაა, უხელმძღვანელოს, როგორც საგანმანათლებლო პროფესიონალურ მუშაობას როგორც სექციის წევრთა შორის, ისე მუშკორებსა და სოფლელ კორესპონდენტებს შორის.

ამხ. ავენირის მოხსენების შესახებ გაიმართა კამათი. ოპონენტები მიუთითებდენ ცენტრალურ ბიუროს მიერ დაშვებულ შეცდომებს და შემჩნეულ ნაკლს, როგორიც არის განსხვავება თანამშრომლებთა ხელფასის, შრომის დაცვის კანონების დარღვევა, უბირჟოთ დაქირავება და სხვა. მოხსენებელი ოპონენტებს სათანადო პასუხს აძლევს.

კრება გადადის ადგილკომის და სხვა ორგანიზაციების არჩევნებზე.

ერთი სია წარმოდგენილია ფრაქციის ბიუროსაგან და მეორე — ამხ. სოლომეიჩიკისაგან; მეორე სიაში თითქმის ყველამ კანდიდატობაზე უარი განაცხადა. დარჩა ერთი სია, რომელიც მცირე ცვლილებით კრებამ მიიღო.

ადგილკომში ერთხმად არჩეულნი არიან ამხ. მილენი, პ. კარახელოვი, ნ. კუზმინა, მალაზნია და რომანოვი.

კანდიდატებად: ამხ. მარჯანიანი, წულაძე, მანუკიანი.

სარევიზიო კომისიაში: ამხ. სტორი, ცინცაძე.

კულტურულ კომისიაში:—ამხ. კუზმინა, გ. მალაზნია და მიკირტჩიანი.

კრება ნაშუადღევის 3 საათზე შეწყდა.

მენშევიკების განცხადება

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი განცხადება.

რუსეთის გასაბჭოების შემდეგ ექვსი წლის განმავლობაში ჩვენ დიდის ყურადღებით თვალყურს ვადევნებდით როგორც საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მუშაობას, ისე სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოქმედება-მოღვაწეობას. ამ დაკვირვებით ჩვენ შეგვექნა მეტად უარყოფითი შეხედულება სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე და ის გზა, რომელიც აირჩია ყოფილ მენშევიკების კონფერენციამ, გამოდგა სწორი და მიზანშეწონილი. ერთად-ერთი ძალა, რომელიც გაუმკლავდა რუსეთის პირწავარდნილ რეაქციას, არის კომუნისტური პარტია, მისი რკინისებური დისციპლინით და სწორი ტაქტიკით. „დემოკრატიულმა“ გზამ, რომელსაც ჩვენ საქართველოს გასაბჭოებამდე ვადექით, მიიყვანა სოციალ-დემოკრატიული პარტია მუშათა კლასის ღალატამდე. რათა უკვე დამარცხებულმა რეაქციამ კიდევ არ წამოყოს თავი რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ, საჭიროთ მიგვაჩნია მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც შესძლო რეაქციის დამარცხება, ამასთან პარალელურად აწარმოვა დიდი აღმშენებლობითი მუშაობა საქართველოში. მაგალითად: რკინის გზების გაყვანა, სკოლების გაფართოება, სახალხო სახლების აშენება და სხვა. მენშევიკების პოლიტიკა რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის შესახებ მიიყვანდა საქართველოს მშრომელ ხალხს მთლად გადაშენებამდე მუდმივი ომების წყალობით. ეს მდგომარეობა თავიდან ააშორა ქართველ მშრომელს კომუნისტური პარტიის პოლიტიკამ, რომელიც აგებულია ერთა თანამშრომლობის პრინციპებზე. ამიტომ უარვყოფთ რა მენშევიკური პარტიის პოლიტიკას, ვსდგებით მესამე ინტერნაციონალის პლატფორმაზე, ვერთდებით საბჭოთა მთავრობას და ფიცსა ვდებთ, რომ ჭირში და ლხინში ჩვენ თქვენთან ვიქნებით.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს, გაუმარჯოს მუშათა დიქტატურას.

1. ლუკა ჩაველიშვილი. პარტიის წევრი 1904 წლიდან, 2. გიგო ბაგრატისძე ლომთათიძე სტაჟი 1907 წ., 3. სერგო ლევარსის ძე შაფაქიძე პარტიული სტაჟი 1903 წ., 4. კაპიტონ ლევანის ძე ვაშალომიძე 1902 წ. და 5. ასლან ივლიანეს ძე კონტრიძე 1907 წ.

— —

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ გაზეთში ამ ჩემს სრულიად გულწრფელ განცხადებას.

მენშევიკურ პარტიაში ვითვლებოდი 1899 წლიდან, მაგრამ ცოტა წლები არ გასულა, სანამ მე საკმაოთ გავიგებდი პარტიის პროგრამას და მის ტაქტიკას. მაგრამ სამწუხაროა, რომ თურმე არც დღემდი მქონია გაგებული ეს. მე მეგონა და მწამდა, რომ მართლა მუშათა და გლეხთა პარტია იყო მხოლოდ სოციალ-დემოკრატია. რამდენადაც ძნელი იყო ჩემთვის, როგორც უსწავლელი კაცისათვის, შეთვისება პროგრამის, ისე ძნელი შეიქნა მისი სხვა პროგრამებთან შედარება და აწონ-დაწონვა. მაგრამ მე, როგორც მუშა, თურმე ვერ გავექცეოდი მუშის ინსტინქტს და სინამდვილემაც თავისი ჰქნა. მუშაობის პროცესში მე მივედი იმ შეგნებამდე, რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ აშკარათ უღალატა მუშისა და გლეხის ინტერესებს, გადიჩეხა ისეთ წუმპეში, საიდანაც ამოსვლა შეუძლებელია. ფრაქციულ ცინიანობაში მივიდნენ იმ ზომამდე, რომ დაუმეგობრდნენ ყოველგვარ „ეშმაკსა და მის ბებიას“ ბურჟუაზიას და ყოველგვარ რეაქციონურ ელემენტებს. კომუნისტების დასამარცხებლად კი არ ერიდებოდნენ ჩოლოყაშვილის რაზმის ხელმძღვანელობას, ამ ბანდიტებთან კავშირს; გარეშე ამისა. ბურჟუაზიული სახელმწიფოებს ინტერვენციის ძალით ლამობენ, სოციალისტურ ხელისუფლების დამხობას. მაგრამ რა გვითხრა უკანასკნელმა ამბებმა? საერთაშორისო ფარგლებში გაკოტრდა მენშევიკური ტაქტიკა. გადავხედოთ, თუ რა მისცა გერმანიის სოც.-დემოკრატიულმა ტაქტიკამ! ის მიიყვანა დაღუპვის კარამდე. ვინ იხსნის მას ამ უბედურებიდან? კიდევ მუშა და მისი ინტერესების ნამდვილი დამცველი კომუნისტური პარტია. მეტია ლაპარაკიც საქართველოს სინამდვილეზე. რა აკეთეს მენშევიკებმა 3 წლის თავის ბატონობის დროს? წითელი დროშა სამფეროვნათ შესცვალეს. რაც საზღვარგარეთ გაიხიზნენ, მერმე რა აკეთეს?! ატყუილეს ფუჭი იმედებით ჩემისთანები და სხვაც ბევრი. მაგრამ ტყუილ ლათაიებით მუშის მოტყუილება ერთობ ძნელი ყოფილა. ეხლა თუმცა გვიან, მაგრამ როდესაც შევადარე მენშევიკებისა და ბოლშევიკების საქმიანობა, აშკარად დავინახე, თუ სად არის სიმართლე და სამართალი. მეტია ლაპარაკი მენშევიკების რეაქციონერობაზედ და ბოლშევიკების რევოლიუციონერობაზედ—ეს დღეს ცხადია ყველასათვის.

მთელი ჩემის არსებით ვტოვებ ამიტომ ამ ავანტიურისტების—ბანდიტების პარტიას და ვსდგები მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას.

გაუმარჯოს კომინტერნს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს ჩვენი ამხანაგ მუშების გათვითცნობიერებას, რომლებსაც მაგალითი მისცა სეით დევდარიანმა, ფარნიევმა და სხვ.

ძირს მეორე, ყვითელი ინტერნაციონალი.

სიმონ სიმონისძე ბახტაძე.

— —

ამით ვაცხადებ, რომ 1905 წლიდან ვმუშაობდი სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკთა) პარტიაში. რა, ვსცანი რომ ხსენებული პარტიის მოქმედება ეწინააღმდეგება მუშათა და გლეხთა ინტერესებს, ვგმობ მას და პატიოსან სიტყვას ვიძლევ, რომ ამიერიდან ვიქნები საბჭოთა ხელისუფლების ერთგული მუშაკი.

სოფ. ყილქვეულის მცხოვრები **გიორგი ზაქარიას ძე წეველიძე.**

— —

მე ვმუშაობდი სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში 1919 წლიდან. ვმუშაობდი არალეგალურად 1921 წლიდან დღემდის.

სეით დევდარიანის წერილების შემდეგ დავრწმუნდი, რომ მე ვიყავი შემცდარ გზაზედ. დღეიდან ვწყვეტ კავშირს სოციალ-დემოკრატიასთან, ვგმობ მას და პატიოსან სიტყვასა ვდებ, რომ ამიერიდან ვიქნები საბჭოთა წესწყობილების ერთგული მუშაკი. **რაჟდენ ვას. შატბერაშვილი.**

— —

მე ვმუშაობდი ს.-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში 1918 წლიდან და არალეგალურად 1921 წლიდან დღემდის. სეით დევდარიანის წერილებმა დამანახვა, რომ მე შემცდარი ვიყავი. ამიტომ ვწყვეტ კავშირს სოციალ-დემოკრატიასთან და მზად ვარ ვიმუშაო მუშურ-გლეხურ წესწყობილების განსამტკიცებლად.

გლეხი ოსებ დავითის ძე კობაიძე

— —

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ ეს პატარა წერილი თქვენს გაზეთში.

რადგან ზოგი ამხანაგები ჯერ კიდევ არ არიან დარწმუნებული იმაში, რომ მე უკვე გასაბჭოების შემდეგ აღარ ვმუშაობ მენშევიკურ პარტიაში, ამიტომ ვაცხადებ შემდეგს:

დარწმუნებული იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება მართლა არის ნამდვილი ინტერესების დამცველი მუშათა კლასისა, სრულიად შეგნებულად ვტოვებ მენშევიკურ რიგებს და ვემხრობი საბჭოთა ხელისუფლებას.

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მუშათა ფაკულტეტის მსმენელი **ალექსი ქიქიფთარი.**

წითელ ჯარში

ქართული ჯარის უპარტიოთა წარმომადგენლების ყრილობა

დღეს გაიხსნება ქართული დივიზიის უპარტიო წარმომადგენლების ყრილობა, რომელზეც მოწვეულნი არიან არა მარტო ტფილისის გარნიზონიდან, არამედ ბათომიდან და ქუთაისიდან. შეიარაღებული ჯარის ნაწილების უპარტიოთა ყრილობა პირველია წითელი ჯარის ცხოვრებაში, მეტადრე ქართული დივიზიის ცხოვრებაში. ხსენებული ყრილობის მოწვევა ნიშნავს უპარტიო მასების მჭიდროთ დაკავშირებას საბჭოთა ხელისუფლებასთან და საბჭოთა სისტემის პოპულარიზაციას მათ შორის. დივიზიის უპარტიო ყრილობის მოწვევა ხდება იმ დროს, როდესაც გვიხდება გაწვრთნილების თავიანთ ოჯახებში გაშვება და გაუწვრთნელების მოწვევა.

აგერ წელიწადია რაც დღეს სახლში გასაშვები წითელ არმიელები ჩვენს ყაზარმებშია. ამ ხნის განმავლობაში გაკეთდა ის, რისიც გაკეთება იშვიათათ შეეძლო ყაზარმებს. ამ ხნის განმავლობაში მოხდა სრული ლიკვიდაცია წერა-კითხვის უცოდინრობის. წითელ არმიელებმა გაიარეს სამწყობრო მუშაობა, და პოლიტიკური ანბანი ამის შემდეგ ეჭვი არაა, რომ წითელ ყაზარმების სიყვარული ერთი ორად გაიზრდება და სოფლის და ქალაქის მუშები სიამოვნებით მოვლენ ჯარში.

ჯარის შექმნის პირველ პერიოდში, როდესაც ჯერ არ სჩანდა ჩვენი ენერგია და მუშაობა სამხედრო აღმშენებლობის საქმეში და სარდლობა გაცდენილი იყო კონტრ რევოლიუციონური პროპაგანდით, ყაზარმებიდან გარბოდენ და დეზერტირობდენ. დეზერტირობა მაჩვენებელია ჯარის სიჯანსაღის თუ გახრწნის. დღეს ქართულ ჯარში თუ დეზერტირობას ადგილი არ აქვს და ან თუ აქვს უმნიშვნელო პროცენტს—ეს ნიშნავს იმას, რომ ქართული ჯარი უკვე გათვითცნობიერებულია. მეორე მათ აქვთ შესაფერისი მოპყრობა და მოვლა და მესამე და უმთავრესი ის, რომ ჯარი გრძნობს, მან იცის, რომ მას იარაღი ხელში უჭირავს მისივე ინტერესების დასაცველად, რომ ის სახელმწიფოდან განშორებული როდი არის, არამედ სრულუფლებიანი მონაწილეა სახელმწიფოს ეკონომიურ და პოლიტიკურ აღმშენებლობითი საქმისა.

უპარტიო ყრილობის შემდეგ ჩვენი ჯარის და სახლი კიდევ უფრო გაიზრდება. ეს იქნება ჯარის უპარტიო მასის მჭიდროთ დაკავშირება საბჭოთა აპარატებთან.

დღის წესრიგში სხვა კითხვებთან ერთად შეტანილია ნაკაზი სახლში გასაშვებ წითელ არმიელებს—ამ კითხვის გაშუქებაზე დამოკიდებულია გაშვებულების მუშაობა სოფლად. ჩვენი ყაზარმებიდან წასულ წითელ არმიელებს შეუძლიათ სოფლის აღმასკომების და მილიციის ამოუდგნენ გვერდში და დაეხმარონ სოფელს აღმშენებლობით საქმეში. ამას მით უმეტეს მოახერხებენ ისინი, რომ ქალაქში ცხოვრობდენ, ახლოს იდგნენ ქალაქის კულტურასთან. გაშვებულნი წითელ არმიელნი სოფლის გლეხობას შეაყვარებენ წითელ ჯარს და მის სარგებლობას გლეხობის ინტერესებისათვის, რის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდება წითელ ჯარის გაძლიერება.

ეჭვი არ არის, რომ ქართულ ჯარის ცხოვრებაში და საზოგადოთ სამხედრო საქმეში სულ ახალი პერიოდი იწყება უფრო სისტემატიური ალორძინების და უპარტიო ყრილობა ამ საქმეს უფრო გაამარჯვებს და მომავალში ჩვენ მოგვცემს ტექნიკურათ, კულტურულათ და პოლიტიკურათ გაწვრთნილ ჯარს, რომელიც იქნება ურყევი ძალა პროლეტარიატის მიზნების საბოლოოთ გასამარჯვებლად.

ჟინჩაძ.

მეცნიერება და ტექნიკა

უზარმაზარი ელექტრონის გემები. შეერთებულ შტატებში მოეწყო საზოგადოება, რომლის ძირითადი კაპიტალი უდრის 30 მილიონ დოლარს. საზოგადოება მიზნათ ისახავს უზარმაზარი გემების აგებას ელექტრონის მამოძრავებლებით. ამ გემებმა უნდა წაიყვანონ 3000 მგზავრი და გადაიტანონ 780 ათასი ფუთი ტვირთი.

ტელეგრაფის ახალი აპარატი. ინჟინერებმა კომაროვმა და ციგიკალომ გამოიგონეს ტელეგრაფის ახალი აპარატი, რომლის საშუალებით შეიძლება დეპეშის გადაცემა რამდენიმე ათას ვერსზე.

დღემდი ერთი აპარატით დეპეშის გადაცემა შეიძლებოდა მხოლოდ 1000 ვერსის მანძილზე.

ცხოვრობენ თუ არა პლანეტებზე ადამიანები.

ცნობილი მეცნიერი სვანტე არენიუსი ამტკიცებს, რომ მარსზე ადამიანის არსებობა შეუძლებელია. საშუალო ტემპერატურა მარსზე ნულს ქვევითაა, ის უდრის მინუს 40 გრადუსს ცელსით. უმაღლესი ტემპერატურა იქ უდრის 8 გრადუსს ცელსით. მარსის ჰაერის გარსი ღარიბია მჟავბადით და წყლის ორთქლით, ისე, რომ ამ პლანეტაზე შეიძლება იყოს მხოლოდ უდაბნოს მშრალი ჰავა. დღისა და ღამის თბიერებას შორის მარსზე ისეთი დიდი განსხვავებაა, რომ მარტო ამის გამო შეუძლებელია იქ ორგანიულ არსებათა არსებობა. რაც შეეხება ცნობილ არხებს მარსზე, რომლებსაც დღემდი მრავალი მეცნიერები ხელოვნურ არხებათ თვლიან, ყველაზე შესაძლებელია, რომ ესენი არიან ბუნებრივი უზარმაზარი ორმოები, ისეთები, როგორიც მრავალია შვეციაში და აღმოსავლეთ აფრიკაში.

იუპიტერზე, სატურნზე, ურანზე და ნეპტუნზე შეუძლებელია ადამიანთა არსებობა, რადგან ისინი ისეთივე გავარვარებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორც მზე.

არც მერკურიზე შეიძლება ცოცხალი ორგანიზმების არსებობა, რადგან მზისკენ მიქცეულია მხოლოდ მისი ერთი მხარე. ეს მხარე განათებულია და მას საშინლათ ახურებს მზე, მეორე მხარეზე კი ბნელა და საშინელი სიცივე მეფობს.

რჩება პლანეტა ვენერა. არრენიუსმა შეაგროვა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ამ პლანეტაზე შესაძლებელია ცხოვრება. უკანასკნელი გამოკვლევებით, საშუალო ტემპერატურა ამ პლანეტაზე უდრის 47 გრადუსს ცელსით. პოლიუსებზე ზომიერი თბიერებაა.

ქრონიკა

— **მეწყერი ჭიათურაში.** 27 თებერვალს ჭიათურის რკინისგზის შტოზე, ჭიათურაზე 17 ვერსის დაშორებით, ჩამოწვა მიწისა და ქვის მეწყერი. შეწყდა მატარებელთა მიმოსვლა, რომელიც აღდგენილ იქნა 5 საათის შემდეგ.

— **ქართული სამხედრო გზის მმართველობის გაუქმება.** გაუქმებულ იქნა ქართული სამხედრო გზის მმართველობა და აღნიშნული გზები გადაეცა საქართველოს გზატკეცილების მმართველობას.

— **ტელეფონის ქსელი ტფილის-კოჯორს შორის.** ფოსტა-ტელეგრაფის ტექნიკური განყოფილება ამჟამად აწარმოებს მუშაობას ტფილის-კოჯორს შორის დაწყვეტილი ტელეფონის ქსელის აღსადგენად.

— **შემნახველი კასები.** ტფილისში გაიხსნა 3 შემნახველი კასა ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეებისათვის მთავარ კანტორასთან, ლენინის და პუშკინის ქუჩებზე.

— **მანგლისის საავადმყოფო.** მანგლისის საუბნო საავადმყოფოში ტფ. ქ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება ხსნის სამშობიარო განყოფილებას 5 საწოლით. ამ მიზნით საქ. კ. პარტიის ტფილ. კომიტეტის ქალთა განყოფილებამ გადასდო 700 მან. ჩერვ.

— **ლერწმის ავეჯეულობის სახელოსნო.** ზესტაფონის საგლეხო კომიტეტმა გახსნა ლერწმის ავეჯეულობის დამამზადებელი სახელოსნო.

— **არხების შესაკეთებლად.** ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატმა გიაურის არხის დასათავლიერებლად და მტკვარის ნაპირის გასამაგრებლად გადასდო 40,000 მან. ჩერ.

— **ზემო-ავჭალის სადგურის მუშებისათვის.** ზემო-ავჭალის სადგურის საამშენებლო კომიტეტმა შუამდგომლობით მიმართა ა. კ. რკინისგზის სამმართველოს, რომ ზემო-ავჭალის მუშების მიმოსვლის გასაადვილებლად დაარსებულ იქნას სპეციალური ვაგონები დილით და სალამოთ.

— **უპატრონო ბავშვთა დამხმარე ლიგა.** ქ. აღმასკომის დადგენილებით შესდგა კომისია ტფილისში უპატრონო ბავშვთა დამხმარე ლიგის დასაარსებლად.

— **ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოებაში.** 5 მარტს, ხუთშაბათს მთავარ საავადმყოფოში შესდგება ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების მორიგი სხდომა. დღის წესრიგშია: 1) ექ. მ. მგალობლის მოხსენება: „სუბმუკოზური ფიბროიდების ოპერაციული წამლობის შესახებ“ პრ. ღამბარაშვილის გინეკოლოგიური კლინიკიდან. 2) ადმინისტრატიული საკითხები. დასაწყისი 7 ნახ. ს.

— **წყლის დასაწმენდათ.** ავჭალის წყალსადენმა წყლის დასაწმენდად მოსკოვში შეიძინა 6,000 ფ. შაბი.

— **წყალი უმუშევრებს.** დაზღვეულ უმუშევრებს უფასოდ წყალი მიეცემათ სულზე 80 ვედრო თვეში ამის ზევით კი გადაიხდიან თითო 3 ვედროზე ერთი მეოთხედ კაპიკი.

— **ყოფილი სასურსათო კომისარიატის ქარხანა.** ყოფილი სასურსათო კომისარიატის საქსოვი ქარხანა გადაეცა მიწად-მოქ. კომისარიატს.

— **ვილარეტის ლაბორატორია.** უმაღ. ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა: ვილარეტის სახელობის ლაბორატორია გადაეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტს.

— **დისპანსერი.** ამ დღეებში გაიხსნება დისპანსერი—ვენერიულ ავადმყოფთათვის—50 საწოლით, ქლექიანებისათვის 100 საწოლით.

— **სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.** შრომის კომისარიატმა დაამტკიცა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას შემადგენლობა 28 კაცის სახით სრ. საქ. რესპუბლიკის ფარგლებისათვის.

— **ქუთაისის საქსოვი ქარხანა.** საქ. ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა ქუთაისის საქსოვ ქარხნის დამქირავებელს მისცეს საჭირო თანხა ქარხნის მოწყობის დასამთავრებლად და აგრეთვე გაუხსნას საბრუნავი კრედიტი.

— **საავადმყოფოების შეკეთება.** ჯანმრთელობის კომისარიატმა 1924 წ. რესპუბლიკის საავადმყოფოების შესაკეთებლად გადასდო 35,000 მან. ჩერვონცებით.

— **სპეც-ტანისამოსი მუშა-ერთეულებს.** შრომის კომისარიატის დადგენილებით სპეც-ტანისამოსი უნდა მიეცეთ იმ მუშა-ერთეულებსაც, რომლებიც დაქირავებული იქნებიან ორ კვირაზე მეტი.

— **ჰომეოპატიური აფთიაქის დახურვა.** ჯანმრთელობის კომისარიატის დადგენილებით ტფილისში არსებული ჰომეოპატიური აფთიაქი დაიხურება ამ დღეებში.

— **ახალი შემნახველი კასა.** სახ. ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციასთან გაიხსნა შემნახველი კასის განყოფილება ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეთათვის.

— **შრომის ბირჟა.** 3 მარტს შრ. ბირჟაში გამოცხადდა 231 უმუშ., ახლად ჩაეწერა 44, მოთხოვნილება იყო—56, გაიგზავნა 39.

— **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში კორექტორების დაუდევრობით მეწშევიკების განცხადებაში შემდეგი შეცდომა გაიპარა: სწერია: „დარწმუნებული იმაში, რომ თვითმპყრობელობა ხალხის კეთილდღეობის მოსისხლე მტერია, მე სხვებთან ერთად ვცდილობდი მის დახმარებას“. უნდა იყოს: **მის დამხობას“.**

— **დაკარგული საწევრო წიგნაკი** № 173 მოცემული ქ. ფოთის სატრანსპორტო კავშირის გამგეობის მიერ. იქნას გაუქმებული.

ლავრენტი ჰაიჭაძე.

შემთხვევები

— **შ ე პ ყ რ ო ბ ა.** 29 თებერვალს, საღამოს 6 ს. 12 სამილიციო უბანში შეპყრობილი იქნა ორი საეჭვო პირი—ტკაჩენკო და მაცკევიჩი, რომლებსაც აღმოაჩნდათ მრავალი ნაქურდალი ნივთები. აღნიშნულ ბოროტმოქმედთ აღნიშნული ნივთები მოუპარავთ ბორჯომის მატარებელში.

— **ქურდობა.** 29 თებერვალს ვერის დაღმართის ქ. № 21 მოპარული იქნა ეზოში გადაფენილი სარეცხი ნინო ჯიჯავაძის, რის თაობაზეც შეიპყრეს გიორგი ზედი და გიორგი კამაროვი, რომლებსაც აღმოაჩნდათ ნაქურდული სარეცხი.

ხელოვნება

ქართული აკადემიური დრამა.

„გაზი“—გეორგ კაიზერის.

გეორგ კაიზერი გერმანულ ექსპრესიონიზმის ერთი ბურჯთაგანია. მან ყველაზე უკეთ შესძლო იმ იდეების და პრინციპების დასაბუთება, რომელიც საფუძვლათ დაედო ექსპრესიონისტულ სკოლას გერმანიაში.

ექსპრესიონიზმი აღმოცენდა გერმანიაში საერთაშორისო ომის და რევოლიუციის პერიოდში.

მთავარი იდეა და მამოძრავებელი იმპულსი ექსპრესიონიზმის არის ძიება ადამიანის.

კაპიტალიზმის უაღრესათ განვითარებამ შებორკა ადამიანი, კაპიტალის მონათ გახადა ის და ქარხნების გამურულ ოთხ კედელს შორის მოამწყვდია.

ადამიანი მანქანის ნაწილათ გადაიქცა. მანქანა შეიჭრა ადამიანის მთელს არსებაში და განდევნა იქიდან ყველაფერი ადამიანური; მანქანამ დაიპყრო ადამიანის სხეული და ფსიხიკა, მექანიზმათ აქცია ის და დაუხშო მას შემოქმედების უნარი.

ადამიანური ადამიანში დაფარა ქარხნების კვამლმა და ჭვარტლმა.

შემდეგ — უსაშინელესი სისხლის ღვრა, როდესაც ადამიანი იმავე კაპიტალის ინტერესებისათვის მხეცათ მოევლინა თავისივე მოძმეს. ზარბაზნების და ტყვიისფრქვევლების გრიალმა საბოლოოთ დაასამარა ადამიანური ღირსება და სიწმინდე.

ექსპრესიონიზმი ისწრაფვის დაუბრუნოს ადამიანს დაკარგული სახე. ამისათვის საჭიროა გამანადგურებელი იერიშების მიტანა ამ არანორმალურ მდგომარეობის შემქმნელ მიზეზების წინაამდეგ.

ექსპრესიონიზმი კაპიტალიზმის მტერია. ექსპრესიონისტული იდეების გარდაშლისათვის საუკეთესო ნიადაგია სოციალური ცხოვრების სხვადასხვა მხარეები, რომლის ფონზე იშლება ექსპრესიონისტული შემოქმედება.

კაპიტალისტურ სამყაროსთან დამოკიდებულების საკითხში ექსპრესიონისტები ვერ არიან ერთსულოვანი და მტკიცე.

ნაწილი ექსპრესიონისტებისა ვარდებიან მისტიციზმში და უბრუნდებიან რელიგიურ დასაწყისს; ისინი ქადაგებენ ქრისტიანულ სიყვარულს ყოველ სულდგმულისადმი, მეორე ნაწილი კი, ა. ლუნაჩარსკის სიტყვებით რომ ვსთქვათ, „ადვილათ ითვისებს მემარცხენეობის ავადმყოფობას“ და უკიდურეს მემარცხენე იდეებით გამოდის სამოქმედო ასპარეზზე.

მიუხედავად თავისი მკაფიოთ გამოხატულ ანტი-ბურჟუაზიულ სულისკვეთებისა, ექსპრესიონისტებმა მაინც ვერ შესძლეს კომუნიზმის პოზიციებზე დადგომა. „კომუნიზმის სიძლიერე და სიმტკიცე მათ ეჩვენებათ სიმარტივეთ, სიმპლიციზმათ, ვულგალურ რაციონალიზმათაც კი, გაუფერადებელ თეორიათ“—ამბობს ა. ლუნაჩარსკი.

ექსპრესიონიზმის გამოსავალი წერტილია ბუნების უარყოფა. ამ მხრივ ის ნატურალიზმის და მისგან გამოსულ ყველა სხვა მიმართულებების ანტიპოდია.

ექსპრესიონიზმი თანამედროვე ეპოქის შვილია. მას ახასიათებს მრავალი თავისებურება: ის ორგანიზაციულ, ჩამოყალიბებულ ფორმებს უპირისპირებს კონსტრუქციზმს და სქემატიურობას. აქ მთელი მოქმედება და შინაარსი გადაშლილია მშრალ ფორმულებში.

აქ არ არის მოცემული ჩამოსხმული ტიპები. მხატვრულათ ხორცშესხმულ საზოგადოებრივ მოვლენას უპირდაპირდება სქემა, კონსტრუქცია, ჩონჩხი.

ექსპრესიონისტებს არ უყვართ მომქმედი პირებისათვის სახელების წოდება: თეთრი ბატონი, შავი ბატონი, მილიარდერი, ჯარისკაცი, ქალი, დედა და სხვა,— აი მათი პიესების პერსონაჟები.

აქედან, ექსპრესიონისტების ენაც თავისებურია: „მოწყვეტილი, მშრალი, ამაფეთქებელი, კონსტრუქციისათვის შესაფერი“. მოქმედება იშლება გაწყვეტილ წინადადებებში და კითხვითი ნიშნებში.

ამას გარდა ექსპრესიონიზმის თავისებურებას შეადგენს კიდევ დიდი მოუხეშავობა. „ექსპრესიონიზმს სრულიადაც არ სურს იყოს დაწმენდილი... ის წააგავს რაღაც თავბრუდამხვევ სურნელებას, რაღაც დარტყმებს, რაღაც შინაგან ტკივილებს. ამაში სჩანს, ერთის მხრივ, გერმანიის კულტურის „ბარბაროსობა“, მეორეს მხრივ, ომით გამოწვეული ნერვების უაღრესი დაჭიმვა, მესამეს მხრივ, მათი კიდევ უფრო ძლიერათ დაჭიმვა, რომელიც გამოწვეულია დამარცხებით და, ბოლოს, გავლენა მთელი ევროპიული მემარცხენე ხელოვნების, რომელმაც საერთოდ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ლამაზ და დაწმენდილ სახის მაგივრათ მკვახე და თავხედი სახე მიიღო“,—ამბობს ა. ვ. ლუნაჩარსკი.

ექსპრესიონიზმის ყველა ეს თვისებები საკმაო სიძლიერით სჩანს კაიზერის პიესა „გაზ“-შიც.

ფონი იგივეა: სოციალური ურთიერთობა. გაზის ქარხანა. ბრძოლა ლუკმა პურისათვის.

ფარდის ახდისთანავე ატმოსფერა დაჭიმულია. ყოველი სიტყვა, ყოველი მოძრაობა, სახის გამომეტყველება საშინელების მომასწავებელია.

მაყურებლის ნერვებიც დაჭიმულია. ჰაერში კატასტროფის სუნი სდგას. ამ მხრივ ეპოქის სული მშვენივრათ არის გადმოცემული. სტილი დაცულია.

პიესაში ორი მთავარი იდეაა: კაპიტალიზმის ფატალური აუცილებლობა, მანქანის ძალა ადამიანზე და „დაბრუნება მიწასთან“. ქარხნის ანდამატური მიმზიდველობა, მიუხედავად იმისა, რომ იქ ერთხელ აფეთქება მოხდა, და კიდევ მრავალჯერ მოხდება, და მოწოდება სოფლისაკენ, გლეხის მყუდრო ცხოვრებისაკენ.

აქ სოფლის იდილია უპირდაპირდება ქალაქის მრეწველობას, ინდუსტრიას. იმარჯვებს ეს უკანასკნელი (ინჟინერი), რაც თავისთავათ, სოციალიზმის თვალსაზრისით, პროგრესიული მოვლენაა.

ბრძოლას კაპიტალისტურ სისტემის წინააღმდეგ ავტორი ანვითარებს „გაზი“-ს მეორე ნაწილში. „მიწასთან დაბრუნების“ იდეა ეწინააღმდეგება ექსპრესიონიზმის ბუნებას.

ამ ორი იდეის დაპირისპირებას სარჩულათ უდევს ადამიანის ძიების პრობლემა.

პიესა დასდგა რეჟისორმა კ. ანდრონიკაშვილმა. უნდა ითქვას, რომ პიესა საერთოდ დაკვირვებულათ არის დადგმული.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ექსპრესიონიზმის ერთ-ერთ მთავარ მომენტს შეადგენს სქემატიურობა, ლაკონიზმი, უსახეობა.

ეს ხაზგასმული უნდა იყოს სცენაზე ექსპრესიონისტული პიესების დადგმის დროს.

კ. ანდრონიკაშვილმა შესძლო ამ ძირითადი მოთხოვნილების შესრულება, თუმცა ბოლომდის არა.

მაგრამ ამაში დამნაშავეა არა რეჟისორი, არამედ თვით ავტორი, რომელმაც მოქმედების ცენტრი, პიესის მთელი დინამიკა პირველ მოქმედებაში გადმოიტანა.

რეჟისორს პიესა რამოდენიმეთ გადაუკეთებია: გამოტოვებულია მესამე მოქმედების ნაწილი, მაგრამ ამით პიესის მთლიანობა არ ირღვევა.

სრულიად უადგილოა რეჟისორის ფანტაზიის „გაქანება“ ბოლო მოქმედებაში, სადაც მას ჩაურთავია ცოცხალი სურათი სიმღერით; ეს ადგილი ავტორს სრულიად არ აქვს თავის პიესაში და ამას გარდა ის ისეთი ულაზათო და ისე უსიცოცხლოთ არის შესრულებული, რომ აქარწყლებს ყოველგვარ შთაბეჭდილებას.

მხატვარ ზდანევიჩის დეკორაციები ეპოქის სულით არის აქდერებული. ქარხნის და მანქანების სტილი დაცულია. საერთოდ ზდანევიჩის მანერა წერის ენათესავება ექსპრესიონიზმს: აქაც ისეთი სქემატიურობა და ხაზები, როგორც ექსპრესიონიზმში.

ლამაზია სინათლის ეფექტები.

პიესაში ორი მთავარი როლია: ინჟინერი (უშანგი ჩხეიძე) და მილიარდერის შვილი (აკ. ხორავა).

ინჟინერი კაპიტალისტური სამყაროს სქემატიური გამოხატულებაა. ის ჩონჩხია არსებულ ეკონომიურ წესწყობილების. ამიტომ მას არ აქვს ინდივიდუალური თვისებები.

სქემატიურობის და უსახეობის დაცვა აქ უაღრესათ მართებულია. უშანგი ჩხეიძის ინჟინერი წელმაგარი და გამართულია. მსახიობს სწორი ხაზი აქვს აღებული: პირველ მოქმედებაში ის არ გამოსულა სქემატიურობის ფარგლებიდან; მისი ყოველი სიტყვა აქ ფოლადივით ჩამოსხმულია, მისი ლაპარაკის ტონი დამაჯერებელი და მტკიცეა.

მოქმედების შემდეგ განვითარებაში მსახიობი ვეღარ ინარჩუნებს სავსებით თავიდანვე აღებულ ხაზს, მაგრამ ამაში დამნაშავეა არა მარტო მსახიობი, არამედ პიესის მთელი სტრუქტურაც.

პათოსით ჩაატარა მსახიობმა ფინალის სცენა მესამე მოქმედებაში.

მილიარდერის შვილი—აკ. ხორავა ცენტრალური ფიგურაა პიესაში. ესეც, რასაკვირველია, თავისებური სქემაა, მაგრამ არა ისეთი მშრალი და უსახო, როგორც ინჟინერი. მასში უეჭველათ არის ცოცხალი ორგანიზმის ნიშნები.

ამიტომ ფსიქოლოგიურათ როლის სისწორით შეთვისება ძნელია: მსახიობმა არ იცის სქემებში წაიყვანოს როლი თავიდან ბოლომდი, თუ ცოცხალი არსების სახე მისცეს მას.

ამიტომ მსახიობის ენერგიის ასეთი დანაწილება საბოლოო ანგარიშში ვერ იძლევა მთლიან შთაბეჭდილებას.

მსახიობს ჰქონდა ლამაზი შტრიხები; განსაკუთრებით ძლიერია ის პირველ მოქმედებაში. მეტი პათოსი და სიმტკიცე საჭირო მესამე მოქმედების ბოლო სცენაში.

დანარჩენ შემსრულებელთაგან აღსანიშნავია დ. მჟავია (მეტათ მოხდენილია მისი გრიმი) და გ. სარჩიმელიძე, რომელმაც ქარხნის აფეთქების გამო ჭკუაზე შეშლილ მუშის სწორი სახე მოგვცა.

შ. ბ.

ხელოვნების სასახლეში. ოთხშაბათს, 5 მარტს, ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქ. № 13) საღამოს 8 საათზე პროლეტარულ მწერალთა მორიგი მეოთხე ლიტერატურულ საღამოზე ხელმეორედ გაიმართება დისკუსია თანამედროვე ქართულ თეატრზე (გაგრძელება წარსულ დისკუსიისა). დამატებითი მოხსენებით თანამედროვე თეატრის პრობლემებზე გამოვა ამხ. შ. დუდუჩავა. დისკუსიაში მონაწილეობას მიიღებენ: რ. კალაძე, გედევანიშვილი, ს. ეული, ქიქოძე, კალანდარიშვილი. ამავე დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან: კ. მარჯანიშვილი, გ. რობაქიძე, დადიანი, კაპანელი, კოტეტიშვილი, ქიაჩელი, გამსახურდია მაყაშვილი, შიუკაშვილი, არჩილ მიქაძე და არტემ კვირიკაძე. შესვლა უფასოა.

ლიტერატურული კრებული „ლენინს“. პროლეტარულ მწერალთა კავშირი შეუდგა ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ კრებულის გამოცემას, რომელშიაც შევა ლექსები ლენინისადმი მიძღვნილი—ქართული და თარგმანებიც.

— **მანშტეინის მეორე კონცერტი.** დღეს, 5 მარტს სახ. კონსერვატორიაში გაიმართება სკრიპკაზე დამკვრელის მანშტეინის მეორე კონცერტი.

— **სომხური საოპერო დასი.** ახლო ხანში სახ. ოპერის თეატრში სომხური საოპერო დასის მიერ წარმოდგენილი იქნება სომხური ოპერები.

— **„წითელი თეატრი“.** 1 მაისს გაიხსნება პროლეტკულტის „წითელი თეატრი“. გახსნის დღეს წარმოდგენილ იქნება ვერჰარნის „რიჟრაჟი“ და „ყაჩაღები“.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა.** „ლოენგრინი“.

— **დრამა.** სომხური წარმოდგენა.

— **სახ. სახლი.** რუსული წარმოდგენა.

— **ცირკი.** მრავალფეროვანი პროგრამა.

პროვინციაში

ქ. დ უ შ ე თ ი

25 თებერვალს ქ. დუშეთის სამაზრო პარტკომის წინ ხალხი თანდათან გროვდება. აქედან მიემართებიან სამხედრო კლუბში, სადაც იმართება საზეიმო მიტინგი. სამაზრო პარტკომის სახელით მიტინგს ხსნის ამხ. შარაშენიძე, რომელიც ამცნობს დამსწრე საზოგადოებას ამ დღის მნიშვნელობას. შემდეგი სიტყვა ეძლევა ცეკას წარმომადგენელს ამხ. ნ. ცერცვაძეს (ხალხი ტაშით მიეგება მას), რომელიც აღნიშნავს მენშევიკების მოღალატურ პოლიტიკას და მათ მიერ ეროვნულ შუღლის გაღვივებას მოძმე ერებს შორის. შემდეგ იძლევა ვრცელ განმარტებას საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის შესახებ.

სიტყვა ეძლევა ამხ. კ. ორაგველიძეს, რომელიც ვრცლად ეხება საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი მუშაობას. ლაპარაკობს გლეხობის ეკონომიურ გასაჭირზე და იმაზე, თუ როგორ ცდილობს მუშურ-გლეხური მთავრობა მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შემდეგი სიტყვას ლაპარაკობს გლეხი ამხ. ბუჩაშვილი, რომელიც აღნიშნავს გლეხობის მდგომარეობას მენშევიკების დროს, თუ როგორ აწიოკებული იყვნენ მუდმივი ომიანობისაგან. სამი წელიწადია, რაც საბჭოთა მთავრობა არსებობს და არც ერთი ტყვია არ გასროლილა მოძმე ერების წინააღმდეგ. ამ სიტყვის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ეხლა მოხდება სახალხო ბაღში ლენინის ძეგლის გახსნა. პროცესია დაუშლელათ მუსიკით მიდის ბაღში. ძეგლს ხსნის ამხ. შარაშენიძე (მუსიკა ასრულებს ჰიმნს). სიტყვას ამბობს ამხ. ნ. ცერცვაძე, რომელიც ეხება ლენინის გენიალურ შემოქმედებას. შემდეგ თავმჯდომარე ზეიმს დახურულათ აცხადებს. პროცესია იშლება აღმასკომის შენობასთან.

კომკავშირელი: **მიშა ზოკერია.**

სოფ. სამთავისი, ქვემო-ჭალის თემი

კვირას, 3 თებერვალს თორმეტი კაცის მეთაურობით: გიორგი უზნაძის, ვანო მცხეთაძის, შაქრო ბერიაშვილის, გიგო მჭედლაძის, სოსო ტატიშვილის, მიხა თექთუმანიძის, სანდრო რუსიტაშვილის, ილიკო თამაზაშვილის, გიორგი მჭედლაძის და საშა წითელაურის ინიციატივით დილით ადრე სოფ. სამთავისში შეიკრიბნენ ყველა მცხოვრებნი და დროშით და ზურნით გაემგზავრენ იქვე მახლობლათ „დარიეთის“ წყაროსთან, არხის გასათხრელად, საიდანაც უნდა გამოიყვანონ სოფელ სამთავისში სასმელი წყალი. მთელი დღის განმავლობაში დიდის ხალისით მუშაობდენ. რამდენიმე გუთანი იყო გაჭიმული მთელი ერთი ვერსის მანძილზე და სჭრიდა არხს; იმათ უკან მისდევდა ბარებით და ნიჩბებით აყარებული გლეხობა და ჰყრიდა აქეთ-იქით მიწას. არხი უნდა გათხრილიყო არშინ ნახევრამდის, რაც იმ დღეს ვერ მოასწრეს. ასეთივე ერთსულოვნებით შეუდგნენ მუშაობას დანარჩენ დღეებშიაც. აგერ რამდენიმე დღეა მუშაობენ. იმედია მალეც დაასრულებენ და სამთავისელებს სულ მოკლე დროში ექნებათ გემრიელი „დორიეთის“ ცივი წყალი სასმელად, რომელსაც დაერქვა „ლენინის წყარო“. ასეთივე შეერთებულის ძალით ფიქრობენ აიშენონ სკოლა და თეატრიც. უსურვოთ იმათ გამარჯვება. აქვე აღსანიშნავია გლეხ გიორგი უზნაძის მხნე და უნარიანი მუშაობა ყველა, სოფლის სასარგებლო საქმეში.

მახლობელი.

სოფ. გულგულია (თელავის მაზრა)

სოფ. გულგულის საბჭომ წარსულ იანვარში გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „უწინარეს ყოვლისა ეშველოს სოფლის უდიდეს უბედურებას, მის ასე ვაგლახად გავრცელებულ ავადმყოფობას, ერთიანად ყველას სიხაშლეს. მას არა აქვს წყალი, არა აქვს სალი ჰაერი. სოფლის 209 კომლიდან ერთი მეხუთედი ქვრივ-ობოლი, სნეული და დავრდომილია. წარსული წლების აღწერით, სოფელში წელიწადში ჩნდება 14—15 სული, კვდება 16—17 სული. აქედან ცხადზე უცხადესია, რომ სოფელი, გამრავლების მაგიერ, ამოწყვეტის გზაზე დგას. ამისათვის სთხოვს მთავრობას,—მისცეს მას დასასახლებელი ადგილი 60—70 დესიატინა, მდებარე ქ. თელავს და სოფ. ვარდისუბნის შუა, „ჯაგნარ-წვრილიანი ტყე“.

გადასახლების ინიციატორს სურვილი აქვს აშენდეს სოფელი (სანიმუშო) სრულიად ახალი გეგმით,—„სოფელი ბაღში“. იგი დარწმუნებულია, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობა ყოველ მხრივ ხელს შეუწყობს და დაეხმარება ამ საუკეთესო საქმეში.

მარტო სოფელ გულგულის ადგილი არაა ხაშალი. ესეთივეა მთელი რიგი უწყლო და უჰაერო პატარა სოფლები: ახატელი, კოდოთო, ჯანაანი, ხორხელი, ოჟიოს. ახმეტამდე. როგორც სოფ. გულგულა აპირობს, ისე ახლო მომავალში, ამ სოფლებმაც უნდა გადაინაცვლონ საცხოვრებლად თელავ-ახმეტის შარა გზის გაყოლებით.

აქ, წმინდა ჰაერზე და სუფთა კარგ წყალზე, სოფლები, შემუშავებული გეგმით, ადამიანურ ცხოვრებას მოაწყობენ; ხოლო სოფლების ქვემოთ, ალაზნამდე, როგორც მრავალ სხვა სოფლებს, ექნებათ სახნავ-სათესი და სხვა მეურნეობა.

ქ. თელავიდან დაწყებული სიღნაღის მაზრამდე (ორიოდე ციებ-ცხელიანი სოფლის ტოლიან-კონდოლის გარდა) გამწკრივებულია სოფლები შარა-გზის ნაპირებზე, ცივ-გომბორის ჩრდილოეთის კალთებზე, ერთ მხრივ.

მეორე მხრივ, ალაზნის გაღმა, ყველა სოფელი, ორიოდე პატარა სოფლის გამონაკლისით, არიან აგრეთვე გამწკრივებულნი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე.

ამგვარად, ამ ორ მხრივ გამწკრივებულ სოფლებისათვის რკინის გზა, ფოსტა-ტელეგრაფი, ელექტროფიკაცია (რომლის მოწყობისათვის ყველგან არის მრავალი საუკეთესო პირობები) შედარებით ადვილად მოეწყობა. სწავლა-განათლებისათვის და სხვა ყოველგვარი წარმატება-განვითარებისათვის ხელის შემწყობი გარემოება—სხვა უკეთესი არ იქნება!

ათი და ოცი წლებიც რომ გავიდეს, აინც, ბოლოს, ასე უნდა მოეწყოს: ციებ-ცხელებიან—ხაშალ სოფლებმა ზემოთ უნდა გადაინაცვლონ. ამას გზა ვერ აექცევა, რადგან არც ერთი შეგნებული ადამიანი, ამ ბოტორო, ციებ-ცხელებიან, კოღოებით სავსე ადგილას არ იცხოვრებს.

და დღეს, როცა ჩვენი მთავრობა ესწრაფის ყოველივე მოეწყოს ახლად, გონივრულად, ეხლავე რომ იყოს შემდგარი მცოდნე პირებისაგან კომისია ახალი დასასახლებელი ადგილების დასანიშნავად, უკეთესი იქნება.

ეს რაც მალე იქნება გაკეთებული, მით უფრო ნაკლები შრომა დაეკარგება ჩვენ ხალხს უბრალოთ, რადგან აწინდელი ჩვენი სოფლები სრულიად მინგრეულ მონგრეულია და მასთან ქვიტკირის სახლებიც ძლიერ ცოტაა და ადვილათ, შედარებით, მოხერხდება სოფლების ახალ ადგილზე გადანაცვლება, სადაც, რასაკვირველია, ყველაფერი უკეთესად, შემუშავებული გეგმით, დალაგდება და მომავლისათვის გაითვალისწინება.

ი. კოლელიშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქ. რედაქტორო, გთხოვთ მოგვითავსოთ შემდეგი: გაზ. „ქართულ სიტყვის“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია ცნობა, თითქოს ჩვენ ვირიცხებოდეთ ჯან. სახ. კომ დრამატიულ კოლექტივში.

ამით ვაცხადებთ, რომ ჩვენ არავითარი დამოკიდებულება აღნიშნულ კოლექტივთან არასოდეს არ გვქონია და არც ამ ჟამად გვაქვს.

სახ. აკადემიური დრამის მსახიობნი **ანნა შოთაძე და ა. ჟორჟოლიანი.**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

შინაგან საქმ. სახ. კომისარიატის

ცირკულიარი № 39

1924 წლის თებერვლის 26.

მაზრა-ქალაქის აღმასკომებს, ახლი ავტონომიურ ერთეულების შინაგან საქმეთა სახალხო კომისრებს.

1921—22 და 23 წ. წ. დაბადების და გარდაცვალების სარეგისტრაციო წიგნების ფაქტიური გადასინჯვის და გამოშვებულ დაბადებათა და გარდაცვალებათა რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოთა წარსულ მუშაობის გაცნობის დროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მრავალი ნაკლი აღმოაჩინა ამ საქმიანობაში. სხვათა შორის და უმთავრესად დაბადებათა და გარდაცვალებათა რეგისტრაციაში დაგვიანებით გატარება და ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად გაუტარებლობაც. ამიტომ, წარსულ შეცდომათა გამოსასწორებლად და შემდეგში საქმის ერთხელ და სამუდამოდ მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ამით წინადადებას გაძლევთ მიიღოთ დაკვრითი წესით საჭირო ზომები 1921—22—23 წლების დაბადების და გარდაცვალების სარეგისტრაციო წიგნების გადასინჯვათ გამოტოვებულ დაბადებათა და გარდაცვალებათა შემთხვევების სათანადო წიგნებში აღრიცხვის მიზნით. ამ ზომის განსახორციელებლად საჭიროა იხელმძღვანელოთ შემდეგით:

1. მაზრა-ქალაქის და რაიონის აღმასკომებმა წინასწარ უნდა გააცნონ მოსახლეობის რაც შეიძლება ფართე წრეებს, როგორც განცხადების, ისე სასოფლო ყრილობების საშუალებით (მაზრაში), მნიშვნელობა ჩაუწერლად დარჩენილ დაბადებათა და გარდაცვალებათა რეგისტრაციისა და აუხსნან მათ ასეთის რეგისტრაციის აუცილებლობა.

2. განცხადება გამოტოვებულ დაბადების შემთხვევის რეგისტრაციაში გატარების შესახებ შეაქვთ სათანადო მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ბავშვის მშობლებს, ან ერთ მათგანს, ან იმ პირს, რომლის მზრუნველობის ქვეშ იმყოფება ბავშვი, ხოლო განცხადება გამოტოვებულ გარდაცვალების რეგისტრაციაში გატარების შესახებ—გარდაცვალებულის ახლო ნათესავებს ან, თუ ნათესავი არ აღმოჩნდა, სახლის პატრონებს, ან მახლობელ მეზობლებს.

3. განცხადებაში გამოტოვებულ დაბადების რეგისტრაციაში გატარების შესახებ უნდა აღინიშნოს წელი, თვე, რიცხვი და ადგილი დაბადებისა, მშობლების ვინაობა, პროფესია, ეროვნება და მუდმივი ბინადრობა. აღნიშნული ცნობების სინამდვილე დადასტურებულ უნდა იქნას ორი მოწმის მიერ.

4, განცხადებას, გამოტოვებულ გარდაცვალების რეგისტრაციაში გატარების შესახებ, უნდა დაერთოს მოწმობა გარდაცვალების სინამდვილის შესახებ, დადასტურებული ადგილობრივი კომუნალურ ექიმისაგან, ან ადმინისტრაციის მიერ. განცხადებაში აღნიშნულ უნდა იქმნას გარდაცვალებულის სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების წელი, პროფესია, ეროვნება, ოჯახური მდგომარეობა, მუდმივი ბინადრობა და გარდაცვალების წელი, თვე და რიცხვი.

5. დასახულ ზომის ცხოვრებაში გატარების მიზნით, ქალაქებში: ტფილისსა, ქუთაისსა, ბათომსა და ფოთსა, პირადათ ვალდებულ მოქალაქეთა გარდა (იხ. მუხლი მეორე), მოქალაქობრივ მოგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებისათვის ჩაუწერლად დარჩენილ დაბადებათა და გარდაცვალებათა შემთხვევების შესახებ ცნობების მიწოდება ევალება აგრეთვე სახლების ადმინისტრაციას (მეპატრონეთ და გამგეებს) რომელნიც ამ ცნობებს შეაგროვებენ თავთავიანთ მდგმურების სიის გადასინჯვით და მათი დაკითხვით.

6. რესპუბლიკის მილიციას ევალება მიიღოს სათანადო ზომები, რომ მცხოვრებთა არც ერთი ნაწილისათვის არ დარჩეს გაუგებარი მთავრობის ეს ღონისძიება და თუ აღმოჩნდება, რომ ესა თუ ის მოქალაქე ამჟამადაც თავს არიდებს თავისი მოვალეობის შესრულებას, დაუყონებლივ აცნობოს აშის შესახებ სათანადო მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებს შესაფერისი ოქმის შედგენით და ამ უკანასკნელის უწყებულ სასამართლოსათვის გადაცემით.

7. დაბადებათა და გარდაცვალებათა გამოტოვებული შემთხვევები უნდა ჩაიწეროს იმ წლის სარეგისტრაციო წიგნში, რომელშიც ადგილი ჰქონდა დაბადებას ან გარდაცვალებას და აღინიშნოს სათანადო ალფაბეტში.

8. გამოტოვებულ დაბადებათა და გარდაცვალებათა შემთხვევების აღსარიცხავად, სამაზრო და საქალაქო აღმასკომები ადგენენ სათანადო სიებს თითეულ წლისათვის (1921—22—23) ცალ-ცალკე. ეს სიები 15 დღის განმავლობაში დღიდან რეგისტრაციის დამთავრებისა წარედგინება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებას ცენტრალურ არქივში გადასაცემად.

9. 1921—22 და 23 წლების ჩაუწერლად დარჩენილ დაბადებათა და გარდაცვალებათა შემთხვევების რეგისტრაცია უნდა დამთავრდეს სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ ცირკულიარის ადგილობრივ მიღებისა.

10. ის პირი, რომელიც ამ ცირკულიარის მეცხრე მუხლში აღნიშნულ დროის განმავლობაში არ წარადგენს მასზე დაკისრებულ საჭირო ცნობებს სათანადო მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში, მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის მე-234 მუხლის ძალით, რომლითაც გათვალისწინებულია სასჯელი ორ თვემდე იძულებითი მუშაობა, ან ჯარიმა 100 მანეთამდე.

11. სამაზრო და საქალაქო აღმასკომებს, დასახულ ზომის ნაყოფიერად ჩატარების მიზნით, ქვემდებარე ორგანოებისადმი სათანადო ცირკულიარული განკარგულების გაცემის დროს, ნება ეძლევათ თავისი პირადი ინიციატივით შეიტანონ სხვადასხვა დამატებანი და განმარტებანი ადგილობრივი პირობების მიხედვით, ხოლო ეს დამატებანი და განმარტებანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ ცირკულიარის რომელსამე მუხლს.

12. ამ ცირკულიარით გაუქმებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის № 27 | 356 ცირკულიარი, გამოცემული 1923 წლის სექტემბრის 26-ს.

შინ. საქ. სახალხო კომისარი

ა. გ ე გ ე ჭ კ ო რ ი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი ოთხშაბათს, 5 მარტს, საღამოს 6 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში იწვევს

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის უჯრედების პასუხისმგებელ ხელმძღვანელების და ბიუროების საერთო საქალაქო კონფერენციას.

დღის წესრიგი.

1. დაზგასთან მომუშავე მუშების მიღების შესახებ პარტიაში (ამხ. ლომინაძის მოხსენება),
2. პარტიაში ახლათ მიღებულთა შორის მუშაობის წარმოების შესახებ (ამხ. კახიანის მოხსენება),
3. პრაქტიკული ღონისძიებები პარტიის ახალ ამოცანების შესახებ ტფილისის ორგანიზაციაში (ამხ. რუბენის მოხსენება).

კვირას 9 მარტს, დილის 11 საათზე საქართველოს კომპარტიის ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში მოწვეულია თათბირი კომპარტიის და საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა იმ ბერძენ წევრების და კანდიდატების, რომელნიც ტფილისში სცხოვრობენ.

საქართველოს კომპარტიის ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს 5 მარტს, საღამოს 7 საათზე, რაიონის ყველა კლუბებში გამართული იქნება საღამოები, რომელიც მიძღვნილი იქნება კომინტერნის 5 წლის თავისათვის. კლუბებში მოხსენებების გასაკეთებლათ მობილიზაციის წესით მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები:

1. ავლაბრის მუშათა კლუბი—კოსტანიანი, 2. ტყავის ტრესტის კლუბი—რასულზადე, 3. ქალაქის საავადმყოფოს კლუბი—ს. ვართანიანი, 4. ნავთლუღის კლუბი (სამხედრო გოსპიტალის შენობაში) მამულაიშვილი, 5. ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბი—ხუსეინოვი 6. მუსლიმან ქალთა კლუბი—ალი-ტაგი-ზადე.

აღნიშნული ამხანაგები უნდა გამოცხადდენ სათანადო კლუბში საღამოს სრულ 7 საათზე.

მოწვეულნი არიან მე-3 რაიონის წარმოებების ყველა მუშები და სამხედრო ნაწილების წითელარმიელები.

მდივნის მაგიერ ფ ი რ ა ლ ო ვ ი.

ცენტრალურ პარტიულ კლუბთან ეწყობა **ლენინიზმის შესწავლის** წრე ამხ. ნოვიკოვის ხელმძღვანელობით.

ჩაწერა სწარმოებს პარტკლუბის მდივან ამხ. **იზმაილოვთან** საღამოს 6 საათიდან.

კლუბის გამგეობა.

ხუთშაბათს, 6 მარტს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ პარტკლუბში მოწვეულია ლიტერატურულ-სამხატვრო სექციის თათბირი.

სექციის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

მოწვეულნი არიან აგრეთვე ის ამხანაგები, რომელთაც აინტერესებთ ლიტერატურულ-მხატვრული მუშაობა.

პ ა რ ტ კ ლ უ ბ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ყველა ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ოთხშაბათს 5 მარტს რაიკომში დილის სრულ 10 საათზე.

გამოცხადება სავალდებულოა პარტიული დისციპლინის ძალით. 1. მიხეილ ა. ასლიბეკოვი, 2. მიხეილ უ. ასათიანი. 3. იოსებ ე. ალანია, 4. თავით ი. ბლაგიძე, 5. შალვა ბენიაშვილი, 6. ს. კ. ბახტაძე, 7. არსენ გ. ბაზალაშვილი, 8. დიმიტრი კ. გურგენიძე, 9. შალვა გრეკოვი, 10. ვლადიმერ ს. გვინცაძე, 11. შალვა ტ. გაჩეჩილაძე, 12. გ. ზ. ბუგდიაშვილი, 13. ფეიზი ი. ვალიევი, 14. აპოლონ გ. რაზმაძე, 15. ქრისტეფორე ა. სეროფიანი, 16. ნაპოლეონ ს. ტერ-სააკოვი, 17. პიმენ ივ. სოხაძე, 18. ვ. მ. სუფსისპირელი, 19. ერასტი ა. ტაბატაძე, 20. თაბაგუა, 21. ივანე დ. თარაშვილი, 22. ივანე პ. კვარაცხელია, 23. ივანე სიმ. კასრაძე, 24. გიორგი სიმ. კასრაძე, 25. ალექსანდრე დ. კარცხია, 26. ნიკოლოზ ვ. კამკამიძე, 27. თედორე ე. დეკანოსიძე, 28. ლავრენტი ე. დავითაია, 29. ლონგინოზ ი. მოგელაძე, 30. ვასილ ტ. მესხი, 31. ი. ი. მენაღარიშვილი, 32. მარიამ ს. მიქაძე, 33: პეტრე პ. მეუნარგია, 34. ნინა გ. მგელაძე, 35. გრიგოლ მაღრაძე, 36. პეტრე ლ. მარგიანი, 37. ტ. დ. ლომიძე, 38. სიმონ ხოშტარია, 39. რუბენ ა. პეტროსიანი, 40. გაიკ მ. პანიანი, 41. ვარლამ პაპია, 42. გრ. ფ. თარხანოვი, 43. ს. ე. თოხაძე, 44. კ. ნ. ტოფაძე, 45. ს. მ. კერესელიძე, 46. ნესტორ არჩვაძე, 47. სერგო ჯაფარიძე, 48. ჩიხლაძე შილა.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ს ტ უ რ უ ა.

— **საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტი** იტყობინება, რომ ოთხშაბათს 5 მარტს, საღამოს 5 საათზე ტფილისის აღმასკომის შენობაში (ყოფ. ქალაქის გამგეობის დარბაზი) შესდგება საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტებში და ადგილკომებში მყოფ საქართ. ახალგაზრდათა კომკავშირის წარმომადგენლების და შინამრეწველებზე შეფობის მიმღებ კომისიების წევრთა საქალაქო კრება.

დღის წესრიგი: 1. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მოხსენება. 2. ინდივიდუალურ მოწაფეობის შესახებ. 3. ტფილისის კომიტეტის ეკონომიურ მუშაობის გეგმის დამტკიცება. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში და ადგილკომებში მყოფ ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა წარმომადგენლების და საშეფო კომისიების ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტის მდივანი ლ ო მ ი ძ ე.

პროფსიული.

ხუთშაბათს, 6 მარტს, საღამოს 5 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში დანიშნულია განათლების მუშაკთა კავშირის მეორე რაიონის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში: 1) მოხსენება სრ. საქართველოს მესამე ყრილობის შესახებ. 2) ადგილკომის მოხსენების ანგარიში, 3) ადგილკომის რეორგანიზაცია, 4. ადგილკომის არჩევნები (1 ადგილკომი—ბელინსკის ქუჩიდან სახ. უნივერსიტეტამდე, მეორე ადგილკომი რიზენის ხიდიდან ბელინსკის ქუჩამდე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებანი

პ. ი. ლენინის სახელობ. საოპერო თეატრი

ოთხშაბათს, 5 მარტს

ლოენგრინი

ოპერა 4 მოქ. ვაგნერისა

დადგმა კ. მარჯანიშვილის.

1—1

„თეატრი და ცხოვრება“

№ 6 (9) შემდეგი შინაარსით: მეთაური—ა) აკადემიური თეატრი; ხალხის სული და სიბრძნე; ივ. გომართელი—ისევ ჩვენი თეატრისთვის; ბარდონ—რუსთველის თეატრი; ი. არიმათიელი—ჩვენი მეცნიერი—პ. ლიქიშვილი; შ. გომართელი—სასაფლაოზე; შ. გორისელი—მარო მდივანი; აზიზ შ.—თურქული დრამა; დ. მელაშვილი—გ. ქუჩიშვილი; (არ. ჯაჯანაშვილი)—ქანდაკება (პიესა), კლავდია გაბუნია—დაბა სოფლის მოღვაწენი; ა. კალაძე—გ. მ. სიხარულიძე; ა. ხ.—მოსკოვის დრამ. სტუდია. ლექსები, სურათები, შარჟები, შოთა რუსთველი—ახალი ნახატი

ფასი 20 კაპ.

ს. მ. უ. ს.

ცენტროტრამოტი

იყიდება

1. ეტლები დაბერილ სალტებზედ ცხენებით და ყოველივე მორთულობით;
2. ლინეიკა დახურული, პროლიოტკები და მგელი ეტლები;
3. ცხენები.

ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება ცენტროტრამოტის სამმართველოში კამოს ქ. № 55, ტელეფ. 14—34 და 3—83.

კრ. 929 2—1

რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

ამიერ-კავკასიის განყოფილება

ტფ. რუსთაველის პრ. № 16. ტელ. 19—02.

წიგნების ფართოდ გავრცელებისა და მკითხველი მასისთვის ხელმისაწვდომ ფასებში მიწოდების მიზნით, რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობის ამიერ-კავკასიის განყოფილება აცხადებს, რომ დღის რიცხვიდან, კოლექტიური შესყიდვის დროს, ადგილკომების, პარტკომების პოლიტგანყოფილებების და სათანადო დაწესებულებების საშუალებით, ყველა წითელ-არმიელებს, გლეხებს, მუშებს და მოწაფეებს ეძლევათ შეღავათი 15 პროცენტი საკუთარ გამოცემებზე და 10 პროცენტი სხვის გამოცემებზე, ლიტერატურა გაიცემა კრედიტით 3 თვის ვადით ნაწილ-ნაწილად გადახდით, ზემოდ ჩამოთვლილ ორგანიზაციების თავდებობის შემთხვევაში.

აღნიშნული შეღავათი ეძლევა ინდივიდუალურად პარტიის, რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირის ყველა წევრებს, მასწავლებლებს და პოლიტგანმანათლებელ დაწესებულებათა მუშაკებს სოფლათ მოწმობის ან პარტიული ბილეთის წარდგენის შემდეგ.

2—1. კრ. 930.

ცარიცინის სახელმწიფო „ცარპაიტორგ“ სავაჭრო მეურნეობა.

ტფილისის განყოფილება: თავისუფლების მოედანი, ტელ. 17—17.

ლურსმნები, რკინეულობა ყოველნაირი, ბოლტები, ზაკლიოპკები, ასფალტი, ოლიფა, სარკეების მდოგვი (გარჩიცა), ტყავეულობა.

ფასები შესამჩნევათ დაკლებულია.

სახელმწიფო ორგანოებსა და კოოპერაციას განსაკუთრებული შეღავათი.

რწმუნებული საქართველოსა და სომხეთში შ. ბეთანელი.

ქალაქის აღმასკომის სავეტერინარო სამკურნალო

იღებს ავადმყოფ შინაურ პირუტყვებს და ფრინველებს ამბულატორიულათ და სტაციონალურათ (სამკურნალოში დატყობაში) ყოველ დღე 9—3 საათამდე კვირა და უქმე დღეებში 9—12 საათ.

ტელეფონი № 2—23.

2—1 კრ. 931.

ელექტრონის და სინათლის სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდების ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—2

ექიმი

პ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 499—25—13

დაკარგულია საბინაო დავთარი მოქ. არტემ აპრიამოვის. მცხ. მე-7-დე უბანში, სრეტენის ქუჩ. № 8. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 № 621.

„ზარია ვოსტოკა“ სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.